ჟორანმა იაზრა, რომე თვისი გარის საქმე გამოუჩნდა და მის სიტყვის საზღვარს გარდასცილდა, და უთხრა: რომელსაცა მე გეტყვი, დასაჭურებელი და შესატებობელია⁴¹, და რასაც შენ უბნობ—ნაღვლის გზა არის, და ნაღვლიანნი ნიადგე ჭკე დარჩომილნი არიან. რომელიცა არას დასჭურდება, კერაოდეს განისკვნებს, და ვინც ჭურავინის საზრდელისათვის ღმერთსა არა მადლობს, ბედნიერობის ჰატივს კერ შეიბენს. მე შეშინან, შენ, მას აჩქარებულს გატას რომ მოუხდა⁴², ისრე არ მოგივიდესო. ჭორმა ჭკითხა, როგორ უოთილაო?

ჟორანმა უთხრა არაკაო

იყო ღვინობერი ერთი, მეტად საბრალო და უღონის-ძიებით რჩებოდა. ერთი ჩოდლო ედგა ყრმათა გულთაგან უვიწროესი, მუნწოთა კაცთა საფლავთაგან უბნელესი, და ერთი კატა ჭკევა, რომელსა ჰურისა სახე სარკითაც არ გაკნადა, წყნთა სახელი მახსოვართაგან არ ასმოდა, და ამა ყოფასა დაჭურებულ იყო. მისად საზრდოდ თავისის სოროდამ სუნთა მიდენასა, ანუ თავგათა გავლის კალთა სუნთა ყნოსათა კმა იყოფდა, და თუცა ბელისა შეწეწინთა ერთი თავი სამ* დაეჭირა—.

ღ ე ქ ს ი

გიო გლახკვან მახნა განმი იპოოს და დახაროდეს,
რას არეებდა, რას აჩნედა, იტყოდა თუ: რამცა სჯობდეს!

სისარულით ჰირი გაუწითლდის, გარდასრული ჭირი დააიწყედის, და ერთს დღეს ხანს რასმე მით გარდაიარის და იტყოდის

ღ ე ქ ს ს ა :

მე, ბედო! ამას რომ ვხედავ, ცხადი არის თუ ზმანება?
ესოდენს ჭირთა შემდგომად რა სეკმან მომცა მანება!

რომ მე, ესოდენთა შეჭირვებათა შინა მეოფმან, ესეთი უსწორო საჭმელი ვიგეგეო და ესრეთ მის ბუბრის სახლთა შინა, რომელსა წელის ნაწყეუტობე კერ ეძლო შოვნად, კერე მტლე და მჩხანანი იყო, შრომითა და მოგონებით რჩებოდა. ერთსა დღესა ნამეტნავის უღონობისაგან ათასის ჭირით ურდოზედ ჰვიდა და ნახს კატა ერთი, მეზობლისა სახლის კედელთა ზედა სილადით იარებოდა და, ღომსაებრ, თერხთა აღრიცხვით გარდასდგმიდა, მეტის სიმსუქნითა თათთა ნელიად აიღებდა. რა ბუბრის კატამა თავისი ნათესავი კერე გამოხეული ნახს, საგონებულთა წავარდა და ხმა უყო.

უთხრა ტვაემი

კერე დიდროა მრავალი, შითხარ, სითა ხარ მავალი?

შენ კერე გასუეთავებული სადაური ხარ? ესრეთ მეჩვენები, მგონია, ხა-

⁴¹ გარინტი: შესატყობელია.
⁴² გარ. ა) რომ მოუვიდა, ისრე არ მოგივიდესო; ბ) რომ მოუხდა, ისრე არ მოგიინდესო.
* სამ— შემოკლებული „სადმე“-ა. რედაქტორი.

ტაეთის მეფის მასპინძლობით გამოსრულ იყო მითხარ, სადით მოხვალ და კვ შენი სიმსუქნე რისაგან არის, და შენი ძლიერება და შენეიერება რით მოხდა?

მეზობლის კატამ უთხრა: მეფის ნასუფრალთა კვამ, ამაღ რომე დღე-ყოველ ხელმწიფის კართა მივალ, როსცა⁴⁰ ნადიმთა დასხდებიან, ჩემს სიგისკასეს ვიხმარებ და მსუქანთა ხორცთა მოკიტაცებ* და მეორეს დღედმდე ნოყიერად ვიჭმებიო.

დედაბრის ციცამ ჭკითხა: მი-უქანი ხორცი რაჟაო, და მამღრობის პურით რასა ჭჭვიანო? ჩემს ცხოვრებაში ბებრის თუშრუისა და თაკვის ხორცის მეტი გემო არასი ვიცო⁴¹!

მეზობლის ციცას გაცინა და კერე უთხრა: მაშა, კვ უოთილა, შენ და ბეურეი არაში გაირჩევიოთ. ჩვენს ეკარს ესეთი სასირცხო და საუდუელი საქმე რომ სჭირდეს, დიდი აუგიაო. კვ სასე და სიმჟლე სახლიდამ გარ გამოკიტანია! ესეთი აუგია, ბოლომდე საგმობულად დარჩებო.

უთხრა ლექსი

კუდი და უური მივიგავს მართ ოდენ მარტო კატასა,
ტანი, ობობას სადარო, ქსლისა მქსოვლისა ჰატასა.

თუცა შენ მეფის კარი ნახო და მის გემოანთ საჭმელთ სუნეი ისუნო, მგონია, ფარდატა შინა დამალული სული რომ გაქვს გამოკინდეს, და ახალი სული მოგედგასო.

უთხრა ლექსი

საეკარლის სულმან რა მოყერის სათლავხელ გაიაროსა,
რად მიკვირს მკედარი გაცოცხლდეს, ძვალნი დანატრდეს აროსა.

დედაბრის კატამ შესტორა: ზე, ძმაო, შენი მეზობელი და ნათესავი ვარ, რა იქმნების, ან მეზობლობითა, და ანუ ნათესაობით მოწყალეებისა და ძმობის მცნება აღასრულო, და როსცა შენ წახვიდე მეც თან წამიტანო⁴²? ნუ თუ შენის ძლით მცირედი საჭმელი მეტვოს, რომე შენის სიმხნითა და ცდითა ერთს ადგილს მივაწიო.

უთხრა ლექსი

თავს ნუ გაიღებ ღხინთაგან, ვიდოდე კაის კაცისად,
ხელს ნუ აიღებ დირსთაგან, აგრეე უფლისა და ცისად.

მეზობლის ციცას მისის საჩიერის ტირილითა გული დაეწვა და უთხრა: დღეის წაღმა მე შირობა დამიც, ამას იქით უშენოდ მას ადგილს აღარ წავადეო. დედაბრის ციცა მისის იმედულობით სულობას მოკიდა და კრდოდამ ჩამოკიდა, და ეს ამბავი ბებურს აუწყა.

ბებურმა სწავლა დაუწყო და ეტყოდა: ჩემო გაუყარო ამხანგო, მსოფ-

⁴⁰ ვარიანტი: როსაც.

* დ. ჩუბინაშვი. ქრისტომ. პირ. გამოც: მიუტაცებ.

⁴¹ ვარიანტები: ა) მეტი გემოსი არა ვიცი რაო! ბ) მეტი გემოსი არა ვიციო.

⁴² როსაც შენ წახვიდე მეც წამიტანეო.

ლოათს ცრუთა, ტუეილოთ სიძუეკათ ნუ მიჰყუები. მცირეთა დაჟურებისა კმა უოფასა ნუ გაუშუებ, რომე უზომოსა ნდომისა ჭურჭელსა საფლავთა მიწის მე-
ტი ვერა აკსებს რა, და ნდომისა და სისარბისა თვალთა სიკვდილისა ძაფის
მეტო ვერა შეჰკერავს რა⁴⁶.

ჩახრუსუელი

იმაჲე ცოტა, მართ ვით იოტა: სიმდიდრე კაცთა ეს არს ჭკვიანად,
ჭრჭვი გზად მკვალსა, შოენა მრავალსა, თემსედა დარბის უგზოდ გზიანად,
გინც თვისა ბედსა და ღეთის იმედსა, მდღევარს არ სჯერა რაც აქვს მზიანად,
და კერც იცნობს ღეთისა მცნებათა, ერთსა არ აღსარულებს, ექმნას ზიანად.

ბებრის კატას მის ხელმწიფისა ნსუფრადისა ნდომა ასე ტიანში შესელო-
და, რომე წკრთა და სწავლება მას კელარას არტება.

შ ა ი რ ი

უგბილთ სწავლება ცუდია, ბრძენნი აშრობდენ ენასა,
ვით ქარი გაღიაშია დაჰყრა, მიჰქრის ზენასა,
ტრფილსა სატრფოს უძლიდე, მისკენვე იწუებს რხენასა,
და ცხრილსა წუაროთი ავსებდე, მალე იქმს ჰეე გაღენას!

რა მეორე დღე გათენდა, ის მეზობლის კატა მხნედ და ბებრის ციცა
ღობლილით ხელმწიფისა კართა ძლიე მიაწიეკს. საწადლის ძაღმან მისკელის
უწინარესვე შეაცდუნა, და სიმძლის ბედმა მის უმის კატრობის ცეცხლსა სიკვდი
ლის წუალი დაასხა, ამა მიზეზისათვის რომე წინა-დღეს ხელმწიფის ტაბლასედ
კატები შესრულიყენენ, საკრამლავო მსახურება გაეშუათ და ჩხაკილით და
გნაილით მასშინძელთა და სტუმართა გული შეეჭირებინათ. მაშინ ხელმწიფეს
ებრძანა მარჯუეთა მშვილდოსანთათვის დროება, და რომელმანცა კატამა უსირცხ-
ვილობის ფარი შირთა არ დაიფაროს და კადნიერების ასპარეზთა მოკიდეს,
ვიდრე ღუემათა აიღებდეს, ღვიძლის მკერავის ისრით განასკენეთო. ბებრის კა-
ტა, ამ აშბისა შეუგებელი, საჭმელთ სუნის ცემასედ ურიდად, შვარდენსავით,
ბირი სუფრისა მისათურენლად ქმნა. ჟურეთ გუნებას სასწორის უღლით მძიმე და
სუბუქი ნაკეთი ვერ აწონა, მასვე წამსა გულის გამგერეველი ისარი შიგა გა-
ვარდა.

შ ა ი რ ი

მკულ დაკოდილი მირბოდა, სისხლითა რწყევდა არესა,
მშვილდოსანს ჰკმობდა, ისწრაფდა მეშველის მოსახმარესა.
იტყოდა: რად არ დავსჯერდი, მცირესა მისახედარესა,
და ვით ღირს თაფლისა გემება თუტერის ცემასა მწარესა!

ეს არაკი ამაღ მოვიყვანე, რომ შენ ამ ჩემის ბედის სივიწრესა და მცირეს
საზრდოსა და გაურჯელს ღუემანს დასჯერდე, და რაც გაქვს გამოიხილო და
დიდთა ნუ მოინდობებ. შენ რომ გინდა, არამც მას ხარისხსედ ვერ აღიწიოო,

და რაც მზა გაქვს ესეც ხელიდამ გავკარდესო. ქორმა უპასუხა: რომელიც შენს მოწყალის თვლით მხედვარეობას ევერებოდა, კეთილ სწავლებას და წერთა მიზრ-
ძანუო, მაგრამ მცირედის დაჭურება უღონოთა კაცთა წესით, მარტო მღვდელისა,
თავს-ღება გუნება მღაბლის კაცის საქმეა. ვისაც დიდობის სნატით ჯდომა
უნდა დიდს შემოსავალსა უნდა კვადოს, და ვისაც თავისის თავის ამალგება
და გვირგვინისობა ნებაჲს, საცადლის ზოსტური უნდა წელთ შემოირტყას.
უხვნი კაცნი ბუნწით საჯდომზედ არ დასხდებიან, და ჭკვიანნი ავსა და უშეკრს
საკანეს არ მიაწონებენ და კერც გაეწეობიან.

თქვა შაირო

სიმაღლის გზათა ვინ ქპოებს კაცი საპურულად მჯდომელი,
ფერხი არ შედგას ხირისხთა, სიუხვის საკლად მზომელი
ესეთი კიბე ეძებე, მთვარესთან მისაწდომელი,
და არიან სვას ხაცულად შაქრისა წვიმა გუბეთა მღვდომელი!

ფორანმა უთხრა: ეგე მოსავინი რომე შენ მოგიგონია და ტვინთა რაღაც
შეკსეულია, მაგით მაგ ტანთა საფუძველი კერ დამტყინდება. მაგ კატრობის ჭე-
ბი უნიეთოდ, ნდომით არ ადუღდება. რომლისაც საქმის ნიეთები მზა არ იყოს,
უმისოდ არა საქმე არ შესრულდება, რომელსაც საქმენელს ხელი არ მიჰქო — შირ-
სა კერ მოგცემს.

უთხრა ფისტიკაურბო

მეუფეთ საჯდომთა ზურგთა მიერდნობა სიტყვით არ იქმნას, იცა ოდენ,
თუცა სამდიდრო წესი და რიგი მზად არა აქენდეს და ცუდად რბოდენ.

ქორმა თქვა: ჩემის გლანჯის ძალი საბუნდოროს მოსავლის მიზეზა, და
ჩემის ჩარბის მტელეჟელობათა შეძლება ხარისხის სიმაღლის ნიშანია. არამც
შენ ხრმლის მკერულისა არა რა გასმიოდეს, რომე თვისის ჭაბუგობის ძალით
ხელმწიფის სწორობა და პატვი იშოვა და, ბოლოდ, სიუხვის სამოსლითა სს-
მეფთ დიდებით შემზადა და დაიპურა? უორანმა ჭეითხა, ეგ როგორ უოფილანო?

ქორმა თქვა ანავი

მკელათგან ერთი მოსაქმე საზრდო მწირი კაცი იყო, თვისის ცლ-შვი-
ლის მღვდელის საზრდოსათვის შედონებულ იყო და მრავლის მწუნარებისაგან
მის ჟამში მისის სიტყვის თქმის ფურცელზედ სასიხარულო ამავი არ ამო-
კითხა. მის მუშაობისა მოსავალი მის დედაწულს არ ეუოფოდა, და მისის ხე-
ლანობის საჩუქავი საზრდელსა და სამოსელს კერ შეურსრულებდა. შემოქმედ-
მა დმურთმან მას ერთი ასეთი ძე უბოძა, ჭკვიანობით და სიღრმით მიუწდო-
მელი იყო, რომე ხელმწიფობისა და ბუნდორობის ნიშანი შუბლთა ზედა აწდა.

ტ ა ე ბ ი

სუე-ბუნდორო, ეტლ-შეგანო, ედემის ბაღთა კკკლა ნერტი!

მისის ფერხ-ბუნდორობითა მამასა მისსა სიხარული გაუმრავლდა, მის-

მან სვეკეთილობამან მოსაყალთა ჰმატა და წარსაკებელსა გარდაარჩინა. მშობელთა მისთა ფერხს მისი ბედნიერად დასცაღეს. რა ცოტა მოიზარდა, მას წერთნიდენ, და რასაც ასწავლიდენ სხვა რიგად იქმოდა. იგი მშვილდოხრობისა ამაჟთა გამოიკითხვიდა, ნიადაჟ ფარეკობდა; როდესაც წიგნის საკითხავად სასწავლოს გავაყენიდენ, იგი ასპარეზთა შინა მიიქრებოდა; ოდესაც წერად კალამს მისცემდენ, ოროლითა მღერას მოინდომებდა. სამუდმოდ ხრმლით ჭკუენის დაჰურობისა სიტყუათა იტყოდა, ესეთის წერილის კითხვას ეწუბოდა, და ცისა მოჭკუეისაგან ნიადაჟ მისი თაჟი ამაღლებული ენახა.

რ გ უ ლ ი

რა ოსტატო ასოს სხმიდა,	მისი გული სხვას იწერთიდა,
ონით ხრმაღებრ მტერთა სრვიდა,	ზანსა ფარებრ იფარვიდა,
ინსა ზუჲად დაირჭმიდა,	ტარსა ჟაჭვად ჩაიციმიდა,
მისა მშვილდად აიბმიდა,	სანით ისრად მტერთა სრვიდა!

რა ნინეულობისაგან ცნობასა და ჭკვასა მოვიდა, დღეერთ მამამან უთხრა: ცე, შვილო, ნიადაჟ ჩემი გული შენის საქმისა საგონებულთა შინა არის! ჭაბუკობისა და ყრმებრავსა საქმეთა მრავალი შემთხვევითი წინა უცს, მეშინის ბოროტის მოქმედის სულისაგან ბოროტის მოქმედება შენთა ბუნებათა არა დასთესოს, და მხებაჟს შენის მშვიდობისა დროსა სიმტკიცისა ზღუდითა შემოგზღუდო, და ერთი შენი საწადელი, რომელნიც ჩუენი მეგობარნი არიან და ჩუენი სანდომნი, მათი ასული გითხრო, და ამისას შენ რას იტყვიო?

შვილმან მოახსენა: რომელიც მე ცოლად მიიდა—გამომისადებია, მისი მარი უღლებლად დამიცს, თქვენ ამ საქმეზედ არ შეგაწუხებო, და არც თქუენი შეწუენა და მოხმარება მიხდაო.

მამან ჰრქვა: შვილო, შენი საქმე რაჟა გიცი, მგონია, გამოწვლილვით შემეტუოს, და რომ შენ საცოლოსა შენისათვის იტყუი, ეგოდენი ხელის შეწუენა არა გაჭეს. ანუ საცოლო შენი ეინ არისო?

შვილი ზე ადგა და სახლიდამ ერთი ხრმალი გამოიტანა, შუენიერთა თვალწარმთავან ათას რიგად უფრო სისხლის დამთხვეი და ბაკუ-ბალახშთა დამილით ჩენილის მარგალიტთა კბილთა ჩენისაგან უმსწრაფელსად გულთა გამაბოლები, და ჰრქვა: მამაო, დამჯერე, მე ჭკუენისა და თუმათა ჰატრონობა დამინიშნავს საცოლოდ და ხელმწითობათა სიდიდე, და ზედა მარი გამოიკეთაო, და კილოცჟე ამისი გამრიტებელი—მოლესილი ხრმალი და დვიმლთა გა-
მამობელი ხანჯალი მომეცესო!

თქვა ლექსი

სვებედს ვერავინ მისწვდების, ვერცა ჭკუენისა ჭერასა,
თუ ბასრსა ხრმაღას არ უთხრა: ერთი შემოკრა ჭერასა!⁴⁷

რადგან მის ჭაბუკის ბედი მეფობის საშოკრად ამაღლებულ იყო, მცო-

⁴⁷ ვარიანტი: ერთი შემოკრა ჭერასა.

რელსა უამთა თემი და ჭკვეანა ხელთ დაიპყრა, და ჭკვენის მჭირაჲც სრმლით მრავალი სახელმწიფოთს ადგილი⁴⁸ შემოიყრიბა და

თქვა ლექსი:

საწუთროს სძალი არ მიხვდეს ერთის სიძის მეტას,
მძა-დად თუ სრმალი არ ახლავს, ვერ იქმს ქორწილის ჭერეტას!

ეს არაჲი ამისთვის მოიყვანე, რომ სცნა სვიანობის რიცხვი ჩემსედ მოწვენილა და, ღვთის მოწულებით, ბედნიერობის კარი ჩემთვის გაღებულა, და მეცა მაჭკს იმედი, ცოტა ხანსა შინა ჩემსა საწადელსა მივეწიფო და წადილის მკლავი ჩემსა სასურველსა კისერთა მოხვითაო. აწ ამის მოგახსენებ, სატყუარითა სიტყუითა და მაგ კვარის არაკებითა მე ამ საქმესა არ მოვიძლი, და არც გარე შევიჭტვიო.

თქვა ტაემი

ამას არითა ამ მასრითა არსად წავიდე ტუქსით არითა.

უორანმა გული დააჭურა, რომე მის ქორის ძაღლის⁴⁹ ბუდე მისის ხრკის ბადეთა არ გაეზომოდა, და ეშმაურის სატყუარისა საკენითა არ მოინადირებოდა. მეტად მჭმუნვართა გულთა დასტური დასცა მგზავრობისა, და გაურდობისა დადითა დაკოდელი გული დაიდალა, და ქორი იგი უორანსა და მის მართუთა გამოსაღმა, და მის ბუდიდამე გარდმოფრინდა და ცის კამარათა აღფრინდა, და, დამაშვარლობის შემდგომად, ერთს მთაზედ დაჯდა⁵⁰ და მსწრათელ მხედველთა თვალითა მიმოიხვედითა. ანაზდად ერთი მტოგვარი კაცები დაინახა. მის კაცანსა მის მთის მიდამო ავანცებინა. ჭორმან მისი ნადირობა გონებად მოიღო, შეუტყვა, შეიპყრა და მისის გემრიელის ხორცითა გუნების საწადელი ადგილი აივსო. რა ხორცის გემო ნახა, ესრე მოეწონა, სულისა უკვდავებსა შეადარა მის საჭმელისა სიტკობის საჩკებელი, სამეურნალოთა საქებარი, რომლისათანა მისთა უამთა კეთილი არა ეკემებინა რა, და

თქვა ლექსი

საჩემოდ დაბადებულ ხარ, მე კვონებ, ჩემთვის ჭებულა,
სიცოცხლეს შესგან მოკელი, ღვთთ სიგრძელ იმედებულა!

მერმე გონებათა შინა იტყოდა: ჩემთვის მგზავრობის საჩკებელად ესეც კმარა, რადგან ჩემი თავი სამუდამოდ ავის საჭმელის ჭამას მოკარზინეო და მხელსა და იწროსა ბუდეთა აღარ ვხეი, და ძუნწთა და უბადოთა ამახანათა გაკუმორე, და ჩემის გუნების საჭმელთა ეშოობ, და შეენიერს ადგილსა და კეთილსა და ბედნიერსა საყანესა ვიყოფებიო.

⁴⁸ ვარიანტები: ა) მრავალი სახელმწიფო ადგილი; ბ) მრავალი სახელმწიფო და ადგილი.

⁴⁹ ვარიანტი: მაღალი ბუდე.

⁵⁰ ვარიანტი: დაქნდა.

თქვა ცაეში

ჩემთვის ახალი ჭკუენა დღეს დაიბადა სრულებით!

და ამას იქით რაც საქმე დაფარული მოსაწონებელი ჭკერის ახპარუთა შინა მოძიავა, იგი მოვიცადო.

თქვა ცაეში

ვიხილო ცამან, მხრუნაემანცა მან, ფარდაგთა ზურგით რა გამოიღოს!

მერე ქორი თვისის წადილითა რაოდენთამე დღეთა მიმოფრინებდა და, სინარულითა ფრთა-მოძინებელი, კაკაბთა და ღურაჯთა ნადირობდა. ერთსა დღესა მალაღთა ბორცვთა ჯდა, და მის გარეშემო ნახა ცხენოსანნი მონადირე-ნი ჟურგა გაშვებული ფრინველთა ადგენებდეს ბაზთა გონება ხალისიანთა.

შ ა ი რ ი

მონადირეთა ტაბლთა ხმა მინდორად გაიწოდა, ქორი იხვისა შეპურობად ჭკერთა აიწოდა, ტყეული ღურაჯ-კაკაბთა ანახდად მოექცოდა, და ფრინხილ-გამახული კაკაზი წეროს არ დაეხრწოდა.

თურე მონადირე იგი მის ადგილის ხელმწიფე იყო და თვისის შინა უძით ნადირობდა, და მის მთის ძირი მოსარეკად მოენდომებინა და გარე ჟურგა შემოკლდა. მას მეფეს წინა კაკაბი აუფრინდა და ქორი მოუტყუა, და მან ზედ მალაღმან ქორმა რა ნახა, შემოუტყუა, ხელმწიფის ქორს მოასწრა, კაკაბი აიტაცა და წაიღო. რა მეფემ ქორი ნანადირე-გატაცებული ნახა, მის ქორის შოკნის ნდომა შეუვიდა ესრეთ, რომე გული და გონება მას გაჭყუა, და ბრძანა მტკიცისა და ძლიერის ბრძანებითა მის ქორისა შეპურობა. მათ ხელ-მარჯუეთა და ხერხიანთ მონადირეთა შემსადეს გულყო მანის თვალად და გარდაცემს გასურთა ზედა, და მოიყვანეს საბუნდოროს გზით ხელმწიფის საქებურსა სამსახურში მოწვეული. რა მეფემან მალლით მხედველის ქიმიის თვლითა მისი სიმწეაზრე და გუარიანობა გაიცადა და სიკეთესად გული დააჯერა, მას უკან მეფის გამარჯუებულს ხელზედ ჯდომის ადგილი იშოვა, და მეფის თითთა ზედა განსვენებით მხედომელი შეიქმნა. მისის ბუნწთა მეგობართა და უმატიურთა ადგილთა ნაცვლად ცებრ ამაღლებულს ალაგს მიანწეინა; თუცა მის უორნის მეგობრობას დასჯურებოდა, და მეგზავრობა და თემთა და ველთა სლვა არ დაეწყო, მისი სვე ამ სიმაღლის ხარისხზედ ვერ აღიწოდა. ამ არაიის თქმა ამაზედ მოკუევენე, რომე სცნათ მეგზავრობა და სიარული სიმაღლეს და სიდიდეს კაცთა ხელთ მისცემს, და ჟოჯოხებით მალაღთა ცათა აღიუენებს და სუთუკას მისცემს.

თქვა შაირი

გაზაფხულია მეგზავრობა, კაცთა გულისა სავალი, გულის საწადლის ვარდისა გამძლეად გამოსაკალი. ვინ მეგზავრობს ნუბას ეწევა, არა ეღება სავალი, და თქმულა ღვთისაგან ბრძანებით მიძლეად სრულ დასაკალი.

დაბიშლიმ რა ბრძანება დაასრულა, მეორე კეზირი წინარე წამოვდა, სამა-
დლობელნი სიტყვანი წინა გაიფინა და მერმე მოახსენა: რაც მეფეთ-მეფემან
ღვთის მიერისა გამოცხადებითა სასარგებლონი ბრძანა, მისი შემსგავსებულ
და შესაფერი არა იქნებოს რა, რათამცა ახლორე მისსა მიეკაროს, რადგან მე-
ფის ანგელოზებრივთა გონებათა ჭკუენათა და გლეხთა მოსუენებისა და სიმჭი-
დისა ბრძანება ქსტეს, მაგრამე მგზავრობა და შრომით ტარება რომე კაცმან ხე-
ლად აიღოს, ამის გამო მე ამას ეკადრებო: სულთა აღმარობინებელი, ღვინთა
და განსაცხრომელის ადგილისაგან მოწყენისა, ზრუნვისა და ნაღვლის ადგილს
წასვლა, ბრძენთა ნათქვამთა შინა შორად დაჯერილია და კადეც ამაგებენო.

დაბიშლიმ ბრძანა: გარჯისა და შრომის ხელად ალება კეთილის ჭაბუგისა
და გულოვანთ წესისა და მეომრის ღომის ხელოვნება არისო. უთუოდ, ვიდ-
რემდის ხელმწიფეთ სალხინო კალთა გარჯილობის ჭაცვითა არ დაივლიაჟება,
გლეხთა და საბრალოთ კაცთა განსვენების საჯარდის გვამთა მშვიდობის უკავ-
ლი არ გაიშლებისო, და თუ მეფის ბედნიერი ფერხი უსაქოდ ჭირის მინ-
დორსა არ გაზომს, ჭირთ თავი მოსვენების სასთუნაღზედ არ დაიდებაო.

თქვა ლექსი

არ დაწუნარდების ჭკუენა და მისნი სანახებია,
თუ მეფე მოსვენებით ზის, ნებიერობა ხებია.

ესე სცანთ, რომე ღმერთის დაბადებულნი მონანი ორ-სახენი არიან: ერ-
თი რიგნი ხელმწიფენი არიან. რომელთათვის მიუცემია ჭკუენათა ზედა ბრძანე-
ბის განვლენა, და მეორენი — გლეხნი და საბრალო კაცნი, რომელთათვის ჭკუ-
ელი მშვიდობა და მოსვენება იხელთოს და ბედნიერობისა სადავე გაუშვას, ანუ
ხელმწიფობისა სიდიდესა მიჰყუას, გემოსა და მოსვენებისაგან ხელი აიღოს.

თქვა შაირი

ვითა ვარდისა უკავილი კვალთა ზედა წვეებისა,
ამისთვის მეფეს დაურგვენ, სახე უცს მოღვეწებისა.
სპასპეტი მხნად ვერ გამოჩნდეს, თუ შიში მიიწებისა,
და ვინ ჭირსა თავი არ მისცეს, ღვინს როდის შეეწრებისა?

ბრძენთ უთქვამთ: მომჭირნეობის ცდა და გარჯა ბედის საჯანესა მიმ-
ყვანებელია, და ღვეწლთა მინდორთა შრომის ფერხის შედგმა — საწადლის პირის
სახის თვალთ დანახვაო, თუკად ხილულის მოსაკალი უთვალოსათვის⁸¹ არისო:

თქვა ლექსი

სამეფოს სეპტრა-პორფირსა კერვინ აიღებს ხელითა
ხორცისა განმსვენებულნი, მითხართ, რას კეთილს ელითა?

ვისცა გამარჯვების ასპარეზთა შინა საწადლის დროშისა⁸² გაშლა უნდა,
მართებს დიდად განისარჯოს და განსვენებისა და შუებისაგან ხელი აიღოს, და

⁸¹ ვარიანტი: უთვალოსათვის.

⁸² ვარიანტი: საცადლის დროშისა.

თვისი საწადელი მალე აღესრულები, სასურველის პირს სიხარულის თვალთ
დაინახავს, რაკვარადაც მან ვეფხვან, რომელსა თვისად სამატრონოდ დიდი ტე-
კრი სიხარულის მომეტეუბელი ჰქონდა. პირველ რა მის დაპურობასა ღამოდა,
ცდას იღვიდა და თავს განსვენება არ მისცა და დაშრომისკან არ მოუძღურ-
და, და მცირესა ხანსა შინა მისის საწადლისა ფარდაგი სატრფიალოსა პირთა
აკვცა და სწრაფად ხელი მოჰკიდებ. გეზირმა ჰკითხა, როგორ უოფილაო?

დაბეშლითი თქვა არაკო

ბასრის ჭეყუნასა ერთი ხერთვისი იყო, ჰურ-კეთილი, ტეე-შენიერი, მრ-
კალ რიგად გულის გასაწყოდ მოსარები, წყარონი ცივნი და მრავალნი ხშირად
დიოდეს, სულთ-მომბრუნებელი ეოკლის შეკეულებითა.

ჩახრუსული

ხე ბორბანნი, ხილთ ორობანნი, ნეღლი და ხეღლი მას ხშირად ესხის,
მასთანა ხენი, მრავალ სახენი ედემსა მდგარი, საღ ენახე ესხის;
მოღნი შროშისკან, უფროს შროშისკან, ენა მკუთელსა მას სისხლი ესხის,
და უკვილოვანსა, ძირ გორდოვანსა, უცსოდ ამიხნდა, შვეანეც რამ ესხის.

გარდამატეულის შეენიერებისკან მას ტეესა სახელად «გულის სიმხიარუ-
ლე» ეწოდა. მუნ ერთი ვეფხვი გვარობდა, მის ძლიერის სიციხისასა შიშითა
მუნ ღომი ფერსს კერ გარდასდგმიდა, და სხვა ხადირი და მფერინკელი იქით
მიხელვასაც კერ იკადრებდენ.

შ ა ი რ ი

საღს კლდესა სცემდა კუდითა, რა იყვის განრისხებული,
ლომის ბურჯს ცაში შიშითა ჭანგი სცვიოდა ჭებული;
თუ გზაზედ დაწვის გამწყარალი, გუნება გამწარებული,
და მუნ გაულა კაცთა გასწირდის, წლამდი კერ იქმნას რებული.

მრავალს ხანს მას სამოფსა ნებიერად მეოფობდა, საწყინარი და თვისი
უნებური დღე არ ენახა. ერთი ლეკვი ჰქუა, რომელ ჭეყუნასა მას თავს შემოავ-
ლებდა, თვალის სინათლედ მას ხედვიდა, მის ადრე გაზრდას ცდილობდა, რა-
თამცა კბილნი და ჭანგნი მისნი უზაზარის სისხლით შეესკარა, და ენება ტეისა
მის მატრონად დაეღინა და თვისი დანარჩომი დღენი ერთს ადგილს მოსკე-
ნებით ეცოცხლა. ჭერეთ საწადლის ნერგზედ დროიან კუყური არ გაშლილიყო,
ამაღლებულმან სიკვდილმან საგონებლის წალკოტის ხილი მისატაცებლად ძლიერს
ჭარს მისცა.

ტ ა ე შ ი

ჭე, მრავლის მნდომი შეიქმნა მიწა: დიდობის მქენი წამს შეიბიწა²².

ვეფხვი რა სიკვდილის ღომის ჭანგში ჩავარდა, მას უკან ღომნი, მტელნი
და სხვანი მჭინვარე მხენი, რომელნიც სანადიროდ მის ტეის მოსურნე იყუ-

²² გარიანტი: შეაბიწა.

ნეს, სრულაობით მოვიდნენ მის ტყერის დასაპყრობელად. ამ კეთების ბოკერ-სა მათი ომი და ბრძოლა არ ძალ-ედა, და ტყე იგი დასატყუებლად მოინდომა და შორს ადგილს წასულა განიზრახა. მათ დამპყრობელთა მხეცთა ერთმანერთში ცილებს და ბრძოლა შექმნათ, სისხლის მღვრელმა ლომმან ყოველთა სძლია, და იგი სისარულის მომმეტებელი⁵⁴ ადგილი მან დაიპყრა და თავის ბლისტად შექმნა, და კეთების იგი ბოკერი სხვათა უდაბურთა იარებოდა. ერთსა დღეს სხვა მხეცი ვინმე შესედა და შესჩივლა, თავის საჭმისა და კაებისა უკლავა უამ-ბო და შეესვენა, ამახუდ მიშველე რამეო, სხვანიც მოამხმარეო. რა მათ მის მონადირის ლომისა და განცოფებულის კეთების საჭმე გასინჯეს, მიშველება და მოხმარება აღარ აუობინეს და ეტუოდეს: საწყალობელო, შენი საშვეიდრო ესეთ-სა ლომსა დაუპყრია, რომე მისისა შიშითა მას ტყერთა ზედა სიონი და მერცხალნიცა კერ გარდაფრინდებოანო, და ჰილო მისის რიღისაგან მის მინ-დორთა კიდეთაცა კერ მიდგებოა აწ ჩვენ მისად საბრძოლად ვით მოვიდეთო? ანუ მისის ჭანგ-მახვილობისა, გილ მტუციეობისა შესადარი ვინ არისო? და კერცა შენ მის ჰირის-ჰარ მებრძოლად გხედაეთო! ჩვენ რჩევა ეს არის და ტყვა ამას ხედაეს, რომე მასვე შეესვენო და ერთგულს სამსახურს ეცადოო.

უთხრა შიარი

გიმ მძლეს ადგილისაგან კერა შესძრვიდეს ძალითა,
 მისსა საომრად არა ხამს ყოლე შემართვა ძალითა.
 ესე სჯობს, მასვე ეკედრო, მოლბე გუღითა საღითა,
 და კრძალვით მიხვიდე, ჰმსახურო, ცხადით და იღუმღითა!

რა კეთების ბოკერმან ესე მოსაწონარი რჩევა გაიგონა და მოასმინა, დაი-ხედა რომე ლომისა სამსახური უჯობდა, და რაცა სამსახური შესაძლებელ იყო, მისი ცდა დაიწყო. ამ გზით ერთი ლომის წარჩინებული განმზრახნი მოიხმო, და მის გამო ლომის სასამსახუროდ შევიდა და მისის მადლის თვალის სანა-ხავი შეიქმნა, და ერთს მისს საფურს სამეოთა დაადგინეს. გუფხმან სასამსახუ-რო კალთა მორჩილების წელთა ჩაირჭო და საერთოელო ხაჭმეთა ქმნასა შეუდ-გა. წამ-და-წუთს ლომისაგან წყალობას მიიღებდა და ნიადაც თავის ამადლებას ჰმეტებდა. ესრე შეაყვარა თავი, რომე ბედნიერობის გამგენი და წინაშე მდგო-მნი მეშურნე ექმნეს, და კეთები ნიადაც მოჭირვების წდით სამსახურს გარდამ-ტებდა და მისის შემეტების საჭმეს არჩედას და თავ-გაწირვით წდილობდა.

ღ ე ქ ს ი

ცდა, გარჯა და მოჭირვება კაცმან იცის ვინცა მეტად,
 მისი საჭმე დამსუღეუელსა ჰვეშ შეუდგას სახლსა სუეტად.

ერთსელ ლომსა მას ერთი რამ საჭმე მოუხდა შორს რასმე ადგილსა. მას დროს ჰუარის იორნე ძლიერად განხურვებულ იყო, მეტეჭის თუნმდნარსა-

⁵⁴ ვარიანტი: მომატუეუბელი.

კით გამდგარ იყო, მეტის არის სიცხის ჭრტილისაგან მფრინველთა ძელიდამ ტვინის ნიაჟი სდიოდა, კირჩხიბი წყალში, კით თვეში ტაფაში, იხრაკებოდა.

ა ა მ ბ ი კ ო

თუნა ღრუბელს ცვარი ენამა,
აღად გახადის სიცხემ წენამა,
მალლად მფრინველი მოჰკლავს ფრენამა,
გითა ფარჯანს სანთელთ ჩენამა,
და «ჭაერი შეწეა» ვერ თქვას ენამა.

ამსობაში, ღომი თავის წინა საგონებელთა ჩავარდა და იტყოდა: ესეთსა პაპანებათა შინა, სადაფი პულგონთა შინა, როგორადაც ქათამი ღუშელთა შინა იწვის, და სალამანდრა მზის სიცხით ცუცხლიდამ ვერ გამოსულა! ესეთსა დროსა ესე საქმე ამინდა, ვინ უნდა ვპოო ჩემის სამსახურისათვის თავ-გაწირული, და გარჯილობისათვის არ შეზარებული, და ჭაერისა სიმხურვალეთაგან უნაღლეული, რომე საქმე ესე კეთილად მიურვოს? რა ღომი ამას იგონებდა, კუფსი მოვიდა და ხსენათა მოსამსახურეთა-თანა დადგა, და რა ნახა ნადირთ ხელმწიფე საგონებელსა დიდსა მეოფი, აზრა, საქმესა ამას შინა წყალობისა სიმრავლე და ჭბუგობის გამოჩენა უნდა იყოსო, წარდგა სახელმწიფოსა სხატა წინარე, ხელმწიფის საგონებელი გამოაიეთხა და ზედ მიწვენით შეიტყო, და მის საქმის გარიგება თავს იღუა, და ღომს გამოეთხოვა და მისნი მოსამსახურენი წაიტანა, და შუადღეობის მას ადგილს მიიწია⁸⁵, საქმეს რიგება დაუწყო და მალე თავისის გულის ნებისად აღასრულა და შემოქცევის სადავეს ხელი მიჰყო. რომელნიც ხელმწიფის მოსამსახურენი და რომელნიც მისის ბედნიერობის აუყანდათ ემსახურებოდნენ, მოვიდნენ და მოახსენეს კუფსსა: ესოდენი სიცხე თავს ვიდევით და ესოდენი გზა ვვლეთ, და უოკელი ბრძანებული ვათავეთ; აწ არა რა საჭირო გვაქვს, რადგან თქვენისა ერთგულობისა სიმტკიცე მალაღის ხელმწიფის წინაშე* ღამიშვებრ ბრწყინავს. აწ ჩვენ ამას მოგახსენებთ: მტირე ხანს ერთსა ჩრდილთა შინა განვიხილეთ: თათლებრივის წყაროსა სმითა ცუცხლითა შემწვარი ენა გავიგრიდეთ,—ესე ჭკვისა ახლორე გიგონიაო.

თქვის ღეჰსი

ცხელა და განსკუნება სჯობს, არ ჭირთა ტვირთავდ კიდეა,
იმუბდე, გარჯას არა აქვს, კით ზღვასა. ახლო კიდეა.

კუფსს გაეცინა და კერე უთხრა: ჩემი გამარჯვება და ჭბუგობა ხელმწიფეს მოხსენებია. რომელიცა მოჭირვებითა და ღვაწლითა მოსაწონი საქმე მიქმნია,

⁸⁵ ვარიანტი: ადგილს მივიდა.

* თუცა ოხსსავე ხელთ-ნაწერებში, რომელით შემოწმებითაც ჩვენ ვებუჯდეთ ამ თხზულებას, მაღალს ხელმწიფის წინაშე-ს მაგიერ სწერია «მაღალს ხელმწიფეს წინაშე», მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს გადაშვერთ შეცდომას უნდა მიეწეროს, რადგან თანდებელი «წინაშე» და თვით მოთხრობის აზრი ცხადად მოითხოვენ აქ არსებითის სახელისა და მისის ზედ-შესრულის ნათესაუბობის და არა მიცემობის ბრუნვას. რედ.

აწ მას ჩემთა ნაქმნართა მოსკელებით შირ-ჭვე დაუცვე; რომელიც სიკეთით საფუძველი დამიდებია, აწ ჩემიხ განცხრომისათვის და განსკვნებისათვის მიწადმდე დავარღვიოო?! გარჯილობასა და სამსახურსა არა საუნჯე არ შეედრების. გულო კლით გაურჯელად საღხინოდ კარდსა ვერ იხელთებსო.

თქვა შაირი

თუ ჭირი კაცმან მეფისთვის ქმნას და თავს იღვას შრომანი, ისარსა ფარად დაუდგეს, ხრმალს მისცეს თავთა ზომანი; თავლი წელით, გული სისხლითა უწყვეტლად ქქონდეს წთომანი, და მაშინ შეიძლოს საწადლის კისერთა ხელის წდომანი.

ამისთა მსრენელთა ეს სიტყვები უგელა ლომს მოახსენეს, და ამ სახის წერილი თავით ბოლომდის წაუკითხეს. ლომმან საწყალობოდ თავი დახარა და ბრძანა, სმასპეტობა და თავობა ესეთსა კაცსა ჭყერობსო, რომელსაც თავისა გარჯილობისა საუკლოდამ ამოუოფა შეუძლიაო. იგი გლეხთაც საქმეთა კეთილად განაგებს და დამშვიდდებინ, და თავთა მოსკელებისა სასთუნაღზედ დასდებუნო.

თქვა შაირი

ჭვეუნად სიმშვიდის მოღება თუ მეფეს უნდეს რომელსა, თვით მოსკენებას მოიკეთოს, მიხამავს ჭვეუნის მზომელსა; თუ თვით არ იღწვის, სიმშვიდე ჭვე მოეჭრება მწერომელსა, და ენატრი მას, თემთა მშვიდობას თვისისგან უფრო მნდომელსა.

მას უკან, მას ვეფხს მოუწოდა და სხვათაზედ აღამაღლა, და მისის სამკვიდროს ტყის ჰატრონობა საჭილდაოდ უბობა, თავისი მამის ადგილი ატრეკ წყალობა უყო, და თავის სახლის გამეკობა მაზედ დაუმატა. ამ არაკის სარგებელი ეს არის, რომ ამ იგავით ესე სცნათ: არას კაცს, თუ არ ცდიოთ, თავის საწადლის მზე აღმოსავალით არ ამოსვლია, და მოუძებნელად კაცს თავისის ნატრით მოსავალი ვერ მოუპოვებია.

თქვა ლექსი

მაჯნად საუნჯეს ვინ შეჭრებს დებით უღები მცონარნი,
სარეწავს ხელთა მიიღებს მუშაკობისა მწონარნი.

მერმე ბრძანა: ეს მგზავრობა ცოდნისა და მეცნიერობის ნდომისა არის. წასკლად მოუშლელად მომიწადინებია, ცდისა და მოჭირკებისა ფერხი სიარულის აყუანდათა ჩამიდგამს. გარჯით ცდა ჩემის წაუსკლელობის წერისათვის ქარტასა ვერ იშოვნის, კიდრემდის სულწიფის ამაღლებული და მტკიცე სადავე გარე არ შემოიჭყვევისო.

თქვა ლექსი

მეფეს რა ჭველის საქმენი ენებოთ ქმნითა ოცითა,
საწუთროსაგან არ იქმნეს, ნუ გიკვირს ეს სოცითა.

გვიზირებმა რა სცნეს, რომე მათი არაკობა მისსა წასკლას ვერ მოშლიდა,

შეითქვნეს და რაცა სამეფო სამზადისი და საბარგული სახმარი მოუნდებოდათ, უოკელები სვესაბედნიეროდ განაწესეს, და წამ-და-წუთ მალღითა სძითა ესე ზახილი სიმგრეკლესა ცისასა აღიწოდა:

ღ ე ქ ს ი

მკზაერობა გწადს და წაცხვალ, ღმერთი გიძლოდეს მკვალსა, წმიდათ ოხითა განერე საფათურაჲო მრავალსა!

რამ-დაბიშლიმ თვისი სამეფოს საქმე განაგო და ერთსა წარჩინებულსა და კეთილად გამგებულსა და ბრძენსა კაცსა მისი განწესება მიანდო. გლესთა საბრალეთა ჰატოვი და ხელის შეწყვენათა ანდერძი მისსა სამეფოთა შესამოსელთა ჰატოხსნად შეერდა, და მის გამგისა გულის ყურთა შინა წაუგითხა, რომელი-საგან ერთი ეს არის.

რ გ უ ლ ი

ჭეჟუნსა სარკედ შეიქმნა აღექსანდრესა წესითა, მის მსგავსად შენს ჰირს ხედიდე, ნუ მისგან უარესითა; შენს ხატს კეთილად გერ ნახე, ლიფიფ ახითო კვესითა, და თუ უსამართლოს ფარილსა კარგა არ გასოცს ღესითა.

გიოთ დილა გამოანათლე, თუმი სად მოკა, მზე სითა? წყეკლას კერიდე, გაჭებდენ ხმელნი კეთილის თესითა, კაცს კერე მწულეული გერ ავებეს, ისარს ესროდენ ზესითა, და რომ ერთის ბერის სულთქმანი ღმერთსა შეესმის კვესითა!

რამ თემის გარიგებისაგან გული სანებეროდ დაღვა⁵⁶, მისის მისანდობელის უმათაგანნი გამოიძრინენ, კვირითა და შინა მოსამსახურებითა საჩანდიბის მთას მიმართა. მთვარულად სავანესა მიადგებოდა, მზესავით ქალაქსა და ქალაქსა მიეფინებოდა და უოკელთა ადგილთა ერთ-რიგად რამ გამოსცდიდა. უოკელთა მოგზაურთაგან თვითთს რამ სარკებულს შეიძინებდა, სავანეთა რიცხვეკვდა, ზღვათა და ხმელთა საზომთა აპერობდა, სიფხის ჭრტაღლსა და სიცივის ნეფხვასა თავს იღებდა. მასუგან საჩანდიბისა სანასუბი გამოჩნდა, სიფოცსლის მომმარტებელი მის თემის სუნნელება ხელმწიფისა ტვინთა ეუნოსა.

თქვა ჩახრუხაული

შენის არითა დილის ქართა ვისცა ეუნოსოს შენი სუნნელი, საყვარელთ თვისთა, ნათესავთ თვისთა, ვით აშხავი სცნას რა საწყენელი.

სამსაოდ დღეს საჩანდიბის ქალაქში დღის მაშვარლობისაგან განისვენა და ბარგთ ნამეტნაობა და მძიმე საზიდარნი მუნ დაუტკვნა, და სამიოდ სუფეწულითა მთას მიმართა. რამ მთის თავსა ზედა ახდა, ნახა სიმაღლით მთა გასაოცებელი, რომელ მის თხემისა აჩრდილი მზის თვალთა მიდგომად სავონებელ იყო, მისის ხრმლის ელვარებასა მარხის მახვილსავით შუქი აებრწყინებინა.

⁵⁶ გარიანტი: ა) საბედნიეროდ დაღვა; ბ) საბელუროდ დაღვა.

თქვა შიში

ცის ბრუნვას მწვანე ატლასი გარ შვემოს წებობილად,
ბუსტულის ფერი ხაკედი ზედ მოეფინა მკობილად,
ეთერის შბრძოლად, საკვანად წვერი მიეყრდნა სობილად,
და ირისე მზის ჭკეშ მომწვანოდ თვალთათვის მოჩნდა ცნობილად.

ყოველთა ადგილთა მოცულისაგით რიგზედ შაშრა ამოსულოყო.

შ ა ი რ ი

მათ მწვანოვანთა ბეჭედის სიღამ გარ კრგო რიგებით,
კლდეთა ზურმუხტის ზოსტერი წელთ შემოკრტვა დიდებით.
მისის რუს ნურგი ედემთა, სეთ გვანდა კიდის კიდებით,
და წალკატნი სამოთხის დარნი, ვით ბალი ბაღთა მიდებით.

დაბიშლიმ ყოველთ კერძო მიმოკიდოდა და მას უცხოთა ადგილსა ღმერთ-
სა ადიდებდა, და სლესა მას შინა ნახს ჭკაბი ერთი, რომელთა სიბნელით თვა-
ლის სიშავესა მიუძგავსებოდა, და შიგან დაფარული მის სიბნელესა ანათებდა,
და მუნ მყოფთა მოსამსახურეთაგან გამოიყთისა და მათ მოახსენეს: ესე ერთი-
სა ბრძნისა ადგილია, მას სახელად ფიდ-ფაი ჭკვიან. ფიდ-ფაი სიტყბოების
მკურნალობდა გამოითარგმანების. ზოგთ ინდოელთ დიდთაგან თქმულა; მისი
სახელი ფიდ-ფაი არისო, და ინდოურად — «ჭეკავათათისა». ესე ერთი კაცი იყო
სიბრძნისა და მეცნიერობისა კოლოფთა ზედა აღმატებული, და ცხოვლის სუ-
ლის ჭკავარი სიწმიდის სამოსლით შეემო და ოქროსა და კვების ნდომისა-
გან განეწმიდა. მას უამსა შინა ჭკუნიერის ღვინის ნაცვლად ზრუნუ შეეტეო,
მცირესა საჩხოთა დასჯერებოდა, თვალთ სულოერის გზაზედა დაემტყიებინა, ამ
სოფლის სიცრუის კვანთა და კუროს-თაუნი ცეცხლის აწითა მოეწვა; მის
მღვიძარეს თვალსა სრულად ღამით მიღის სიტყბო არ ენახა, მის გულისა სა-
თქმელსა მარხვისა ლოცვისა და ღვთის გენის მეტი⁵⁷ არა მოეგონა რა.

შ ა ი რ ი

სასწაულთ ნიშთა მოქმედი გამართის რამე რაც ხრილი,
აღმსობილთ კაცთა ჰირის მზე ზედ არ მიიკრა რაც ხრილი,
სიტყვით შეიგნის ყოველი, ცათა კისათა რაცხრილი,
და ცათ განსებათა შემტყობი, ხელთა მიიღის რა ცხრილი.

დაბიშლიმ მისის სახვის წადილითა მცირესა ხანსა ჭკაბისა მის კართა
დაიყოვნა, და იგი ბრძენი გონების ენითა შინაგან ილოცვიდა, და გული გაუ-
ნათლდა განშორებულსა მას. და გამოკვსადა, რომე ჭკუანათა მპურობელი მეფე
კართა ზედა დეას, და არაბულითა ენითა უხმო: «შემობრძანდი მშვიდობით⁵⁸
სასლსა მშვიდობისას!»

შ ა ი რ ი

მეფე შევიდა სიბრძნითა სრულად საესეს სოროსა,

⁵⁷ ვარიანტი: ღვთის ხვეწნის მეტი.
⁵⁸ ვარიანტი: შემობრძანდი სიცოცხლით.

ქება მის მიერ შეიმკო, ჩინელთ სახლს მიესწორას.
 მის ბერის სასამსახუროდ უოფს თავი გაიხროს,
 და მონურად სარტყელ მორტყმულმან გული არ განაშორას.

ჩა მიხედა განშორებულსა, იხილა რომე მარტო უოფის თერხი ქვეყნასა
 ზუდა დაეღა და მეცნიერობისა და ცოდნისა დროშათა სიბრძნის მინდორთა
 ატარებდა; ანგელოზის სახესა მისი კვამი კისკაკსებოდა, მისი სიწმიდე დიდუ-
 ბულთ სულთა აღეროდა. შეატყო, რომე მისი საწაღელი მისგან აღესრულებო-
 და და მის პატრონისა ბუნეობისაგან თვისსა სატრფიალოსა მიეწოდა.
 დიდისა კრძალვითა შევიდა. ჩა ბარამანს დაახლოვდა, სამსახურისა და ლოცვისა
 გზაში შევიდა და სასამსახუროს ადგილს დაედა მოკრძალვითა და ნიშებითა,
 და ბრძანება ჰკადრა. გზისაგან დაშრომა და მეზარობისაგან გარჯისა და შეწუ-
 ხებისა და ლხინისა და მოსკნების მოშორების მიზეზი გამოჰკითხა. დაბიშ-
 ლამ სიზმრის ნახვა და საუნჯის პოვნა და ანდერძის წიგნთა ხელთ გდებათა ამ-
 ბავი, და სარანდობის მთისაგან მისთვის წამოსულა, თავით ბოლომდის უამბო.
 ბარამან გაიღმა და თქვა: ღვთისაგან იყურთხოს მეფე იგი, რომელი მეცნიე-
 რობის ნდობისათვის ესოდენი შრომა თავს იღვას, სპარალოთა და გლეხთა
 მშვიდობისა და მოსკნებისათვის ესოდენი ზრუნვა, ჭირი და ნაღველი მოით-
 მინოსო.

უთხრა შინაძი

ღმერთმან გადიდოს, მეფეო, ორსავე სოფელს დიდებით,
 ჩადგან ურმათათვის იგლები, თუმი გიტვირთავს ზიდებით,
 რხერთა გინდა შენობა, შენობა სრულ დამშვიდებით,
 და რწყავ წყლითა, ხმელთა ანუღლებ, ნაყოფს არ მოჰკრეფ რიღებით!

მერმე ბარამან დაფარულის კოლოფის თავი აქნადა და რაის სასმენელი პატრო-
 ნის თაღმარგალიტით ააქსო. რაოდენთამე დღეთა თვისისა საქმისაგან
 მოიცადა და მისსა წერთასა ხელი მიჰყო. მას საუბართა შინა უშინ-
 გის ანდერძის ამბავი ჩამოვარდა. ხელმწიფემ თითო და თითო
 ანდერძი ბრძენსა უთხრა. ბარამან მისის სიბრძნის კარ-
 დამ რაის პასუხის ძლევა დაწყო. დაბიშლამ გო-
 ნიერის კალმით გულთა მატანეთა ზედა იწერდა.

ქილილა და დამანას კითხვა და მიკება რა-
 სა და ბარამანისაგან არის. ჩვენ იგი
 ათოთხმეტი კარი, რამ ერთის .

რიგით წიგნებისაგან გა-
 მორჩეული .იუო ,
 მის გზით გა-
 მოვთქვით.



კ ა რ ი ა.

ჩიღი ორ-მნა ქაინსა და მიუნდოგელისაზან.

ჩაი-დაბიშლიმ ფიდ-ფაი ბრძენს უბრძანა: შირველის ანდერძის წერილი ეს იყო, რომე თუცა კაცი ვინმე თვისისა მკუპტრონისა წინ სამსახურით წად-გეს, და მისის წყალობით თავ-ჩინილი შეიქმნას, შურიითა და სიქიშხით მისნი ამხანაგნი აუმტრედებიან და მის წახდენას ეცდებიან, და ხერხით მის-ზე ხელ-მწითის გულს გამოხცვლიან. მეფეთაგან წესია შემსმენელსა და კშმათ მოჟუარეს კაცთ ყური არ მიუპურას, გასინჯოს, მოიგადოს და გულის-ხმა ჰყოს ზე-ზღუბა. სიბოროტისა კიდე არა არის რა, რომე მათს სიტყვას არ ისმენდეს და არც დაიჯეროს.

შ ა ი რ ი

აჟ-ენა კაცსა შენს წინა ნუ მისცემ გზასა მარებლად:
სამსალას ურთავს შაქარსა საკვდავად გასამწარებლად,
შირად ტკობილს გეტყვის, გეგონოს მოჟურისა დასადარებლად,
და გასინჯავ, ლახურის უმწარე დაგასო არ საკმარებლად!

აწ ბარამანთან ეს საკვდრებელი მატეს, რომე ამისნი შემსტავსებულნი იჯუ-ნი მითხრას: რომე ერთის კაცის სიტყვა რა ხელმწითის წინ სათნო იყოს, მას შურიითა და შესმენით ერთგულის სიდიდის საფუძველის შერყევა, მტრისა და მოაუისაგან მისი დაშორების საქმე რაკვარად იქმნებისო. ბარამან მოახსენა:

—მეფეთ საფუძველთ სიმტკიცე მავა ანდერძითა დამეარებულა: თუცა ხელმწი-ფემან მახეზდართა და შეშურნეთა და აჟ-ენა კაცთა მათი სიბოროტე, შესმენა და აჟ-სიტყუაობა არ მოაკვთინა, ბედნიერობის მარიგებულთა და ერთგულთა სამს-ხურისაგან ხელს აადებინებენ და წახდენენ, და რა ისინი სამსახურს დაშორდე-ბიან, ხელმწითისაგა და ჭკუენის დასაკლისი იქმნება. ჩხუბიანმა და მეშურნემ რა ორს მოჟუარეს შუა სამდურავისა და გულ-კლებისა გზა ჰქოლოს, მათში სამდუ-რავი და დაშორება გატრძელდების, როგორათაც ლომისა და ხარს მოუხდომ. რაიმ ჰქითხა, როგორ უოფილა?

ბარამან თქვა არაჟი

ერთი დიდ-კატარი იყო, რომელსა ზღვა და ხმელეთი მოკვლო, აღმოსა-კალით დასავალმდე უოკულივე ენასა, ჟამთა და დროთა სიცხე და სიცივე მრავალი შემთხვეოდა, ამ სოფლის სიტკობოსა და სიმწარის გემოვნება ენასა.

ჩახრუნხაულო

ბრძნულად ჭკვიანი, საქმით გზიანი, მშვიდი და წყნარი, მეტყველი ტკობილად, მცნობელი თვალთა გამონათალთა, ღართა სუიდაში არ გახდის წილად.

სიკვდილის ლაშქარი უსუსურება და სიბერე არის, რა მისის ბუნების თვით რბკვა დაიწყო, მეომართ რაზმთა წარმოდგინება მსცოკანება, და მის გუამის გარემოს დაიპყრობს.

შ ა ი რ ი

სიბერის სენმა დაფდაფსა რა დაჭრას სმენად ყურისა, მსცო მორიქული საკვდავი, კის მოსკლად არა სურისა, ძალის მოკლება, ღხინთ წასვლა, რა ნახა უსუსურისა⁸⁹, და ზურვის მოხრას სალაში, სიკვდილს რა მიეწურისა.

დიდ-გაჭარმან კაცმან სცნა, დღითი-დღე მისის წასვლის ბუკსა და დაფდაფსა უცემდენ, და მისის სიცოცხლის სათავეს ერთი საუნჯე, რომელიც კვამის ზარდახმთა შინა ედვა, მისი თხოვნა დაუწევს. მოუწოდა მეთა თვისთა სამთა. დაა ჭკვიანნი და ხელ-გამომავალნი ყრმა კაცი იყენეს, მაგრამ ჭახულობის ამპარტაკანებითა და უგვანის მედიდურობითა მართებულის რიგისაგან გარდასრულ იყენენ, და საფორიაქო ხელი მამის ქონებისათვის მეტად ახარათ, მოგებისა და მოპყირნობის სახელი დაიწვიებოდათ, მათს კეთილს სიცოცხლეს⁹⁰ უქმობით და უგუნურებით აღამებდეს. ძამამან მათმა მოწყალებითა და შებრალების გზით, — ვითა მამთა წესია, ჭკვასა სწვრთიდა და სიბრჩისა კართა უღებდა, თვალ უხვავად შიშსა და იმედსა წინა უღებდა, — უთხრა: ყრმანო ჩემო, თქვენ საქონლის პატივი არ იცით, ამდ რომე მის შეკრებაზედ კვზომსა არა გარჯილ ხართ. რადგან არა გამოგიცდიათ, ამის ჭკვის გზით თქვენთან მოვიტხოვო, რათა შეიტყოთ, რომე საქონელი სააქაოსა და საიქიოსათვის სკიანობისა ძირია. რაცა თქვენი საწადელია, ორისავე სოფლის დიდების შოვნსა საქონლის მეშველობით იქმნება და ხელთ მისცემს. ყოველი ჭკუენიერე კაცი სამთა აღსავლთა მუბნელნი არიან: პირველად, სიცოცხლის სიგრძე და მისი სახმარი და მისი მორთულობის სიადვილე მრავლის შემოკრებით იქმნების, რომე მათი ჭამა, სმა ჩანმა, დახურვა, ხორცთ-პატივი და სიუხვე მით არის; მეორე, მეპატრონობა და ძალათა ხარისხთა. აღსლვა, რომელთა ნებას საძნეო და სიდიდე და უფლობა და პატიოსნობა, ესე ორნი აღსავლნი უსაქონლოდ არ იქმნებისო; მესამე, მას საუგუნოსა პოვნა და განსასვენებელთა ადგილთა მიწვენა. რომელთაცა თვალთა მიწვიე მას-ზედა უჭირავსთ, ცოდვათაგან ხელი აუღიათ და მადლი მოუგათ, მათი რიგანი მოსავალი და უცოდველი საქონელი მათთვისაც მდლია, რომე საღმრთოსა გზაზედ დახარჯონ და შეჭირვებულთა მიანიჭონ, როგორათაც მას იგავის მცოდინარეს ორბელსა წიგნსა შინა უთქვამს.

თქვა ლექსი

უნჯი ოდესმე სჯულთათვის, ტყე, თქმულა მოსახმარისად: მადლის საქმელად, ჭკრივთა და ობოლთა შესაწყენარისად.

⁸⁹ ვარიანტი: რა ნახა უსუსურისა.
⁹⁰ ვარიანტი: კეთილს ცხოვრებას.

ერთსა მეცნიერისა ვისმე უთქვამს: აწ შეიბეგნო, საქონლის გურთხევით მრავალი სანადელი ხელთ მოგვეცემისთო, და საქონლის შოვნა მოუჭირებულად და დაუშრომელად შორად დარჩებისო; და თუ ვინმე საქონელი გაურჯულად იშოვნასო და მრავალი ჭირი არ თავს იღვასო, არც მისი ზატავი და ფასი გრადინებაო, და სწრაფად ხელთაგანცა გასცივიანსო. აწ უქმობისა პირი დაივიწყეთ და ხელთ-საქმართა და მოჭირებებსა შეუბნით, რაც ვაჭრობის საქმე და გზები ჩემგან გინახვით და გასმით, მას ეცადებითო.

უსუფესმან ბემან უთხრა: ჭე, მამაო! თქვენ ბრძანება ჩვენის ხელთ-საქმროსა და მომჭირნობისათვის თქმული, უოკლადვე კეთილი არს, მაგრამ, მე ეს დაჯერებით ვიცი, რაც ჩემთვის მდღევარი განწესებულია, მისსა შოვნასა განაღდა არ კვდალო და არ მოვიღვაწო, კრევა მომეცემისო, და რაჟცა ჩემთვის განწესებული არ არის, რაოდენცა კვდალო, გარჯითა და მოჭირებითა არა მომეცემისო.

თქვა შინაი

დღითი-დღე საზრდო მიეყვს ბედისგან განწესებული, რაჟცა არა აჭეს, არ იქმნას, აგრევე ეგოს ტუული. მამა, რაღათ ვსდევთ, კერ კპოთო, წინავე გეჭონდეს დებული, და ცუდიან, შრომით არ მისვდეს მას თვისი იმედებული.

მე მესმა ვისგანმე, ბრძენს ვისმე უთქვამს, რომელიც ჩემი ბედისაგან იყო,⁶¹ ოდესცა ტაჰეც კალთას მომეკიდაო, და რომელიცა ჩემი ბედისა არ იყო, რაოდენცა ვდივე, კერ მიკვირეო. მამა, აწე რომე მოჭირებება დაივიწყოთ, და ან უქმად ვიყოთ, არც ერთი არა იქმნება რა: რაც პირველ ჩვენთვის ბუდად არ განწესებულია, მის მეტი ჩვენ არა მოგაკრებმა რაო, როგორც მის მეფის ორთა ბეთა არა-გი ჩემს სიტყვას ემოწმება, რომ ერთს გაურჯულად თავის მამის საუნჯე ხელთ ჩაუყარდა, და მეორემ მის საუნჯის ხალისითა სელმწიფობაცა და მამული ხელით გაუშვა და უკლავა დაკარგა. მამამ ჰვითხს, როგორ ვოთფილაო?

შვილმან თქვა არაკი

ქალბის ჭეუანას ერთი ხელმწიფე იყო ამაღლებული და სვიანი, ბრძანება გაკლენილი, მრავალ-ვაშიერი და ბრძოლასა და ომსა შინა გამოცდილი, და დღე-ღამეთა ფერ-ჭნეულება ენახა მრავალ გზის. ორნი ბენი ჰქეეს, ჭაბუგობის⁶² სილადის მორეკას შინა მცურავანი, გამარჯვების ღვინით შებრუნებულნი; ნიადგ განცხრომასა, ღხინსა და საყრავთა შეეჭტეოდენ, ამოს ხმის სიმღერასა ჩანგისა და ჩაღანის პირით ისმენდენ.

თქვა ლექსი

ღხინსა და შეუბას ვეცადოთ, კერემ თავლს დაიხურეკედეთ, სთველი მოდის და არე ჰქრბის, კიპურათ კერ დავიმეჭვედეთ.

⁶¹ ვარიანტი: რომელიც ჩემისაგანი იყო.
⁶² ვარიანტი: ჭაბუგობითა.

ხელმწიფე დიდად გამოცდილი იყო და მრავალთა საუნჯეთა უფალი, და თვალმარგალიტთა და სამკაულთა რიცხვი არ იცოდა. შეიღთა რა უმართებულად ხედვიდა, დაღობდა, ამისთვის რომე მისსა შეძღვრამდ მისი სიმდიდრე განიხნოდა და უადვილოს აღაგეს დაუჭირებლად ქარის სატაცებლად შეიქმნებოდა. მის ქალაქის ახლოს ერთი მარტო მუთუი განშორებულ იყო, ამ სოფლის დიდებისათვის ზურგი შემოკქცია და პირი. მისი იმ სოფლის გზისაკენ საგზლიანად მიეპყრა.

ღ ე ქ ს ი

გული შესწოდა სურვილის ბრწყინვალეებისა ალითა,
ტრფივლებითა მოწყულელი უდაბნოს მუთუთა ძალითა.

ხელმწიფე იცნობდა და დიდი სასოება ჰქონდა მისგან, და თვისი საგანძური უოკელივე სხვათაგან უცნაურად შემოკრიბა, რომელ არა რა კაცთაგანმან არ უწყოდა, და მას მარტო მუთუსა მიანდოდა და მისსა ჭკაბთა შინა დამარხვა უბრძანა, და ანდერძად ეს დაუგდო:

« — სვეტულობამან და დიდობისა ხელმწიფობამან ჩემთა შეილებთაგან საკეთილშინი მიიტაცეს. აჲ ჩემის სვე-სვიანობის წყაროს სათავე, რომელ, წყლის სათავის მსგავსად, მოჩვენების კიდე არა არის რა, მიწათა სიღნოთა და შრეს. შეიღნი ჩემნი უჭონელი თუცა შეიქმნენ და დაჭირება მიადგეს, მაშინ მათ ესე საუნჯე საქონელი გამოუჩინეო. ნუ თუ, შეწუხებისა და გატყობისა ნახვის უგან ჭკაა მოიპოვონო, და მერმე ეს უნჯი რიგიან მოიხმარონო, უმსგავსოდ არ წარაკონო და ცუდად არ გააბნონო. »

მან მარტო მუთუმან მეფის ბრძანება აღასრულა, და მეფემან არავისგან ცნობისათვის თვის საწოლის შიგნით ერთი ადგილი შემზადა, ყველაგას ასე კოხნა, თავის საღარო მასი დაუმარხავსო, და მისნი ძენიც გულ დაჭირებულნი ისარებდეს და იტყოდენ გონებათა შინა: თუცა დაჭირება რამე შეემთსვას, რაც მუნ შეკრებულა ჩვენთა სიცოცხლეთა საზრდოთ გვეოფათო. რა მცირემა ხანმა გამოკლო, მეფე და იგი მარტო მუთუი, ორნივე სიკვდილის მასპინძლობისა წვეულად წავიდნენ და, სოფლის მოსთვლების ღვინით მთვრალნი, შეხედილნი დაეცნენ.

ჩახრუნაული

გინც დაიბადოს, კერ დიქადოს, რომე არ შესვას ესე სასმელი;
ამ სოფლის წესი, გვართ დანაწესი, ლახვარი ეცეს გულთა სასმელი

და საუნჯე იგი, რომელი მას მარტო მუთუსა თავის სენაჲში დაეპარხა, უოკლის კაცისგან შეუგნებელი დარჩა და არა ვინ უწყოდა. მეფის იგი ძენი, მამისა სიკვდილს უგან, მამულისა და საქონლის გაყოფაზედ აიშლნენ და მათ შუა ბრძოლა შეიქმნა. უხრუნესა მამა ძალითა და უფროსობის გზით უმცროსსა მასსა სძლია, რაც მამის დანარჩენი იყო სრულობით თვითან დაიპყრა და დაეპატრონა, და უმრწემესი მამა სრულიად ცალიერი გააძო. ხელმწიფობისა და

საქონლისაგან უიმედო და უნაწილო დარჩა*, თავის გონებათა შინა თქვა: რად-
გან სიდიდისა და სიმაღლის მზემან პირი დასაკალს-ჩასაკელისაგან გაიბრუნა, და
ჩაღხისა ბრუნვამან, გატანჯვათა ხელისანმა, ჩემზედა ორგულებსა და მტერობს
გამოიჩინა, აწ კიდევ ამ სოფლის ნდომასა და ხელის კიდებას რაღა ხელი ეუ-
რებისო?

თქვა შაინი

სოფელი სიყრმით, სიბერით, კაცთ ახლავსთ მოუხმარებლად:
დღეს შენია და ხვალ სხვისა, დაკალს ვეკლასთან სარებლად!
ქრთილად შინს ესე საწუთო⁶⁸, ქრთილთავე შესადარებლად...
და სჯობს, ცათა სახლი ვიშენო თავისა შესათარებლად.

ამის უკეთესს რაღასა ვიქმ, რადგან ბედნიერობის სუელო ნებეიერობის ხე-
ლიდამ დამკარდა, აწ სიმაჩილის დაჭურების კალთა ხელთ-უიგდო, და მარტო
მყოფობის ხარისხი რადგან გაურჯული მყოფობა არის, იგი ხელად ავიღო.

თქვა შაინი

უდაბნოს მყოფთა სარწმუნო რაცა აქვსთ, უცოდველია:
არა აქვსთ რა და ყვალა აქვსთ, ახალის თუ ბეულია.
მწირთ ჭჭიანთ და შითა აქვსთ ჭკუების მყოფობა ვრცელია,
და მსოფლიოს ზრუნვას კელტანს, მას ესეკენ, ვინცა მცველია.

მერმე, ამა აღთქმისა გონებითა ქალაქი გამოკლო და გონებათა შინა იტ-
ყოდა: მარტო მყოფელი იგი, რომელი მამისა ჩემისა მეცნიერი იყო, მივიდე
მასთანა, და მის სენაკს დავდეკ, და მისსა ფერხთათანა ვიდევარო, და მისთანა
ლოცვისა გზებზე ვიწვრთიდეო. რა მუნ მივიდა, სცნა მისის სულის ზორაჟი
გემის გაღითაგან გასულიყო და სამოთხის წალკოტისაგან გაფრებილიყო,
და მისი სენაკი გულ განათლებულის მარტო მყოფელისაგან დატარებულბულიყო.
მცირეს ხანს მისმან ნდველმან შეაწუხა, და მერმე მის ადგილს დასადგომელად
გული დააჭურა, და დიდისა წადილითა მას სენაკსა შინა დაემკვიდრა. მის ადგი-
ლის სიახლოვეს ერთი ჭა იყო, მას უდაბნოდამ ჩეთხარათ და მისი გზა სხვას
უდაბნოში გამოკლოთ, რომე მისი ჭის წყალი უდაბნოში მოკიდოდა, და მუნ
მყოფნი მას ხმარობდენ. ხელმწიფის შეილმან ერთს დღეს ჭაში თოკი ჩაუშვა,
და სხვა რამ ხმა გამოხდა. ჩაიხედა ჭათა შინა, წყალი არ იდგა, ეწეინა და
სთქვა: რა დამართებია ჭასა ამას, რომე წყალი არა სდისო? ნუ თუ, ჩამომშვლად
ორმო და მის გამო სადინარი წყლისა ჩათარაო? ამის საცნობელად ჭათა ში-
გან ჩავიდა და ორმოთა გარემოთა სინჯვიდა. მუნ შინა ერთი ხვრელი ნახა,
იქილამ ერთი რამ მის წყლის გზათა ჩავარდნილიყო, და მის გამო წყალი აღარ

* ამ წინადადებაში გადაშფერო შეცდომით უნდა იყოს გამოშვებული: «უმრწემესი
ქმა». ამ ქვეშედაბრეს და ზედშესრულს სახელს ცხადად მოითხოვს თვით მოხარობის
აზრი ამ მოხსენებულს წინადადებაში.

⁶⁸ გარინტი: საწუთრო.

რედ.

მოდინდა: რა ნახა; თქვა: ამისა წყალი სად უნდა სდიოდესო, და ან ეს ხერხი
სად გაეყო? რა ის ხერხი განსაგანიერებულად თხარა, თერხი რა ჩადგა მის ში-
ნა; საუნჯე იგი ქპოვა.

ხელმწიფის შვილმა რა უამაგრი⁶¹ საფასე და განძი ნახა, ღმერთს მადლო-
ბა შესწირა, და თქვა: თუცა ურიცხვი საფასე და თვალ-მარგალიტია, ამისთვის
ღკთვის მონობილამ და ამ მარტო ყოფისაგან ხელს არ ავიღებ, და არას დაჭი-
რებით არ გავალო, და ამის მის გზასუდ წარვაგებო.

ტ ა ე შ ი

ამ დათარუდით ენახოთა, რასა შობს, რას ვასახოთა.

მის უხუცესს ძმასა გულ-დაწინარებით მოსკეუბა ქტონდა: ლაშქართა ჟამა-
გირსა აღარ აძლედა, გლეხისას არა ზრუნეიდა. მამის სალარო ატრეე დამარხუ-
ლი ეგონა, და მისი იმედნეული, რასაც შობდა—ცუდად წარაგებდა; ამპარტავნო-
ბისა და მედიდურობისაგან ძმა გააძო და მისი არა იამებოდა რა. ამალობაში,
ერთი მტერი აუჩნდა, ბუმბერაზნი მოიმხრო, და მისის თემის დასაპყრობელად
ხრმლის კერად წამოვიდა. ხელმწიფე ესე, საფასე უქტონელი, ლაშქარ მოშლილი,
მოვიდა, სადაც მამის საუნჯე დამარხული ეგონა—მით ლაშქარი მოემრავლა. რა-
ზომცა ძებნა, ვერ ქპოვა; ცდილობდა და მრავალს მიიყეს ექებდა—საწადლის
მოსავლისაგან სრულობით უნაყოფო დარჩა.

შ ა ი რ ი

რასაც ტუტევი, ეს რჩევა შენდა დაიდევ წინარე:
გულთაგან ზრუნვა გააძე, ნაღველი მოსაწინარე.
ხისხლის სმა არის ურგებად, თავი შრომაზედ ვინ არე,
და რაც შენი ბუდი არ არის, ვერ ქპოო შესაძინარე!

რა მის საუნჯის პოენის სრულიად უიმედო შეიქმნა, სხვა ხერხებით ესო-
დენი იღონისძია, ლაშქარი რამ შეყარა და საბძრლად პირი მტერს შეაქცია,
ქალაქით გამოვიდა, და საომრად რა მიდგენ, ორსავე მხარეს რაშია გააწეეს,
და სასიკდილო ტყენლი ადგუნეს. მის მტრის ლაშქრიდამ გამონატყორცი
ერთი ისარი მეფეს საკვდავს ადგილს ეჭა, და იქვე სული წარსდა; ეტრეე აქ-
დამ ნსკოლმა ისარმა მის მხრის მეფე მოჰქცა. ორნივე ლაშქარნი დარჩნენ უპა-
ტრონონი. ახლარ-ახლარე იუენეს, რომე ბძმლისა ტყენლს შინა შეტყენილ-
ნი, ორთავე მხართა იწეოდეს; მერმე, ორთავე ლაშქართა სპასმეტთა ჟარნი
დამეშიდეს და შეიერთნეს, აჩივეს და დაასვენეს: სამეფო ნათესავთაგან ერთი
გუნება-უხვი, საქციელ-პატიოსანი ქპოონ ვინმე და იგი გაამეფონ, და ორთავე
ჭეუხნათა საქმე და საურავი მასხუდა მიადონ. ყოველთა კაცთა ტყვეს ამ საქმესა
მიემოწმა და თქვეს: თუცა ჭეუხის მპურობელობა მოხდებოდა, და ჭეუხის გა-
რიგებისა ბეჭედი მას ეფერებოდა, ჩუენის მეფის უმწევესი ძმა არის და მას
მიეანდოთო. შეითქნეს წარჩინებულნი და მის უდაბნოს კარს მიადგეს, და

ხელმწიფოს ბე ამადლეგულის დიდებით სიაროს მოწყენებდამ და მარტო მუო-
ფობისაგან აღმატებულს სრას მოიყვანეს და სვიანობის სნატოა ზედა დასვეს,
და, ღეთის წყალობითა, ის საფასვეცა და მამის სამეფოცა მას დაჩჩა. ეს არაჲ
ამისთვის მოგახსენე, არას საცადლოთა და არას მოჭირებოთა სამოკარი არ
ომოკების, ღეთის მოწყალებას უნდა მიენდოს და მისგან კეთილის მონიჭებას
უნდა ელოდეს და ზურგი მის მიერს სასოებას უნდა მიიხრდნასო.

თქვა შეწყობილი

ღეთის მინდობა სჯობს უოკელსა ეპტრობა მუშაგობასა,
რა უკეთია, რაც მოგცა მის სილამაზე მკობასა?
გული მას მტკიცედ მიანდევ, ნუ მისდევ ეშაგობასა,
შენი მდღეჲარი მოგეცეს, ვით ხელი ამიკობასა.
თუცა მოითმენ, მოგვიპა, დახსენ არაგობასა,
და შენმან ტრფიალმან გამოვლოს გლდოვანი თუ ვაგობასა.

შეიღმან ეს არაჲ გაათავა. უთხრა მამამან: რაცა მიითხარ, გზიანი და კე-
თილი იყო, მაგრამ სოფელი ესე საზოგადოდ შეიწვედ დაუცს ბრძანებასა ღეთი-
სასა, და უფროსი-ერთი საწუთრო საჭე რაცა ჩანს მიზეზზედ ჭეიდა, ამის-
თვის მოცადლობისაგან ხელსნობისა და მუშაგობის საჩეკებელი უკეთესია. მო-
ცადლების საჩეკებელი მოცადლებით მინდობილსა რადენ მიეცემის, და მუშაგობის
და ხელთ-საჭმრის საჩეკებელი თვითანცა და სხვათაცა ერგოს; რომელთაცა სხვა-
თა რეგება ძალ-უცს, უდებებით არ შეეწიოს და მარტო თვისსა რეგებას ცდი-
ლობდეს—ბოროტს იქმს. არა გასმია მის კაცის ამავი ქარისა და უკავის საჭ-
მეს უკან, კეთილი მიზეზი დაუტკეა და ამ მიზეზით ღეთის რისხვას მიხედა?
შეიღმა ჭეითხა, ვითარ უოფილაო?

მამამ თქვა არაჲ

თქმულა, ერთი შწირი ტყეთა შინა ვიდოდა, ცხოვნებისა ნიშატთა და
ღეთის საკვირველებათა საჭმეთა იგონებდა. ანაზღეულად, ერთი წერკალო სწრა-
ფი ქორი ნასა, ცოტა რამ ხორცი ელანჭითა კჭინა და ერთს ხეს დაბრუნვე-
და მოჭირებულის თრინვითა, ბუდისა ახლო მოსკლასა ცდილობდა. შწირმან
მას გაცდით ჭერეტა დაუწყო, ნახა უკავი ერთი, უფროთა, ბოლო დაცვივნული,
ბუდეთა ჯდა, და ქორი მას უკავსა მის საჭმლითა ზრდიდა. შწირმა ღმერთს
ძაღლობა შესწირა და თქვა: შენიმც ხელმწიფება და მაცხოვარება იქებისო, რომ
ბე უნაერთებსა ჭეკავსა, რომელსა თრინა არ ძალ-უცს და სლავისა ღონე არა
აქეს, ერთსა ბუდეთა მდებარე, უსაზრდელოდ და უძწიოდ არც ერთი დაციტეებაო.

თქვა ჩახრუნხულად

მიწისა შირი, ღეთიე განაპირი, ტახლად კვიშლია, სრულად ცხოველთა,
მოუყარე მტრეთა, ჩხვილთა და ბურთა ვეზრდის- და გვალხინებს უხეად უოკელთა:
კაცთა, მფრინველთა, ვინ დარბის ეკლთა, თკვითა და მისომთა, აგრეე მძოკელთა!
ღე ფასკუნეჲით, ბუზით, სადამად უზით, საზრდელს არ გეკავებს, სასძელს სოკელთა.

აწ რადგან მე ჩემსა მდღევარსა არ დაჟერებულვარ, და თავი სისარხის
ზრუნვითა უდაბურთა და უგზოთა ადგილთა ჩამივლია, და რას სერხით თითო
ლუმსა ჰურს აჭა-იქ მოვიშოკებ და საწმინტობას და სიმართლეს ვასუსტებ.

თქვა შინიო

მდღევრის თავს-მღებო მდღევარად არს მოცემული ზენითა,
მაშა, აჭა-იქ რასა ვად, ვითა გლასკაი რბენითა?
მოთმენით გული დაუსცადლო, სულ-თქმისა ამოდენითა,
და დღითი-დღე ხვედრსა დასჯურადე, ვიქმარ ესოდენითა!

აწ ეს მიჯობს, ამას იქით მოცადების თავი მარტობის მუხლთა ზედა
დავსდვა და კალამი მოღვაწების წერილისა ჰირსა გაჰკერა, ხელი ჰქვენნიერის
ლოქნისაგან დაიბანო და ერთსა გუთხეთა დაუსჯადე, და უდაბნოს მეოფთა წე-
სითა გული უსაკველის რიცხვის მიზენითა ღმერთს შეაკერაო.

ღ ე ქ ს ი

სასოდ ღმერთი სჯობს, ვიდრულა მთავართ შეწვენა-გებასა,
რა მათგან სულნი გავიდენ, განსწწნად იწყებენ გდებასა.

რა სამსოდე დღე-და-ღამე მარტოდ სენაკთა დაეუღა და კერა რა მო-
საელის ჰირი ვერ გაივდა, უქმელობით დაძვლდა და დასუსტდა. მისი სიმსნე
და ღონე ესრე მოედო, კვლარც ილოცა და კერა რა მეუღაბნოს რიგი კვლარა
ქმნა, კვლარც მარტობას დაადგა და კვლარც მოეყსინაობასა. ამისთვის ღვთის
რისხვა მოვედინა.

რადგან ამ სოფლის მიზენი, გზა და რიგი მეშვალობითა და შემწეობით
გარიგებულა, ღვთის ძლიერებისაგან შესაძლებელია, რომე უმიზენოდ საქმე იქმ-
ნას, მაგრამე ბრძანება: «შრომითა და ჰირის ოფლითა სტამდენ ჰურსა, და
ერთმანერთს სარგებელს და შეწვენას მისცემდენ ჰქვენის საქმის გასამართველად». -
და ესე უმჯობესია, შენ სხვას არგებდე, ვირემ შენ სსვისაგან რგებას ცდილობდე.*

თქვა ღექსი

ქორულად მოინადირე, შენგან საზრდოთა ჰქვაოდენ,
სხვისა ნაღვაწი ნუ გინდა, ვით ქორისაგან «უვა»-ოდენ.

ეს არაჲი ამავად მოვიუენე, რომ სცნათ უმიზენოდ არა საქმე არ იქმნება.
საუკეთესო მინდობა ეს არის, მიზენისა რასამე გზით გარჯილობის მტდელი
იფოს, და ღვთის მინდობასა და მადლობაზედ იდგეს, და იქედის საქმით მსოფ-
ლიოს სარგებელს იჭიროდეს. ერთს ბრძენს უთქვამს: მეშვებდე და შერებო-
დე, რათა მგონარება არა გეუფლოს, მდღევარისათვის ღმერთს მადლობდე,
გერემ არ შეიქმნაო!

* ამ ადგილს ოთხისავე ხელთ-ნაწერ გარიანტების ფურცელთ არშეიბზე მოქცეულია
შემდეგი შენიწვა: «სადაც სხულის წინააღმდეგ ჩნდა, ცოტა რამ ჩაღნი ვარა». ეს
შენიწვა თვით მთარგმნელს, მეფე ვანტანგ VI-ს უნდა ეუთვნოდეს. რედ.

თქვა შაირი

მინდობას ნუ შეუდრეკები, შემწე გიყვარდეს ცნებითა.
 მუშაენი ღმერთსა უყვარან სიმტკიცით, არ ოცნებითა,
 მიმნდო თუცა ხარ, ცდაცა ჭყუ მუშაობისა თნებითა,
 და საქმე ქმენ, მაგრამ იმედი ღმერთსა მიანდევ ნებითა.

მერმელა შეიღმან სიტყვა შეჰკადრა და ჰრქვა: მამო, ჩვენ არცაღა ღეთისა მინდობილ კართ, მოშოგებისა დონე გვაქვან, რომე შემოკრებსას ხელი მიუყოთო, და მრავალ მოწყალქმან ღმერთმან თვისის უხვის საუნჯით რაიცა ენებოს ჩვენად ბედად იგი ქმნასო. მამამან უთხრა: საქონელთ შოგან ადვილია, და შენახუა და მოხმარება ძელია. რა საქონელი კაცმან იშოგოს, ორი რიგი განკრძალა უხმს: პირველად ესრეთ შეინახოს, არ განახილოს და სსკაცა შემატოს; მეორედ, მტაცებულსა და მმარავთა და მყობობეთაგან დაიფაროს: საფასეთა მოყვარენი მრავალი უის, და მის საფასისა უფალსა მტერი უმარავი⁶⁵ ჭყავსო.

თქვა ჩახრუხაული

ცათ ეტლთა ჭტევა, მალ-მალ მოჭტევა, ჩვენთა ნიადაგ არ გეტაცებს ღართა,
 მაგრამ მრავალ გზით, მთავრითა და მზით მეფეთ კატარნი გამარცხეს მჯდართა.

მეორედ, მისის სარგებლის მოსავალი რიცხვით შეიგნას და იცოდეს, და სათაენოსა არა მოაქლოს, და თუცა მისი სარგებელი არ იემავა და თავისი-გან წარგება დაიწყო, მცირესა ხანთა დასრულდება და ოქროსა ნაცვლად მტკერი გაუმრავლდება.

უთხრა ღექსი

თუ ზღვასა წყალი არ შესდის—იგიც დაშრება კიციითა,
 კლდეც ძირს უკაფდე ნიადაგ, ვერ დადგეს იგი სიმტკიცითა.

ვისცა მოსავალი არა ჰქონდეს და ხარჯვას არ ეკრძალობდეს, გინა მოსაკებულთაგან წარსაკებელი მეტი ჰქონდეს—იგი მთხროვარებისა მორკეთა ჩავარდეს, და საქმე სიკვდილის ნატრად გაუხდეს, რაკვარადაც საქმე გაცრუებულმან ჭავრით თავი მოივლო. შეიღმან ჭკითსა, კვ საქმე რაცვარად უოფილაო?

მამამ თქვა არავი

ოჭრო და კეცხლთა მიწათ ჩაბნეკა ბრძენთა კეოდენ კერა გიძრახონ⁸⁷,
მაგრამე აეთა კაცთა უზავთა წყალობას ზედა იახონ, ახონ.

კუმ უთხრა: თუცა შენი მოდგმა შაშრით ჩხულეტაა, ჩემი უურტუმელი არისო. ჩაიუუნთა წყალთა, წყალს წალებინა და თქვა: ბრძენთ ნათქვამია, ვინცა გვარ-ჭებული არ არის, მისგან უიმედო იყო, და ესე გვარსა კაცსა რომე კეთილი უუოს კანმან, იგი კეთილისთვის ბოროტსა მიაგებსო: მან თუცა კაისთვის ავი არა ქმნა, ცოდვათც მიაჩნიაო.

⁸⁷ ვარიანტი: გაზრახონ.

თქვა შიარი

უკვარო კაცს რად მისცე საინასენი ზემონი?
 გინც გველი უბედ ჩაისვას, საქმე ჰეოს გასანემონი.
 ჭილი ჰკეთო ვერ მოგცეს შაქრის ლერწმისა გემონი,
 და კარდის მოკრეფას ხუ ელი, მეძვისა რწყო გარემონი.

ამა არავითა სცნას მზესავით ბრწყინვალე სელმწიფის გონებაჲსან, რომე შეთურბასა თვისი გულის თქმის სანაცლო. მისაგებელი ადრე უნდა უეოთ, ერთგულის მონის შეგონება გულის-უურით ისმინოთ, და ჭკვის გზით რომელ-ნიცა დიდად გზიან მოგასსენებენ—მას სანსენელი მიუშურათ⁸⁸. გიცი, მისის საქმის დასასრული ორგულეებისა და მუხთლობისაგან ცარიელი არ არის. მეურნაღნი სნეულსა საწყენელთა უცმელობასა ეტყვიან, და თუ მოუსმინა—არგებს, და თუ არა, და თვისის ნებით სვა და ქსამა, ესეთისა ქნითა უკან-და-უკან დამცლდება, ავაღობა პირთა მოიმატებს. ერთს ბრძენს უთქვამს

ლექსი

მწერთელი თუ რისხვით გეტუოდეს შენს სასარგებლოს სწკლათა,
 მოთებნა მწარობს, ხილს ისსამს უტებოსსა შაქრის ალათა!

დაიჯერე, მეფეთ ღონეთა მომსწყვედელი საქმისა ბოლოთა უზრუნველობა არს, და რა სელმწიფემ საქმე სუბუჟად მიიწიოს, და რა დიდი რამე მოსდეს, განცხრობით არა ინაღლოს რა, და იგი დაუტოვს,—როცა დრო გარდაელის, მტერს ძალი მოემატება, და თვისთა მასლობელთა გაცთა შეიერთებს და ერთსა ვისმე ამა საქმესა მიაჩემებსო.

მოახსენა შიარი

შენთა საქმეთა მიახვარ შენი ცნობა და გონება,
 სხვისა და სხვისა გისურთა რად მიაჩემო ქონება?
 მერმე, რა საქმე დამარცხდეს, ჭირისა გქონდეს მონება,
 და სხვათ ჭედთა რომე დაჰკიდო, საბრალოდ დაეღონება!

ლომმა უბრძანა შიარი

ლომმა უბრძანა: იგმე მძიმე სიტუკათა თქმანია,
 მეფეთა კრძალვას გარდახდე, ვისგან იშიშვის უმანია;
 ღირსსა მრჩეველსა არ მართებს ზედი-ზედ ცრუ წათქმანია,
 და ხამს რომე არ შეაწეინოს, თუცადა იყვნეს მძანია.

შეთურბა, ესრე ვთქვათ, გამოჩენილი მტერი იუოს. მას რაი ძალ-უტც წინაშე ჩემსა? იგი ჩემი საზრდო და ჩემი საცოხსნელია, და მისის ძაღათა ძალი და ტანთა ზოხიერება მდელთაგან არს, და ჩემთა ძვალთა გამაგრებული სორცთა სიკეთე არს. მოლის მძოკარსა ნადირთა მტკამელისაგან უდიდესი ძლიერება

⁸⁸ გარიანტი: და ჭკვის გზით რომელნიც დიდად ზიანად მოგასსენებენ, მას სანსენელი არ მიუშურათ.

ჭქონდეს, ეს ვით იქმნების? მე მისგან კოლენი რიდი არა მჭეუს, მან ჩემი შირის-პირი შეიძლოს, და ანუ ბრძოლათა შინა ჩემად დარად მას გულმან უთქვას!

თქვა ლექსი

გინ არის ჩემი მეძმოლი, შირის-პირ მკადროს ოძია?

მთვარლს ზილღოს კოლომ შემართოს, ძალი ჭმატს თუ რაზომია!

ჩემისა ბედნიერობის მზე, რომელი წყალობითა ღეთისათა განათლებულა, და მისგან მთვარესავით ელვარებას. თუცა შუთურბა მის შირის-პირობას მოიწადინებს, და შადებს და დახელებებს; თუცა ბოლოკარკაზის დარს მრგვალსა ჩრდილსა დასდგამს ჩემსა, რომელ ცისა მსგავსება აქვს, მზისაებრ სხივისა ისრისა სროლითა დასავალთა ჭქეშე ჩაიყვანს.

თქვა შაირი

რას უქონელი ვაჭარი სავაჭროდ გაემზადლოს,

ამის ჭკაკს, კოლქლმან გამართვით ცდითა სულა მოიწადლოს.

მე იგი მსურათა საჭმელი ვაუთლუ ამ საცხადლოსა,

და კვლა შემიძლია სახელი გარდვარვა მას უბადლოს.

დამსწამ მოასსენა: სულმწითე მავით ნუ მიენდობა, იგი კერა იტყვის შენსა მისგან უდარესობასა, ანუ მრეობისა შეძლებასა. რადგან მისის გარანობითა და შეძლებითა ჩემი ბრძოლა არ ძალ-უღეს, თვისთა მოკიდებულთა და ერთ-გულთა სიმრავლის გამო ერთსა რასმე გვიხრიკებს, და ეშმაკურთა საქმესა რასმე მოასურებსო. მე ამისი მეშინიან, რომე ნადირთა თვისთა სულმწითესა ზედა გული არ გაურყენას და თვით არ შეიერთოს⁸⁹, თუ არა, ერთსა ანოკანსა, რაგინდ მსნე იუოს, მრავალთა ბრძოლა არ ძალ-უღესო.

თქვა შაირი

მეძლთა სიმრავლე რა შესვდენ, აღაქოთებენ ზილღოს,

მას საზარელსა ცხოველსა კებენ თვალთა და კილღოს.

ჯინჭველთ ლაშქარი რა მოკრებენ ადგილსა უადგილღოსა,

და ძლიერსა ღომსა შედებით გააძებს უნაწილღოსა.

ღომმა უთსრა: შენთა სიტყვათა გულთა შინა ჩემთა ადგილი ჭპოკეს. შენნი შემჭკვრებულნი ზასუნნი გულის-სმა კვაკ, მაგრამე მე ესე საქმე კალთასა მიჭერს, რადგან იგი ზე ადვიყანე, და მისის სიდიდისა და სიკეთის დროშა ავიმართე. ნადიმსა და მარაქათა შინა მისის ჭებასა წარმოვიტყოდი; მისი ჭკვა, ერთ-გულობა და დანდობა ყოველთათვის ენითა მიმიტყენია, აწე რომე მისი აუგი რა-მე უთქვა, და ავი რამე უუო, ჩემისა საქმისა უგადრისი იქმნების და ჩემისა ბედნიერობისა სასიოდცხო, და ჩემგან გადილებულთა კაცთა გულთა შესავლებელი; და ჩემთა სიტყვათა აღარ მიენდობინ, და ჩემზედა გუნება გამოეცვლებათ.

უთსრა ლექსი

რაცა დარკოს და ისროს, აღორძნდეს მას სავარდოსა,

ფერხით ნულარა დასთრგუნავ, კვადე გაიზარდოსა.

⁸⁹ ვარანტი: გული არ გაურყენას და თვით არ შეიერიოს.

დამანამ მოასსენა—ქვეა და რსევა ეს არის: რა ერთისა შეგობრისაგან მტე-
რობა მოინასო, ანუ რომლისამე უმათაგანთა შენისა მტერობისა ნიში გაიყვადო,
მსწრათელ შენნი მოდგამნი გარ-შემოიყრიბო, და მისის ჰირის ერთობის კალთა
სრულობით აიტაცო. და მტერი რა სადილობად აგინდეს, მისთვის შემსგავსე-
ბული კახშამი დაამზადო, ამაღ რომე გიბილი კაცისა სიერმით სიბერემდე გაუ-
რული საუკარული და დიდად სახმარია, მაგრამ რა ასტივდება, აღმოფსვრის: შე-
ტი არა ღონია, და სხვითა კერართი ირგებს. აგრევე საჭმელი სულთა მაუნე-
ბული რა წყენას დაუწეებს და კერლარა შერიგებს, მისის განყენების ცდასა ში-
ნა უნდა იუოს და გაიმორროს.

უთხრა ლექსი

რაცა გაწყენდეს—მოშორდი, მოშორკვებითა შორითა,
ხორცს გარეუნიხს, სულსა მოაკლებს საზიანოთა ორითა.

დადგან დამანას სიტყვები ღომმა გაიგონა, ბრძანა: მე შუთურბას სიყვარ-
რული კიდევან მიქმნათა, ამაღ რომე ჩემი და მისი ერთობა აღარად იქმნებისო,
და აწცა კაცსა ვისმე მიუტეზავნი და ჩემის ადგილით დავითხოვო, და სადაც უნ-
და წაცვიდესო. დამანას ამას ზედა დიდად შეეშინა და გულთა განიზრანა: თუ-
ცა ესე საჭმე შერუტრამ სენა, თვისის ხერხისა და ხრივისა წერილსა თვისისა
დაფარულისა საუნჯისაგან გამოაჩინებს, და ჩემთა საჭმეთა საავო ადგილს მია-
წვდენს. ამისთვის ესრეთ მოასსენა:

—ხელმწიფეო, კერე შესავალი სიმხიარულისაგან უცსოა, ამისთვის რომე, ვი-
რემდე სიტყვა არა ითქვა, წადილი კაცსა ხელთა უპურია, და გიდეკ მისი მოკლას
შეუძლია, მაგრამე თქმა ავაზანთა წყალთა მოწვევტა არსო.

მოახსენა ლექსი

გიდრულა სიტყვა არ გეთქვას, ითქმისდა მისის უამისად,
მაგრამ ნათქვამი უთუოდ არ დაიფარვის წამისად.

რა სიტყვა ჰირით და ისარი მშვილდით გამოხდა, არცა ენა სიტყვათა
ქვეშე დასაფარავად მობრუნდება, და არცაღა ისარი ადგილს მიუსკლელი შემოიჭ-
ცვა. აცავად უთქვამსო, რაცა ენამა წართქვა, კაცთა ზიანი იქმნათ. ერთს ბრძენს
უთქვამს, ენა გულისა საფარველისა გარდამხედლიათ. გული ასოთა ხელმწიფე
და ჰატრონია, და სიტყვა—კვამთა საუნჯეთა სპეკალია. ვირემდე სიტყვისა სკი-
კრი ღუმილის კლიტითა დაგლიტულთა, და მოცდისა ბუქკდი უთქმელობისა კო-
ლოფთა ზედა ზის—სიგოცხლის სავარდეთა უკვილი და სუნი განსრებულნი
არია, გაიშლებიან და სუნხელბენ, და მისი ნერგი დამშვიდებისა და განსკენე-
ბისა ხილსა მოისხამს. მაგრამ რა ითქმის, და კოკობი ღიმილსა დაიწეებს და
სუბრისა იადრანი სიმღერას დაიძახებს,—მშვიდობა მოიშლების, და სიტყვისა სავ-
არდეთა სუნიცა გულთა საწეინოდ შეიცვალვის, და სასასა ძალი დაქმარობა,
და ანუ სნეულობა გამოიჩინების, და ანუ სურდოსაგან ბუნება მოსუსტების.
მღუშარე ენა გონებისა ერთად შემომკრებელი არს. სიტყვას მრავალი ნასკვი გაუხ-

სწია, მაგრამ ჩხუბითა ცოტა უმართებულად მთქმელის კისერი ჭაჭვითა და სხვილის სახლით მრავალჯერ დაუბამს.

თქვა შეწყობილი

რა სიტყვა სიბრძნის თვალთა ეძია საძიებელად,
ხარკებელი და ზიანი ორივე სდევს მოსაკებელად.
გინა თქვას თქმული უთქმელად კაცთ წინა მოსაღებელად,
გულთ ჭირი, სულთა სიკვდილი, შეუქმნას შესახებელად?
მაგრამ ცოტას თქმით მრავალი მომხდარა გასაკებელად,
და ჭარებრ ახევეს სათქმელს—ენათა არ საქებელად.

ტე, ხელმწიფეო თუცა ესე სიტყვა შეთურბასთანა მივიდა და თვისისა საქმისა რამე შეიგნო, და ამა ამაჲმან მასთან მიაწოვა, ამით შეგიშინდების და ჩხუბისა და შეფოთის გაშლას კვდების. თქმულა, ჭეუათა უფალმან საცხადო შეცოდება ფარულად აზღვეინაო, და უსკუთმან დაფარული შეცოდება ცხადად აზღვეიო. ესე ჭეუკ, დაფარული მისი ბრალი თქვენც დაფარვით მიაგეო. ღომ-მან უბრძანა კვითა და შეუტუბობრად თვისისა გაკეთებულისა და ახლოდ მუოფის დაშორება, წახდენა. და ესეთისა კაცისა გამტრება, თვისითა ხელითა რა ერო ფერხთა იერას, სრულობით მოწყალებისა წესისა და სჯულიერისა საქმისასაგან გადგომაა.

უთხრა შიარო

ღუთისა და კაცთა სიბრძნითა ესე არ მოაწონების,
გაუსინჯავად მეფემან სისხლი დასთხარო მონების,
რადგან მეფენი ღუთის სახელ ჭეუ იგიც მოიგონების,
და სხვას აცოცხლებს, და სხვას მოჭლავს, სხვა რისხვით დაუღონების:

დამანამ მოახსენა: არაიენ მოწამე ხელმწიფეთა ჭეუისა უმჯობე არ არის. იგი ხვანჯითა საკსე და კუმბა რა მოკიდეს, ხელმწიფე შინაჯავითა თვალთა უმზერდეს, და მისი გუნებისა სიმრულე შეუბლთავე მისთა აღმოაჩნდების. მისის აგ-გულობის ნიშანი ამით სცნან, რომე აღშეთობით იყოს და ფერი ჰიარისა კვლავობდეს და ზედი-ზედ მიმოიხედვიდეს, შეუღლად და ჩხუბად მზაობდეს და ესე ვითართა იქმოდეს. ღომმან უბრძანა, კეთილად სთქვიო. თუცა ესე ნიშანი ერთიცა, რომელიცა ენასე,—მტერი სწორეს გზათა მოშორდების⁸⁰ და გონების ში-ში სიმაღლის ხარისხთა გარდაიცვლება. დამანამ რა სცნა, რომე მისის მზაკვარის ენის ალი ერთ კერძო ამაღლდა, მერმელა კარის ნახვა მოაწადინა, რომე მის მხარესაც საჩხუბარი ცუცხელი ალეგზნა და სახმილი აჲმაღლებინა.

ღ ე ქ ს ი

რა ორთა კაცთა საშუალ, ცუცხელი ალაგზონ შურისად,
მათ შორის ენის მიმჭონი ჩანს მრეშელად მუაგურისად.

⁸⁰ გარინტი: მტერი სწორეს გზათა მოშორდება.

გასინჯა, რომე შუთურბას ნახუა ლომის შუეკითხვად არ კარგიყო. არამცა სხვასა საგონებელთა ჩაუარდესო, და მოახსენა:

თუცა მადლისა ხელმწიფისა ჭებული ბრძანება იქმნება, მე შუთურბას ვნახუა, და მისისა საჭმისა გზასა და მისის გუნების ნაწილს ვეცდები ერთი რამ გამოვიღო და მოგახსენო. ლომმა წასკლა უბრძანა და იგი ურკეული, გულნადელიანი და ყელ-გარდაცდებული შუთურბასთან მივიდა, თაყვანისცა და დალოცა და ჭება შეასხა. შუთურბამაცა პატივისცა, და მის ადგილსა ბოდიში მოითხოვა. და ადგილი ახლორე სცა და უთხრა: დამანჯ,

(ტ ა ვ ბ ი)

ზირკულად შეთვისებული რად დამივიწყე სრულადო?

უბრძანა: ესოდენი სანია, რომე მოყვრობისა თვალითა, შენისა ჰირისა შუჭითა აღარა გაგინათლებია მოყვრობისა სადგომი, და საცხადო მეგობრობისა სიყვარულისა ნერვის უკავილით არ აღვიყვავებიაო!

უთხრა ლექსი

შენთა ვოლე სიცოცხლეთა, რა იქმნების, ერთელ მნასო,
ჩემთა გულთა შენი სასე, ოდენ ხათლად გამოსახო?

დამანამ მოახსენა: თუცა ჰირის სახენი ჩემი თქვენისა სლებისგან განშორებულა, ჩემი სული და გული წამ-და-წუთ მოგონებით საცნობელთა გამახარებელის თქვენის სახელის სსენებით მიხარებია, თქვენის სამსახურობისა და მორჩილობისა და სიყვარულის თესლი ჩემის გონების ჭეყუნათა ზედა დათესვით აღმიორძინებია.

თქვა ლექსი

გული მოკსარკმლე სულისად ანაზდად შემოსაკვლად,
იდუმად შენთვის სურვილით ამაღ კიმღერი მრავალად.

თქვენის სვე-ბედთა მოსამატებლად თავის წინა მხურვალი ლოცვა არ დაძვლიაო. ხარმან უთხრა, ცალკე ვოფისა და თავის წინაობისა მიზეზი რააო? დამანამ უთხრა: კაცი რა თვისთა სულთაცა ვერ ეუფლას, და სხვისა ბრძანებისა ტყვე-ქმნილიყოს, უშიშრად და გაუკრძალველად წამსე ვერ ამოისულთქმოს, და წუთსაცა ვერ მოივალოს, და თვისის სულისა და სორცის უზიანოდ და დაუსაყლისად ხანი ვერ დაჰყოს, რომე ბოროტი და უპატიურობა და ლანძვლა არ ესმოდეს. მაშა უტკვეო იქმნების იგი კაცი, ერთსა მცირესა ეუთხეთა არ დასჯერდეს, და კარი ცნობისა გონებისა ჰირთა ზედა არა დაისშასო.

თქვა შაირი

რა ჟამი ესრე გაირყენას, შოფოთსა ისხემდეს ყანანი,
გაცლა ხამს მისგან, მონახოს, მალ სიშორისა ვანანი,
გაცლა არ ძალ-უცს, რამცა ქმნას, გულს ვერ დაიციეს დანანი,
და მარტოდა დაჟდეს, ისი სჯობს ხანი რაც დაჰყოს ხანანი.

სარმან უთხრა: დამანავ, ეგე ყოველივე ნათლად წარმოხსენებ, და მე გერთისა სიტყვისა თარგმანება ესრეთია, რომე ეგე ჭადაგება ჭკეყანისა სარგებელი არისო. დამანამ თქვა:

— ეჭესი რამ არის სოფელსა ამას შინა, და ამა ეჭესთა ძნად განერება კაცი: ჭკეყნიერი საჭონელი უცოდველად, ხორცთა გემოვნების მიჟოლა შეუბიძგებლად, უზრუნველად და უბორბოტოდ; დიაცთაგან ლხინი უჭიროდ; ხარბის კაცის მათხოვარი უგუწიბილებლად, ავის კაცის, — მოუეიჭებულად, და ხელმწიფის სამსახური შეუწუხებლად. არავის ჭკეყანისა მარნისაგან ერთი თასი კერა შეუსვამს, რომ სიმთვრადისაგან უშიშად მოესვენოს, და ცოდვას ამპარტყანების საჟელოში თავი არ ამოკეთოს; არავის ხორცთა გემოვნების მიჟოლას ფერხი წაუღამს, რომე სიკვდილის მორკვთა არა ჩასრილიყოს; არავის დიაცთან მჭადარსა ესრე ლხინი არ უნახავს, ჩსუბი არ წაკიდებოდეს; არავის ბორბოტა კაცთა შეკობართა ბოლოდ არ დაქანასო და მოსაყიებუელი სხა არ განფეროდეს; არავის ხარბთა კაცთაგან უგუწიბილების მეტი გაეტანოს-რა; არავის ხელმწიფეთ მოსამსახურეთა თავი ეგრე დაეყვას, ცოცხალი სისხლის სძის მორკვისაგან გამოსრულ იყოს.

უთხრა შაირი

მეფისა კანაყოლობა მხელთ უმნელესი მგონია,
ვით ზღვის ღელათა არა ჭკეყს მენაკე საყარგონია,
ნინადე გული შიშითა საკსე რა საყარგონია,
და რა უფრო დახლოკდება უფრო დასადაგონია.

შუთურობამ უთხრა: შენთა საუბართა სიტყუათა ანია, რომე ლომისაგან გულის შესაკლებელს სიტყუასა შენთანა მოეწიოს, და მისგან შენსა გულსა შიშის მარცვალი დათესილ იყოსო. დამანამ უთხრა:

— არა თუ ჩემთვის ვიტყვი ამას, არცა თავისა ჩემისად შეწუხებულ ვარ. მაგრამ მოყვარეთათვის ვიურვი და მისთვის* ვიტყვი, და ესე საზრუნავი და გულთა ტვიზნეულობა, რომელა მე მომცემია, თქვენი არის და თქვენ იუწუეთ, რომე ჩემნი ამას წინანდელნი სიყვარული და მეგობრობა თქვენთანა ვითარი ვოფილა, და რა საერთოელო პირობა დამიცვს; მასუკან ზოგი რამცა აღმისრულეობა ამისთვის კვლარ დაგიფარავ, რომე რაცა მოხდეს ავი თუ კავი, დასაკლებელი ანუ შესაძინელი, ყველა მოგასსენო. შუთურობა ამა სიტყუასა ზედა შეჭკრთა და მიუტო:

— საწადელო მოყვარე და ტყბილო ამხანაგო! ამა ამისა საქმე მალე მაცოდინეო და ჩემსა შწეობასა და ერთგულობასა ნუ დაუტყეებო. დამანამ უთხრა:

— ერთმა მოსამსახურეთაგანმან მითხრა, რომე ლომის ბედნიერს სიტყუაში მოუყვანია: შუთურობა მეტად გასუჭებულაო და კართა ჩვენთა აღარად საჭიროა,

* უნდა იყოს «მათთვის» რადგანაც ეს ნაცვალი-სახელი ევეთვნის მრავლობითი რიცხვით ნახმარს არსებობის სახელს — «მოყვარეთათვის».

და მისი ტანოანი სიცოცხლე ცუდად კლის, და მინდა ნადირთა მისისა სიპოხი-
საგან ნადიმი დაუდვა, და ერთსა დღესა დიდნი და მცირენი მისის ხორცის გე-
მოკნებითა გაკასროო. რა მე ესე შესმა, მამინეუ წამოკულ მოსახსენებულად, და
ჩემისა პირობისა მიუდრეკელობა დაჯგერო, და რაცა მეგობრობისა და სიყვარ-
ულისა წესისა იგი აღვისრულოო.

უთხრა ლექსი

სწორესა გითხრობ მცნებასა, რაცა მოყვასთა წესისა,
გინდა ირწმუნე, გინდა ნუ, ჩემი სათქმელი ესია.

აწე ამისა რჩევისა ამას ეკუთხიბუბ, თავსა შენსა ეწიო და სწრაფად პირი
საქმიანობასა მიპყრა. ნუ თუ ხერხისა რასმე მოკვარებითა ამა საქმისა მოაჩქე-
ნისა გზა ეპოვნოთ, და ღონის-ძიებითა მწარისა სიკვდილისაგან განეშოროო.
შუთურობამ რა დამანას სიტყვა მოისმინა, ლომისა პირობა მოაგონდა და საკო-
ნებულთა ჩავარდა და უთხრა:

— დამანა, ლომსა ჩემზედა არა დაუშავებია რა, და მე მისი ორგულეპა
არ მიქმნია. ჩემი ფერხი მის საწადელს სამსასურზედ არ დამიბრკოლებია, და
შენსა სიტყვასაგან მართლობითა და კეთილის ნდომითა ესედაჲ. ესე, ესრე ჰგავს,
ჩემთვის ტუელი რამე შეუმზადებია ვისმე, და იგი ეშმაგურობის ხრეკითა მოუ-
ცდუნებიათ, და საწერომლად და სარისხველად გაუხდიათ. მისთა მსახურთაგანნი
ავთა ჩვეულებათაგანნი მრავალნი არიან, და საეშმაგო სიტყვანი შეუმსკერებიათ,
და სარკულად ხელი წაუყრიათ და გატულაგნებულან. რამდენჯერცა იგინი გა-
მოუცდა, ცხადად ორგულეობა შემცნეკიათ, და ამას რა მოისმენდა, სხვისა-
საგ მათებრ დაიჭერება. ამის გამო ეტონება, ავთა-გადთა მსგავსად, ერთგულნი
და დაუნაშავებლნიცა ავის მოქმედნი იუენენ. და ესე კითარისა საგონებლობითა
მართალთა გზანი დაიფარვიან, როგორცა იხვის ამბავი და მისი შიში და ცდუ-
ნა და გამოცდა ამა იგავის მსგავსის სახისა მანიშნებელიაო. დამანამ ჰკითხა,
გბ როგორ უოფილაო?

შუთურობამ თქვა არაკი

ერთმან ისეპან კამკამსა წყალთა შინა მთვარისა სახე და შუჭი ნასა, თვეზ-
სა ამსგავსა და შეპურობა მოინება. რა ჩაიუენთა, კვლარა ნახარა. მრავალჯერ
ეცადა და კერ შეიპყრა. რა ნასა, რომე მოსავალი ამა ნადირობითა მწყურვალნი
დაჩრხობილ იყო, და წყლის სიმაძღრითა და მრუდის გონებითა მოსავლისათვის
დაქველესა მორკესა სინჯვიდა, თვეზისა ნადირობისაგან ერთობით ხელი აიღო,
თვისი საქმე უოკელიეუ გაუშვა. რასაგ დამესა თვეზთა ნახვიდა, მთვარისა შუჭი
ეკონის, და არღარა სდკვდის შეპურობად, და მისსა დაჭირვასა აღარ ცოდვო-
ლობდა და იტყოდა: ამის საცადლის ხილი ესე იყო, ნიადგ ჩემთა დღეთა ში-
ნა შიშერი და უმდღეარო დაუარდიო.

რადგან ლომსა ჩემი ესე გვარი უთქამს, ამისთანას საქმის გამო, მის
ტულთა წყნა შესვლია და მათი სიტყვა დაუჭერებია და ჩემიცა სხვასკით ჰკო-

ნია. მაგრამ ჩემსა და მათში ესოდენი განყოფილება არის, ვითარ ნათელსა და ბნელსა, გინა მაღლად მეოფთა ფასკუნჯთა და მიწათა შინა თხუნეკლთა.

უთხრა შეწყობილი

მათს საქმესა და შესს გონებსა, ესე იცოდე, სხუა რამ აძესა, მწერალი დასწერს ღომსა და რძესა, ღომსა და რძეში სხვაობა ჰქმესა, ორნივე ფუტკართა მიეძსკავსებით, ერთად მოსტამენ მას მოსამესა, ერთს თათლსა მისცემს, სხუას საწურტელსა მტერთა საკრავად და გასამესა. ორნი ქურციკნი მოღთა მძოარნი ერთსა წყალთა სძენ დღეთა სიგრძესა, და ერთი მუშესა ჰყენოსს, სხუისა სისხლთა გაამსაკე მოაქეს დასაბრანძესა.

დამანამ თქვა: ნუ თუ ღომისა გუფთა ხერხი ამის გამო იყოს? დიდებულთა წესთა, უცნობელად და გაუსინჯავად ერთსა ცრულსა და უგვაროსა მაღლთა ხარისხთა აიუგანებენ, და რომელიც გასადიდებელი და მართებული ცაცი იყოს, მას უმიზეზოდ გაანუღებენ და ოხერ-ჰყოფენ.

უთხრა შიირი.

ურმუნის მეფემ რა მნასა, მრავლად მიბობა ნიჭთა, იეზდის მეფეს გვერდც ვახლდი, არცა თუ მომცა ხიჭია. მეფეთ გაცება ასრუა—ორს დღვილოს ადენს ფიჭვთა, და ღვთისა მდღვიკრსა უმადლი პატრონსა, ვითა ბიჭთა.

შუთურობამა თქვა: ესე საქმე ღომისა ჩემთვის დაუსკენია, საუჭუი აღარ არის. საქმობის მაყოვნებელი ფერსი სასიარულოს შარათა ზედა დაკოჭლდების, საწადლის თვალი ნღომის პირის სასეს კელარ გაიღდის; რისხვასა თუფა მიზეზი აქნდეს, იგი კვდრებითა მოიცილებს, და ღმერთმან ნუ ქმნას, და თუფა უმიზეზოდ ამიზეზებული და მოგონების საქმითა მისი გუნება გამოცვლილია—მოკლის სელი მისგან დამოკლებულა, და მისის მოკლის საგონებელი უღონისძიებო ქმნილა. მაგრამე ტუჟილსა და საცდურსა სიმტვიცე არა აქვს, ხერხისა და ეშმაურობისა ბოლო არ გაგრძელებულა. რაცა ღომსა და ჩემს შუა მომხდარა, მე შეცოდება და დანაშაული არა მაქვს-რა. განაღა ესე რჩევისა და ჯევის გზათა გამოძიებათა შინა, ნუ თუ, მისი უწადელი რამე მეთქვას? ანუ წყალობასა და გასარკივებულთა საქმეთა ხანდისხან მისის სამჯობინაროსათვის, მისი უნდომი რამე მომქსესებინოს? ამისთანა, ნუ თუ, შეუპოვრობითი⁹¹ და უფოთობით, გინა დაუმორჩილებულად წამომართვა? მაგრამ ამითგანიც არცა ერთი მასსკოვან. ჩემგან მრავალ-გზის უსარკებულად არ დარწმობილა: სამსახური, მოწინება, პატვი და ერთგულობა არ მომიკლია, ერთსა რომელსამე ზედა მართებულის ნაკლებობა არ მექმნას, და სიკეთე და რიგი გარდამტებით მის ადგილს მომიუყვანოს. რად უნდა ერთგულობისა და წკრთისათვის გამამოს, სწორისა და მართლისა სამსახურისათვის გამიწერს?

⁹¹ ვარიანტი: შეპურობით.

თქვა ლექსი.

რა წამალი სსუელთაივის ძანებულად შეიქმნების,
ავად მყოფის მორჩინისა კვლა იმედი ვით იქმნების?

თუცა ამის გამო მიზეზთა მიერეფს, რომე ხელმწიფთობის სიდიდისა და ჭკეუნისა სიმდიდრისათვის მიწერების, — დიდთა წესთაგან ესე შორს არის, რომე ჭკეუნისა გამოჩინისა არ მოუსმინოს, და ორგულნი და მათეებულნი გაიმინაუროს. ამისთვის უთქვამსთ ბრძენთა და მეცნიერთა: «სლკათა პელაგონთა ცურვა, ბოლო-განყოფილთა გველთა გესლთა წოვნა და მეფეთა სამსახურთა შინა სიკვდილი სიცოცხლისაგან უმსწრფელესია.» თუცა მეფეთა პატივი და განსვენება ჩემზედ უანგარიშოდ მრავლობს, ესეცა კიდრი, რომე მათს სამსახურსა შინა შიში უძრავია და მწუსარება დიდი სალხინოსაგან უძრავლესია. ვითთა ფილოსოფოსთა მეფენი ცეცხლისათვის შეუმსგავსებიათ, ამისთვისცა, თუცა მოწყალების შუქითა მსახურებულთა ბნელსა გაუნათლებენ, აგრეთვე რისხვისა აღისა მიერ მოსამსახურის სამსახურისა და ჭირინსულის კალოსა ანაზად დასწავენ. სრული ჭკეუნი ამას ამტკიცებს, რომე ცეცხლისა ანლორე მყოფისა შინა უფროსი არის. ვინცა ცეცხლისა ნათელსა შორით ხედეენ კანს უოფას იგინი არიან, მაგრამ ამ საქმეთა შინა გამოუცდელნი არიან. ესრე ჭკონიათ-ყე, ხელმწიფთაგან ამაღლებასა და წყალობასა მრავალი გეო და სარგებელი ჭქონდეს. სწორე ეს არის, თუცა მათ ხელმწიფის რისხვისა და შარისა გამოცდილება ჭქონდესთ, და მის სამსახურთა მიაწოდენ და გასინჯედეენ, ათასის წელთა წყალობასა ერთისა კამისა რისხვითა არა შეუდარებენ. ამა ამისა სხე ქორისა და შინაურის ჭთამის საუბართა ჭტავსო. დამანამ ჭკითსა, როგორ უოფილათ?

შუთუარბამ თქვა არაკი

ერთსა დროსა ერთი მონადირე ქორი და ერთი შინაური ჭთამი შესიტყუდენ, და შუღლთა და კამათობათ შინა ქორმა უთხრა:

— შენ იგი ჭთამი ხარ, რომელი ერთსა პირსა ზედა არ დაადგები, ენა და გული სწორე არა გაქს. კეთილობა ესე არის, გონებისა წიგნისა თავსა პირობაზედ დგომა ეწეროს; სულისა სარგებელი ესე არის, და კაცობასაც იგი იქმს, რომელიცა თვისისა საქმისა უსტარისა სიმრუდისაგან მიწერად არ შეიქმს.

უთხრა ჩახრუსხული

ძალთ ერთგულობა, არ ორგულობა, ფერობით არა, მოდგმითა სჭირან, ვისაც ესენი, დიდი ეს სენი, თუცა არა სდეეს, უგეთ ის დირან.

ჭათამმა უთხრა: ჩემენით რა უპირობა გინასხვს და რომლისა სიტყვისა სიმრუდეო? ქორმა უთხრა:

— შენისა სიმუხთლის ნიშანი ესე ჩანს, რომე კაცნი შენთვის ესოდენს წარატებენ, დაუშრომელად წყალობა და საკენათა მოგართმევენ, რომლისაგან შენი სიცოცხლე შეწყენას ჭპოკებს; ღამე და დღე გიკვირან, მათის ბედნიერობით გან-

სუენებს გაჭეს, და როდესაც დასასტრად მოგინდომებენ— გაქცევი და ერდოთა აფრინდები და დაიმალო სადმო.

უთხრა ლექსი

მურ-მარლისა მატვი არ იცი, ვიცი; ცნობითა:

შესს მატვის კლტვი რიდებით შენითა უგზო-გზობითა!

მე ჭკერთა მფრინველი ვარ, რა სამ დღე მათ შევეჩქევი და მათ ხელთა ხორცსა ვჭამ, მათს მატვის გავამრავლებ და მათთვის ვნადირობ, და რაგინდ შორს ვიყო მათის ერთისა ხმისა სმენითა და დასტყენითა მფრინავი შემოვიჭ-ცევი და მათთან მივალო.

უთხრა ლექსი

მე გარეული მფრინველი გამგზავნონ მიღმა შორასა,
რა მიხმობს, მალ-მოკბრუნდები, სიტყუას არ ვაჭქეკ ორასა.

ჭათამა უმასუსა: მაგას მართალსა იტყვი, მაგრამე შენი მოსულა და ჩემი გაჭეკვა ამისთვის ყოლე არის: შენ არაოდეს ქორი შემფურთა ზედა აკუბული და შემწვარი არ გასმია, და მე მრავალი ჭათამი ტათათა შინაცა მოხრავული მი-ნასავს. თუცა შენ ესეთი საჭეე გენახა, თუცა მე ერდოთა გარდაფრინდები, შენ მათათა თსეთა გარდაიარდიო.

ეს არავი ამისთვის მოვიყვანე, სცნათ, რომე მათ კაცთა, რომელთაცა ხელ-მწიფეთათანა ახლო ყოფისა ნდომს აჭესთ, მათ მისი წერომისა ამავი არ იცან; და ვისცა მათის რისხვის გემო არ უნახავთ, რომე არცა მოსკენებისა წილი უცთ და არცა დაწყნარებისაო.

თქვა ლექსი

მეფეთაცან მეფის მნეთა საქმემ უფრო გამაჰვირენს:

რომ იციან მეფეთ რისხვა, სხვათ თქმად რადმცა დაუბვირენს?!

დამანამ უთხრა: ლომი, ეკების, თვისა დიდებისა და ამაღლებისათვის ამა საგონსა ჩავარდა, რადგან შენ მრავალი რამე ძალ-გიცს, ხელ-გამომავალი და დი-დადაც მცოდინარე სარ, და ხელმწიფენი შემძლებულთა მოძრიდენი არიან, მეცა ვიციო. შუთურამ უთხრა:

— ეს ჩემი სიმსხე ჩემისა მოწყენისა მიზეზი არის,—როგორცა მერანსა ცხესსა თვისი კეთილი ტარებისათვის მიასტირებენ, და მსსმოიარესა ხილსა შტო-ბითა მოამტრებენ, და იადონსა კეთილ ხმანობისათვის გალათა შეაწყდებენ, და ფარშამანს სიკველუცისათვის ბოლოთა დაუღუკუნ და გაასახინებენ.

თქვა შაირი

მე შეროდებედ გარდმეჭცა ჩემი სიბრძენი სრულია,
ჩით ფარშამანსა ბოლო და მეღს ბუწი ფერად სრულია,
ჩემი სიკეთე სირცხულით შეიჭმნა გაბასრულია,
და თავთა გვირგინი სპეკალთა მეღცა, არ მიწა სრულია.

მართალია, შეუძლებელნი უმრავლეს არიან შემძლებულთაცან, ბუნებით მზაკვარ-

ნი მრავლის გზით ეცდებიან შემძლებელის უგუწილბასა და წასდენასა და სირცხვილში ჩაგდებას, და თვის ამას მეცადინობენ, მათი უოფა-ცხოვრება სიმრუდის სამოსლიდამ გამოაყვანონ, და მისანდობელნი მიუნდობელისა ჰირითა და კრთგულნი ორგულობის სამოსლით შემოსონ, და რომელიც შემძლებელი ბედსვიანობათა მარიგებელი და მიზეზი და სახმარია, ავ-გაცად და უნამუსოდ სახმარად გახადონ.

თქვა ლექსი

გულ-ღრუტთა⁹² თვალნი დაზნულდეს ამოთხრით, ამოღებითა, სიკეთე კდემად შეეკმეს, რომ ნახონ მალ-მოღებითა.

ერთსა შენბიერსა ამისთვის უთქვამს:

შ ა ი რ ი

კეთილმან ადგილს რა თავი ამოყოს, ამოკიდეს, ბორბოტმა უია შეუზერს მას მისსა წასავიდეას. ეგრე სულობას მიჰხადოს, ეგრე გააწიოს კიდეას, და ვინემდი არ გააცუდოს, ესრე მაგრიად სცვიდეას.

ესეცა კვლად წყალობის წესით სირცხვილის ძებნულათავის უთქვამსთ:

შეწყობილი

გის მოწყალების თვალთ უჩანს დამნახველია უოკელთა, ხინდივის თვალნიც ეუარნეს, გამოსცნობს ქვა და ცხოველთა, მათ უწყალოთა, უშიშთა, ღვთისაგან შეუპოველთა; აბრეშუმს მატულად სახელ სდებს, ხმელსა დაარქმევს სოკელთა. დიდთა წესია სიჭკველე, უოკელთ კეთილთა მშოკელთა, და ბორბოტთა კაცთა სიახლე—მსგავს არს კვალთა მშოკელთა.

დამანამ უთხრა: გეუ გერვა, ავისა და ორ-ენა კაცის წესი და სანდომი ეგ არის, მაგრამე თქვენის თავისა მოკლასა ვით აპირებთო? შუთურბამ უთხრა:

— თუცა ღმერთსა არ გაუწირავარ, არა რა დასავლისი შემემთსეკვაო, და თუცა ღმერთის მიშეება მათსა ხრიგსა და ხერხსა შეეწევა—არა. საცადლით მისი მოცილება არ იქმნებაო.

უთხრა ცაებში

თუცა ღმერთსა გაუგია, არ მომშორდეს⁹³ არად არა!

დამანამ უთხრა: ჭკვის ბუოთელს კაცს თვისი შორით გასინჯვა მართებს, რომ წამომღვაროს, თვარა, რომელიცა თვისისა საქმისა საფუძველი ჭკვათა ზედა არ დაამტკიცა, კერასა სამარჯუოს ეგრე მოიმარჯუებსო. შუთურბამ უთხრა:

— ჭკვა ესეთსა საქმესა შინა მოახმარების, თუცა მოსავლისა მოკლენოსა ბრძანება არა განგებულ არს; ესრეთსა უამსა ხერხისა მოკლად იქმნება, რომე

⁹² გარიანტი: ა) გულ-ღრუტეთა; ბ) გულ-ღირტეთა

⁹³ გარიანტი: არ მოშორდეს.

მისი პატიოსნობითა სიმტკუნე არა იავარ-ჰყოს, თვარა, ღვთის ბრძანებას არცა სრიგი, არცა ღონის-ძიება არა შეეძარება რა, არცა სარგებელი აქვს; არცა ვინ ზეკარდამო საფურხე დაწვემულსა რჩევითა და ხერხით განროძიანო.

თქვა ლექსი

რა გამგებელის მიერ ცვეხლი აღგზნას ალები,
ყოველს ცდასა და რჩევასა გონი დასწავს და თვალეო.

ნუ თუ, ცისა და ჭაყუნის შემოქმედმა ღმერთმა ერთი ესეთი რამ მოახდინოს, ანაზღუეულითა მოწველებითა ბოროტად მხედველთა თვალნი დააბრძმოს და დაახნელოს, რომე მოჩინის გზამა ესე მწუხარების თქმულთა გაატაროსო.

თქვა ლექსი

რა რომ განგება მოვიდეს ღვთისაგან მოკლენებულად,
ყოველი მეცნიერება დაბრძვდეს დაურეკებულად.

არამცა შენ მეწაღვოტისა და ბუღბუღლის ამაჲი არ გასმოდესო? დამანამ ჰქვითხა, როგორ ყოფილათ?

შუთურობამ თქვა არაკო

სასჯელ დაუცხთ: ერთსა მეწაღვოტისა წაღვოტი ჰქონდა ფრად შენიერი, ერმისა სიშროშესა ჰკვანდა. მისი ჰჯერი გაზაფხულისა ნიავსა მამკნობასა მის-ცემდა, შამკრათა სუნნელობა სრულობით გარდამატებით საუნოსელთა ფშვათა მიუძღვანობდა.

შ ა ი რ

სიშროშე, ახალ ჯაბუკებ, ბრწყინვალედ აღევკებული,
ვარდი ვამსკავსო ბაგეთა, წელად უკვდავებად ცხებული,
მაზედ ბუღბუღლი მეფეარე, სელხინოდ გამმაგებული,
და ვარჯთა ნიავნი სუნნელთა მომლებად არ მოკლებული.

ერთსა მისსა მწვანისსა ეუთხეთა ერთი ახალი ვარდი იღვა, გულის სანდომის შექვის ნერგის სიახლე, და მის აღმატებულის სიხარულის ხის უბიდრე (იუო). დილითი-დილად ფერად-ფერადად ჰქვაოდა, გულის მომტაცებულს სათუთს შენიერს პირთაებრ და ვეცხლის გამომონად იასამანის სუნნელებათა ფშვოდის. მეწაღვოტე მას ორთა ფერხთა ვარდთა ზედა იხარებდა

და იტყვოდის ჩახრუხანულსა

ვარდი ბაგითა გულ სადავითა არ ვიცი ჩურჩინით რასმე უხნობდა,
ბუღბუღლსა ხელსა, ჭირ არ ერთხელსა, ვითა შეშლიდა, ვითა ახნობდა.

მეზაღე ერთსა დღესა, პირველის წესისაებრ, ვარდის ნახვად მოვიდა. მაზედ მედომარე ერთი მტირალი ბუღბუღლი ნახა, ვარდისა პირთა პირსა აკონებდა, და ოქსინოიანთა ფურცელთა მომახულითა ნისკარტითა ჰკრეფდა.

ღ ე ქ ს ი

გიო ღვინო, ვარდი ბუღბუღლსა დათრობს, გაახელებსა,
ჰკვასა და ცნობას მოსტაცებს, აროტეებს ვით ნახელებსა.

ტ ა ე ჰ ი

მეწაღვოტემ რა ვარდის ფურცელთა დაძვირება ისილა, სიწყნარისა საყუ-
ლო სინჯარისა სელითა დაიპო, და გულისა კალთა ღვიძლისა შეკრავისა უღო-
ნობასა ზედა ვარდავიდა, და ვარდისა მოშორებებისა ალითა მეორეს დღეს ეგრე-
ვე ნახსა.

ტ ა ე ჰ ი

დადი დაღზედა დაისუა, გლახ გული დაიდაგა მან!
მეორეს დღეს ნახსა, ბუღბუღსა ნისკარტითა ვარდი დაკოდა.

ტ ა ე ჰ ი

გარდის ფურცელთა ეკალე, გახშირებოდა კვლი.

ბუღბუღმა მეწაღვოტესა მკერდისა ქვილი აუჩინსა, და მებაღემან ბუღბუღ-
სა საცდურის მახე გაუჩინსა, სრიკისა საკეხითა მოინადირა, და გალიათა დი-
ლეგთა შეწყვედა. უკულო ბუღბუღმა ზორაყისაებრ სულაშარაკოდ ენა აუხნა, და
უთხრა:

— ეჭა, ჰატომასნო! საპურობილესა რომლისა მიზეზისათვის შემსვი?
რომლისა შეცოდებისათვის. ესეთისა ტანჯვითა დაგიბამვარ? თუცა ჩემისა ტუბი-
ლისა სტეკნისა სმენა გსუროდა, არა ჩემი ბუდე შენთა წაღვოტთა მედა და
დღეუოკელ ჩემთა სახლთა ვლხინობლი? შენთა საკარდეთა მიდამო ყოფისათვის
მიყავ, ანუ სხვა რამე იგავი დაგიცს? რაცა გულითა გაგიზრახავს მცოდო-
ნეო.

მებაღემ უთხრა ლექსი

ვირემდის მანყენ, მოყვასო, ნუძცა გაჭეს დღეთ სიგებინა,
მანამდის პირთა დაგბურავ, ცხვირთა წაგვარდეს რქისა.

არა იცი ჩემთა სარგოთა დღისათვის რა შეგიბთხევიან? მე საწყალობელი
ჩემის საყვარლისა გაურიათა რამდენჯერ დაგიწავარ! ეკეთისა საქმისა მოქმედსა
ესეთი საშასუხე უნდა, რომე შესნა შენს სასლას და საყვარელთა მოგაშორე,
და შექცევისა შეებას და მხედვარობისაგან გასულსარ და დილეგთა კუთხეთა
სტირ. მტკა გაურისა მწუსარებასა მრავალ-გზის შეუპურივარ, და საყვარლისა
მოშორებებისა სირჩისა ნაყური დამიქსმნიავს, და უნახაობის ბნელთა სადგომთა
შინა ცრემლი მდენიაო.

უთხრა ლექსი

ბუღბუღო, გვირინთა მეტეოდე შენსა მოყვასსა მწარეთა,
ორითავე სატრფოსა შორს მყოფსი ცრემლით მოკრწევიდეთ არეთა.

ბუღბუღმა უთხრა: ჰა-ჰა, ამა შაირობასა გაყენე და ესე განიგულე,
რომე რამდენი სულნი შეგიწუსებავართ და ესოდენთა ჟურუითა გაასდგე ერთი-
სა შენისა ყვაილის გამო, აწ შენისა თავისასა რასა იგონებო?

უთხრა შაირო

ზოიფელი ბრუნავს, იცოდე, დაჯალს სახითა ქრელითა,
მამა, მამს ცხოება აეკარგთა, იგაქრო საყაქრელითა.

კეთილთა მიხედვს კეთილი გულით ველს გაუჭრელით,
და ბოროტის შქმნელი არ დაჩრეს, ღახვრითა დაუჭრელითა.

ესე კვარძან სიტყუკამან მეწაღოტისა გული მოაღბო, და ბუღბული გა-
თავისუფლა. ნააწატეკმა ბუღბულმა უთხრა:

— რადგან შენ ჩემზედა სიკეთე ჭეუე, მისი სანაცვლო მეცა მმართვესო, და
ასწავლა: რომლისა ხისა ჭეუე სდგესარ, ერთისა ჭურჭლითა კეცხლი ჭულავს,
მოთხარე, ამოდე და ნებისუბერ იხმარეო. მებაღემ თხარა, ჭპოკა და სცნა ბუღ-
ბულისა სიტყვისა ჭეშმარიტება, და უთხრა ბუღბულს:

— ესე გასაოცებელი არსო: მიწათა ჭეუე ჭურჭელითა დანახავ, და მიწა-
თა ზედა მახესა კვრათ! ბუღბულმა უთხრა:

— თურმე შენ ესე არა იცი და არცა გასმიაო:

ტ ა ე შ ი

განგებით მოსულს საქმესა კაცი ვით შეუბუღისა?!

თუცა ღვთის რისხვის ბრძანება ჭეუენად მოაწიოს, უოკელთა მხნეთა მხე-
დართა თვალთა წინანი გაურეტლეს, და კვრამან ბრძენან და მეცნიერმა რჩევისა
სარგებელი კვრა ჭპორონ.

თქვა შაირო

განგებით შენაწმასარი—ხელით ვით შექმნა ნაცარი?

სადაღა ივლტი, უოკელგან ღვთის განგებას რაც არი¹,

სსკასამცა რას იქმ, იხანდე თავსა დაისხა ნაცარი.

და მან მწულა და მანვე განმეურნოს მისთა შამართა ნაცარი.

ესე არავი ამისთვის წარმოესტევი, რომე ესე გამოჩენით დანახო. მე ზე-
გარდამო მომაკაღისა მეპირის-პირე არა ვარ, და არცა ამის მეტი შეძლება მაქსს.
უოკელი ღვთისა ნებაზედ მიძინებუბა, და თავი ღვთისა ბრძანებათა ზედა დამიცს,
და არცა სხვა ღონე მაქსსო.

თქვა ლექსი

ჩემი წადილი მისგან არს, მე მიწა ვარ და მტკერიო,

რაცა გაეკოს ჩემზედა მისის ნებისა—მჯერიო.

დამანამ უთხრა: შუთურბავ, რაცა მე შემეტყუია, მართლობით ესე არს:
რაინცა ღომისა შენთვის საგონებელთა მოუღია, არცა მტკერთაგან შესმენით არის,
და არცა შენის მრავალ შემძლეობის გამო. ანუ მისი საწყენი გეჭმნას რამე?
მაგრამე მისი საქმე ეს არის, ერთსა პირთა ზედა არ დადგების, შუთურობელსა
შეცოდებასა შესწამებს. იგი ერთი უწყალო და უსამართლო, ავ-გული და ეშმა-
რობის მოუყარეა. შირველად თვისისა ღსინისა აღერითა სიტკობების სიცოც-
ხელსა მისცემს, და ბოლოდ, მის ნამსახურთა საყვდილისა სიმწარეთა შეაბამს,
მისსა მსგავსად, რომელი გკული არს გარეგან ტრელი და შენიერო, და შინაგან
უგურნებელისა გესლითა სავსე, რომლისა ნაბუნსა კურა თერიაუი კვრასა მარგუ-
ბელ ეჭმნება.

¹ ვარიანტი: ღვთის განგება ნაცარი.

უთხრა ჩახრუხაულო

მსგავსია დევის, ჭქონან ბადე ვის, ხერხითა სრული, ტყუილით სავსე, სიმშვიდის მოცდა არ გაუოცდა, წყალობა, სიწმინდე, სრულად და სავსე.

შუთურბამ უთხრა: წყალობისა მოწყალებისა და სიტყვათებისა ჭკაშნიკი მინახავს, აწ შაშრთა კრვისა და უდიერის უამბი მოწვენილა. ერთ-ხანად ღხინითა და განსვენებითა მომივილია, და აწ ჭირისა, ურვისა და მოწვეების დროაო.

თქვა ლექსი

ჭე, გულო, ერთხანს სიასლის მოსძოვე გემოცანება,
აწ ცაყრის ჭირსა დასჯერდე, სოფელს ეს შეეკვანება.

თურმე, მართლად სიკვდილსა ჩემი საულო შეეპურა, რა რომე მე ამა ტყუთა მოკმარეთ, თვარა, მე ვინა და ღომითა ღხინითა რა ერთსა ვისმე ჩემზედა ძლიერება მეტი ჭქონდეს, და ხორცი ჩემი სასმელად ერგებოდეს, ხამდა მასთან ათას თაჟობობული თრეკითაც არ მოველოდი, და მრავალი ხერხი მეცადა მისსა დილეკთა არა შევარდნილვიყავ.

თქვა ლექსი

დაბადმა ვითარ შეკვადრ მალასა ჰირის ნახვანი?
შორაც დიდ იყო გამკვლო გონებად მისი ზრახვანი.

მაგრამე ღვთისა განგებამა და, დამანავ, შენმა მაცთურობამან მე ამას სასიკვდილოს მორკვთა შემცურვას. აწე ამა საქმისაგან გამოსარკვევი რჩევის ხელი მოსავლელად დამოკლებულა. ამა საუბრისა მსაბრულობის ბოლო მოწვენა არის. გულ-ხარბთ საწადლისა ხმიანობასა, მოჩხუბართ ალებ-მიცემასა, ესეთი ცუცხლი ჩემთვის აუტზნით, და ჭარუთ მისი კვამლი კერა მომწოდობია, და ზრუნვისა და ნაღვლის სიციხითა დამწვარ ვარ.

თქვა ტაემი

შევე ვუთავ თავსა ჩემსა, ჩემი ბრალი ვის ვაბრალა?

ბრძენთა უთქვამსთ, ჭკუენათა ზედა რომელიცა მისის საზომის წესსა არ დასჯერდეს, და ნამეტნაჲი მოინდომოს, მას კაცსა ჭკავს, რომელი აღმასისა მთასა შესვდეს, და აღმასთა დად-დიდნი ნაკვეთნი მის შთის ჰირსა ეყაროს, და მან კაცმან მრავალი საკონებელი შემოიკრიბოს და ახლორე რა მივიდეს საწადელისა აღსარულებელთა ადგილთა, და გარე შექნვეა გაუმხელდეს აღმასთ ნატკნთაგან თურხთა დაჭრითა. იგი გამოუგლეკელი მოგონებასა შინა დათუღვითა რა რომე უწინვე არა გამოიძია, რომე გამობრუნების გზა საჭირო იყოს, და ესე ვითარისა სიხარბითა მუნვე მოკვდაო.

თქვა ლექსი

უზომოს ნდობა საქმისა წაასდენს, გააცუდებსა,
ზომიერება საწუთროს ედმისა ზედ დაუდებსა.

დამანამ უთხრა: თქენი სიტყვანი მეტად მოსაწონია. რაცა ავი კაცსა დაუ მართება, უოკელევე სიხარბისაგან იქმნება.

უთხრა ლექსი

ხორცს დასურის, სულს დაუწკავს, სისარბე-ანგარებანი,
ძმით მოაბულეებს საყოლთა რაცა ჭუავსთ, ან გარ ებანი.

ვისიცა ჭელი სისარბის საქმითა გაზრქელდების, ბოლოდ შერცხვენისა
ხრმლითა მოიკვეთების; ვისაცა თავსა შინა სიავე და უგუნურება დაემკვიდრების
და დაიადგილებს, მერმე გაცნუდებული მიწათა ზედა დაითრგუნების. მრავალი კაცი
სისარბის ნდომითა და უბადოსა იმედითა დაგლახაკებულა, სარკებელისა ხაღი-
სითა სულისა გამწირაჲი—სიკვდილის მსხესა გამზია, რაკვარადაც მას მონადი-
რეს მელის შეპურობის სისარბითა კუფნის ჭანგითა ძარღვი საყნოსლით აღმო-
სწოდარო. შუთურობამ ჭკითხა, როგორ უოფელარო?

დამანამ თქვა არაკი

ერთსა დღესა ერთი დია ცქიტიტი მელი მინდორთა შინა ჩუარად ვიდოდა,
სლტოდ და უოკლებით ცაქვაქვდა. ნახა მონადირემან ვინმე, და მისი ბეწვი დია
მოეწონა, და ძვირ ფასად გასყიდვას იგონებდა. სისარბისა ძალმა იმედზედ და-
ეუნა, რომე იგი შეეპურა. რა მელმა კაცი ნახა, სოროთა შიგა შეიჭრა. მონადი-
რე უკან მიჭევა, მისი სორო ჰპოკა და სოროთა პირსა ერთი ორმო ჩაუთხა-
რა, ზედ კაჭკა წაბურა და ზედან მძორი რამე დაუღა, და იგი შორა-ახლო
მიფარებით დაუღდა. მის მელის ამ საქმით დასკრასა ელოდა. მელი სოროთ
გამოვიდა და მის მძორისა ნათრკეს სუნითა მოჭევა, ორმოსა პირსა მოაღდა.
რა მძორი ნახა, თქვა: ამა მძორისა სუნისა ნდომა საყნოსელთა ესუნნდებს,
მაგრამე ჭირისა სუნე ჩემთა ცხვირთა გემის! რა ჭეუთა უფაღნი ერთისა რა-
სამე ახლორე შიშისა გულობდეს, არა მიკლენ მუნ; მტოდინარეთა, რომელთაცა
საქმეთა შინა საჩხუბარი რამე გუფლებათ, აღარა უჭმნათ.

ტ ა ე მ ი

სად ეელოს ძნელი წრენია, შიგა ნუ შეესწრენია!

ახრი იყრა და თქვა: იქმნების აქა ნადირი რამე მომკვდარიყოსო, და ესეცა
ქმნილა, მის ჭეუშე საფრსე რამე შეეზადასო? ეოკელთა საქმეთა ზედა სითურთხი-
ლე უმჯობესიაო.

თქვა შაირო

რა ორი საქმე მოგადგეს საჭირო, მოსატებელი,
არა იგოდე რა სამდეს საქმელად შეუგნებელი:
რომელსაც ჭირი და შიში მოსდევდეს ბაუტებელი,
და იგი განამე, შენ დარჩე ლახვართა დაუტებელი.

მელი ამ რჩევაზედ დამტკიცა, და მის მძორისაგან ხელი აიღო, და სე-
ცოცხლის გზაზედ გაიბრინა. ამაზედ ერთი მშვიერი კუფხი მითთ ჭეე ჩამოვიდა,
მძორისა სიმყრალე ესუნა, მიიჭრა და მას ორმოსა ჩავარდა. რა მონადირეს
ორმოს საფარისა ჩაჭკევისა და შიგ ჩავარდნის ხმა ესმა, მას მელის ჩაჭრა ეგო-
ნა, მეტის ნდომით სირიბილში ფეჩხი შეუცდა და თვითაც ორმოსა ჩავარდა.

ეთესას მძორისა მაცილებული კგონა, შეება და უჰე გაუბო. მონადირე სისარ-
ითა და მეტის ნდომითა სიკვდილის საფრსეთა გაება. თვისის სისარბის მო-
კუთითა და ცოტას მოთმენითა მული ჭირისა და ვაებისაგან კარდარისა. ამა არა-
ქისა სარგებელი ესე არის, რომ უნდა იცოდეს, სისარბე, შური და ქიშობა,
თავისუფალსა მონად და ნასუიდად შეიქმს.

თქვა ღექსი

რა ჭუდი თავსა დაირქვა, ნამეტური და მძიმენი,
უცილოდ თავსა გატვიენებს, შეგვემნას დასამძიმენი.

შუთურბამ უთხრა: დავაშაკე, რადგან რომე პირველად ღომისა სამსა-
ხურთა შინა შეკელ და უწინე არ გამოკვიითხე, რომელ მას სამსახურისა შატვი
არა სცოდნია. ნათქვამია, ესეთსა კაცსა-თანა ღხინი, რა შენი არმანიგი არა
იცოდეს, და ესეთისა მუხატრონისა სამსახური, რომე კურა შეიტყოს და არ გ-
სანჯოს, მას ჰკავს, მოსჯელის იმედუელმა კაცმან თესლი მლაშეთა ადგილთა
და კლდეთა ზედა დასთესოს; გინა შობითგან ყრუსა სამსიარულო და კარგი ამ-
ბავი უჩურჩულოს, გინა მდინარესა ზედა ღექსები დასწერო, ანუ ხმელისა ქარი-
საგან წვიმა მოინდომო.

თქვა შაირი

მეფეთ პირობის მოქენე, კაიმე, ცუდად შერებთან:
სოჭისგან ხილს ეინ მოისთლობს, საწრდილოდ ემოყურებთან
მეწნი არ იქცეს ღერწამად, კისგან შაქარი დნებთან,
და გეონით რწევიდე ნიადაგ, ნურა გეიმედებთან.

დამანამ უთხრა: უოკული საუბარი დაუტევე, და შენისა საქმისა სარჩევი
წინა დაიდევო. შუთურბამ უთხრა:

— რაჲ ვიღონო, და რაჲ ვიხერხო? შენ უბნობ, მე ღომისა გუნება შე-
მიგნიაო, შენის ცოდნისა და ხელგამომავლობისათვის შენს გაცუებას ცდი-
ლობსო. აწე, რადგან ესრეა, ჩემისა სიცოცხლისა სასწორისა უღელი გაცუე-
ბისა ჰერსა სჭერეტს და ღლოდრიკისა საკიდებულსა. ესოდენტა უწყალოთა და
ხერხანთა და უსამართლობისა მოქმედთა ზურგი ზურგისათვის მიუყრდნეთა,
და ხელი ხელთ გაუბამთ, რომელსაცა შეებმინ, უოკულსავე ზედა მრე იქმნებთან,
და მტერთა ფერხით დაგდებენ, რაგვარადაც მკელი, მელი და მღრნანი ერთისა
აქლემისა სიკვდილზედ შეითქენეს, და თვით მათსა წადილსა და ნებას ეწივნენო.
დამანამ ჰკითხა, როგორ უოფილაო?

შუთურბამ უთხრა არავი

უთქვამთ, ერთი მღრნანი თვალ-გიშერი, და ერთი მეკელი ჭანგ-მასვილი,
და ერთი მელი, ხერხითა სრულნი სამნივე, ერთისა მონადირისა ღომისა-თანა
იოფებოდეს. მათი საბუნებო ტკერი ერთსა შარათა ასლორე იყო. ერთსა მო-
გზაურსა აქლემი დაკარდნოდა, და მას გზასა ზედა დაეტყუებინა. მან აქლემთან
აჭა-აჭი ბოკნით მას ტყესა შინა მიაწივა. რა ღონე მოიგა, მოლთა მოენად

კლიდა, ესეთსა გზასა მიხვდა, მას ღომის თავსა წაადგა. სამსახურობისა და მორჩილობისა კიდე რაღასა გააწყობდასი გაწყურებდა ღომისა მუნ მისკელა გამოიკითხა, და რა ყოველი შეიტყო, ჰკითხა: დასდგები, თუ ატრეკე წასვალა? აქ ღომისა თქვა:

ღ ე ქ ს ი

თუ ამას წინათ ჩემს ხელთა იუომცა ჩემნი ნებანი,
რა თქვენსა გნახე, დამკადთა თქვენ წინა აქვან დებანი.

რასაცა ხელმწიფე ბრძანებს, მისის მონისა რჩევა ის დამტყიდდებო.

თქვა ტაემი

თქვენ უკეთ იცით ყოველი. აწ ჩემან უკეთებო.

ღომისა უბრძანა: თუცა გნებავს ჩემთა საბრძანებულთა შინა ყოფა, უშიშრად და მშვიდობით იყო. აქლემსა დიდად იამა, და მას ტყეცა შინა დადგა, და რა მოისვენა და ყამი გამოხდა, დია გასუქდა.

ერთსა დღესა ღომი ნადირობად გავიდა, და სვლასა შინა ერთსა აღბორკებულსა პილოსა შეხვდა და ბრძოლა შეუქმნათ, ღომი მრავალსა ადგილსა დაიკოდა, და მისსავე საშეოფთა გამობრუნდა. მტირალი და მძიმედ დაყოდილი ერთსა კუთხეთა დაკარდა. მკელი, მელი და მღრანი, რომელნი მისის ნასუფრადლითა გამოიზრდებოდეს, უძღვერო დარჩენ. ღომისა მათ ზედა რა ხელმწიფური წულობა და მოწუალებსა უზომოდ შეტი ჰქონდა, რა იგინი კვრე შეწუხებულნი ნახა, შეწუხდა და უბრძანა:

— თქვენსა ესოდენი ნადლევი, ჩემის ჰირისაგან უმწარესიაო. ამა ხსლოს-მასლოს ტყეათა ერთი ნადირი მომიდარაჲეთ და მითხართ. მე მივალ და თქვენსა სადილსა გაკარებო. იგინი ღომის სამსახურით გამოვიდნენ და ერთსა ადგილსა დასსდენ, და ერთი მეორესა ეტეოდა:

— ამა აქლემისა ყოფა ამა ტყერთა შინა ჩვენთვის რა საჩრებელიაო? არცა რასა ხელმწიფეს რასმე ემატების, არცა ჩვენსა საჩრმო რამე არისო. ამას ვეცდართ, რომე ღომი ამაზედა დაადგეს, და სამსა რადენ დღესა ხელმწიფემან მძორთა ძებნისა და საცოხსელთა ნდომათაგან განისვენოს, და ჩვენცა ჩვენ კვარად ვისარებლოთო. მელმა თქვა:

— საქმესა მავას ნუ განიზრახავთ, რადგან ღომის მისთვის პირობა დაუცს და მისსა სამსახურსა ჰქუე დაუდგინებია. გინცა ხელმწიფეთა მისსა მინდობილსა ზედა გაარისხებს და პირობისა შეეკლასა ყუდა შეკუელიანებს, ორგულობა არის, და ორგულობა ყოველსავე საქმესა ზედა ბოროტი და წარსაწყემეკლია, და ღმერთი და კაცნი მისთვის კეთილსა აღარას იქმანო.

თქვა შინი

ამ ყამად კაცთა მინდობა ამხანაგთაგან ძნელია*,
საწადლისა პირთა გამოთავე საქმით არა ჩანს შეწელია.

* ორი ხელთნაწერ ვარიანტების ფურცელთ არშიებზე, ამ ლექსის პირდაპირ, შემდეგი შენიშვნა არის მიწერილი: „მე თვის თქმულთა.“

რომელიც მშვიდი გგონია, იც სერსთა⁹³ მომფენელია,
და მეცლის ღვინად და ნადიმად უჩანს საქმენი ბნელია!

პირობის გატეხს რომელს სჯულს შინა განწყობებულა, და შესკვენიბულის
კაცის სიკვდილი რომელს ჭეკუნასა, და რომელსა ტომს შინა ქმნილია?

თქვა შაირი

რა ნურგი დარგო მოქმედმან, შენით ამაღლდეს, იხაროს,
ნაუთფი მოგრეს კეთილი, მადლით არ ოდეს ისაროს,
რტოთ მოსატეხად შენგანვე მოზიდვით ნუშტა იხაროს,
და მაშენებელი მარხვე ხნარცესა შთაჟარდეს, ისაროს.

მადრანმა მოახსენა: მე ეკოდენი ცოდნა არა მჭკს, მაგრამ მასმია ბრძენთა
ნათქვამი: ერთისა სახლის ჯალაბის დახრცასა ერთისა კაცისა სიკვდილი უმ-
ჯობესაო, და ერთისა უბნისა მოწვეუდასა—ერთისა სახლისა სჯობსო, და ერ-
თისა ქალაქისა მოსკრასა—ერთისა უბნისა უმჯობესაო, სელმწიფისა წახდენასა—
ერთისა ქალაქისა მოხსრება უფრო დაუსკლისაო. ამისთვის რომე, თუცა მე-
ფე კეთილად ცხოვრებს, იუღიმისა მოვლა ძალ-ურესო. და პირობის გაუტესლო-
ბისადა საქმე რამე მოგვარდების, რომ მისის მიზეზისაგან უბრალე იყოთ, და
თვისი თავი მანვე მოგვართვასო. რა ესე დასკვნეს, ღომთან მივიდა და რჩევა
ესე გაუცხადა. ღომმა თავი დაჰკიდა, და მადრანი თავის ამხანაგებთან მოვიდა
და უთხრა:

— ესე უოკელი ღომსა მოვასხენე. პირველად მიწეინა, და მერე აღარ
თქვა რაო. აწე მე ამას კარჩევე: ყვალაჲნი აქლემთან მივიდეთ, და ღომისა და-
კოდლობა და შიმშილი უამბოთ, და კარჩივოთ, რადგან ამა ხელმწიფისა სვე
სვიანობითა ჩვენი ჟამი და დრო მსაარულად მიგვეყავს, და დღეს ესეთი გავჩირ-
კება აჭკს, მაშა ჩვენთა ნამუსთა რა საკადრისია, ჩვენი თავი და სული და ხორ-
ცი მას არ განაგვალოთ, და ესეთი სასირცხო საქმე თავს დავიდვით და ში-
რის წყალსა განვეყერთ? ესე გვმართებან ეე: ყველანი ღომსა კეასლოთ, და
მისკან მრავლის წყალობისა და საბოძვის მადლი მოვასხენოთ, და სხვა არა რა
შეგვიძლია, და ჩვენი სული და ხორცი ხელმწიფისათვის კვინაცვლებია. და თი-
თომან ესე მოვასხენოთ: «დღეს ხელმწიფემ სადილი ჩემით იამოს». სამთა ამთ
რა დაჟარულოთ, და რა აქლემმა მოახსენოს, მისი საქმე გავატოთო.

ესე შირი დასკვნეს, და სამნივე აქლემთან მივიდნენ და ესე საქმე უოკელივე უა-
გით უთხრეს. მას რადგან გუელი წრფელი ქქონდა, ეშმაურობისა სრიკითა შეაგდუ-
ნეს, და რა მათი სახერხობს წერილის აღმოკითხვა დაასრულეს, ღომსა-თანა
მივიდნენ. მადრანმა საქმეული ენა აუბნა და თქვა:

ღ კ ქ ს ი

მეფეო, ღმერთმან გიბოძოს მშვიდობა, დღეთა გრძელობა,
სიმართლე მოჴკლებელი, ჟამთა და ხანთა ძველობა!

⁹³ კარიანტი: იც ფერხთა მომფენელია.

ჩემი მეოთხელობა ხელმწიფის სიცოცხლეთა რტოთა დამოკიდებულა. აწ ესეთი საჭირო ჟამი მოხდენია, კვედრები ხელმწიფეს, თუცა ჩემისა ხორციითა ძალისა ღრუ მოკვამის, მე თავი გამიწირავს და ჩემთა ხორცითაგან იკემოსო. მათ სხვათა ამხანაგთა დასწრეს და უთხრეს: შენისა შეჭმითა რა სარგებელი გომოვა, და შენის ხორციითა ვინ გაძლებათ!

ტ ა ე შ ი

ამასცა რადღა ჭკონია სხვათა ნაწილთა ქონება?

მადრანსა რა ესე ესმა, თავი დაიდრია და უკუდგა. მელი წადგა და მოახსენა:

ღ ე ქ ს ი

წე, მეფეო! ნუ მოგნახოს სიკუდილისა მოციქულმან, შენთა ფრჩხილთა მოარიდოს ჟამთ ნაწერთა დასასრულმან!

მრავალნი ხანი არს ჩემთა მაცოცხლებელთა ჩრდილსა ჭვეშე თქვენსა მზისა სიცხისაგან განსვენებით და მშვიდობით ვიფოთებით. აწე ამა ჟამსა თქვენთა მეფობისა მზესა რა მოთვარე მოსაკლებლად აღფარებია, რომე სვეთა აღმართობნებულმან ვარსკვლავმან ჩემისა საქმისა ცისაგან იქუსოს, მე ერთ ლუკმად მიემარს, და საუზმის საგონებელი ამით დაუტოოსო.

სხვანი ამხანაგნი წადგეს, უთხრეს: რაღა მოახსენე უოკელივე სახმარი და მართლისა თვალთ კეთილად სახილავია, მარამ შენს სორცსა სიმურაღუჭა და მაწყინრობა ორივე აქესო, და მით არ იქმნება, არამც ხელმწიფეს აწყინოსო და სნუელობასა ქმატოსო. მელი დადუმიდა, და მგელი წინარე წადგა, და ენა დაძრა და მოახსენა:

ჩახრუხაული

ეჭა, მეფეო! კადრებ მეფეო: ღმერთმან ყოვლის გზით ნება მოგაპურას, მტერთა ომისად, ძძლედ საზომისად, კითა ხადირი სელთა დაგაპურას!

მეცა თავი ჩემი ხელმწიფისა ჭირთავის შემწირავს. ჩემი საწადელი ეს არის: ხელმწიფემ ჩემს ხორცთა ზუდა მხიარულად და განცხრომით თვისი კბილი გაძრასო მათ უთხრეს:

— ეგ მოახსენება ერთგულობის გზას, მაგრამე შენი ხორცი ხუნაგისა ამშლეღია და მაწყინარი და მოუნულებელი, და ასპიტისა გასლისაგანცა უმნელესიაო. და მგელმა ფერსი უკურადგა. ეულ-გრძელმა აქლქმმა თავ-ხედობითა გონების აღვირი გაწყეიტა და სიტყვა დაიწყო, და, ჭებისა შესხმისა უკან, ესე თქვა:

ღ ე ქ ს ი

რომელმან ცანი კარავად მაღალმან დაჭრთნა მზიანი, კარნი განვიხვას, მეფეო, გასამარჯულებლად გზინანი!

მე ხელმწიფისა წინაშე ვიფოთები, მათი სვე-სვიანობისათვის მომამართავს: თუცა თქვენსა სამხარეულთათა კვედრები და თქვენთა ტაბლათა მოციტნებები, სულციგა საკვდავად არ მეწყედისო!

მთასხენა ლექსი

ვირე ცოცხალ ვარ შენს კარსა არ მოკუთრდები ნებითა,
სულიც არა მშურს საკვდავად, მოცემად, მითქვამს ცნებითა.

ხსიათა მთ მოყვასთა უთხრეს: სიტყვა კბე შენი ტრფიანლებისა და ერთ-
გულობისა გამო არს, და შენი სორცი ყოველთა მჯობი და მეტად გემირიელი
და მამენე, და სელმწიფისა ჭრილობისა მარტე. შენიმცა უხეობა გალიერდების,
რადგან შენი დიდი სული არ შეიწყალებე, და ამით რაოდენი სახელი და ქება
ხმელთა მოჭფინეო!

უთხრეს ჩახრუნაული

უნჯთა და ლართა, ვეცხლისა ძალთა გამცემნი კაცნი ბეერ ზთასობენ,
შენ სჯობსარ სრულთა, რომ გვიძღენი სულთა. ყოველნი ნაჭებნი შენთან ნასობენ!
და ამა სიტყვისა დასრულებასა ზედა აქლემი სასიკვდილოდ მოიგვეს, და
იგი რადასა იტყუდა, და უწყალოდ დაბალთეს.

ეს არაკი ამაღ მოგითხარ, სენა, რა შურისა და ხერხისა ჭურჭელი გას-
რუდლებს, არ იქმნების მის გამო ერთი არა მოჭხდეს რაო. დამანამ უთხრა:

— მეცა მაგის მორჩინისათვის გეტყვი, შენცა გონებად ჩაჭხეო. შუთურბამ
უთხრა:

— აწე ჩემი გონება სარგებლისაგან უღონო. ქმნილა. აწ ბრძოლისა, ომი-
სა, რკინებისა და სიკვდილისა მეტი გზა აღარ არის! გინცა უბრალოდ წახ-
დენის სიფრთხილისათვის მოკვდების, სამოთხეს ეღირსების. და, ესეცა იცოდე,
თუცა ღომისა ხელითა სიკვდილი თავსა მაცს, ბარემ სახელოვნად მაშინც მოკ-
ვდე, — ნამუსსა შინა ჩამომერთმეისო!

თქვა ლექსი

სასელოკანად სიკვდილი სიცოცხლის უმჯობესია:

სული განათლდეს, თუცაღა სსუელთა მატლი გვესია!

დამანამ უთხრა: ქვეათა მეოფელთა განთაგან ბრძოლისა ჰირველ გამართვა
უნამსია, განა ბრძოლისა უამისა უწინარეს მან იწყოს ომისა აშლა. ამისთვის,
რომელიცა ბრძოლასა თავსა აუღებს, უსამართლობისა სახელი მას ხედება; რა-
მელიცა თვისსა თავსა დიდთა ჭირთა შინა შერთავს, მეცნიერობათა გზათა ვარ-
დახდება. ჭკვიითა და ხერხითა და რიგით შება ხამს, რომე სრიაითა და სიტ-
კბოთი მტერი დასცე, იგი უმჯობესია.

უთხრა შაინა

სჯობს რიგინა ტყუილი რისხვასა გაუზომელსა,
მოთუნა წყალთა ანედლებს, ცეცხლი სწავს შესკდა რომელსა.

თუ საწადელი სიმშვიდით მოუხდა მისსა მდომელსა,
და რადღა სწყერების რისხეთა, ცნობა უხმს სიბრძნის მცნობელსა.

და არცა დაბალი მტერი მცირედ შერაცხოს, ამისთვის, თუცა ძალი და შე-
ძლება კგოდენი არ შესდგამს, მაგრამე ხერხიანობისა საქმითა ესეთსა ცეცხლსა

აღაგზნებს, რომე მისი აღი რჩევისა წყლითა აღარ დაშრტეს. თქვენ ღომისა ამბავი ხომ უოუელივე შევტყვიათ, და მისისა გაგებისა საქმენი იცით. მაშა, მისისა მტერობასა რაცა შენოდაეს, კერე აღრაცხე, და ომისა უამსა გაკრძალვით იყავ, რომე ვინცა მტერსა მსუბუქად მიიჩნევს, და ბრძოლათა შინა საგონებუ-ლითა და ცდითა აღარ იქმნების, სანანურად შეუქმნების, როგორათაც ზღვის უფროსს დაქმართათ. შუთურბამ ჭკითხა; კგ როგორ უოფილათ?

დამანამ თქვა არავი

მოუყვანიათ, ინდოეთისა ზღვის პირთა ერთი რიგი მფრინველნი მკვიდრო-ბენ, რომე სახელად ზორაუსა უწოდენ. ერთსა წყვილთა მამალ-დედალთა მის ზღვისა პირთა ადგილი დაემკვიდრათ და მუნ აყოფებოდენ. რა კვერცხთა ღებო-სა დრო მოუვიდათ, დედალმა ზორაუსა უთხრა მამალსა:

— ესეთსა ადგილსა დაიბუდოთ, რომე არა რას მანებულთაგან გვეშო-ნოდეს, და ჩვენთვის განსკვნებით ვიყოთო. მამალმა უთხრა:

— ამისი უმჯობესი ადგილი სადა არს, საამოვნო და მისაველ-მოსაყ-ლეული და გულთა საწადელი, და აჭკვე დაიბუდოთო, და კვერცხიცა აჭკვე და-ჩიკოთო. დედალმა უთხრა:

— აჭა ჩენი დაბუდებთ ძნელია, ამისთვის რომე, თუ ზღვა ადელდა, ღადო-სა გვერავს და მართვეთა ჩვენთა წარბიტაცებს, და ჩენი ესოდენი შრომა ცრუად ჩავიარს. მისი რამე გამაარჩიეო. მამალმა უთხრა:

— არა გვეც ზღვის უფროსმა ესეთი საქმე მოაწიოს ჩვენზედა და კვი-ტეროს რამე. და თუცა ქმნად ხელ-ჭუოს მტერობად, და ჩენი მართვენი დედუმა, მეცა დიდსა ზიანსა შევამთხვეო.

თქვა ლექსი

მბრუნეთა ეტლთა ქვე დათხვე, თუ ჩემს წადილზედ არ დიან...
ცა ვერ დამჩავრავს მოძრავი, სხვათ ვინ რა გაიკვლადიან!

დედალმა უთხრა: კაცთაგან თვისი საზღვრის გარდასლვა არა კეთილია, შეუძლებელის საქმით თვის ქება საგომობარა, ნამეტნავის თქმა ჭკვის პატრო-ნისაგან უხამსია. შენ რაი ძალ-გიცს ზღვისა უფროსსა უჭადოდე, და დიდუ-რად და ამხანავავით მას ზედ საბრძოლელსა⁹⁸ სიტყვასა იტყოდე?!

უთხრა ლექსი.

არ ძალ-გიცს მისი მტერობა, რასთვისდა მოჭკვეს ენითა?
მაშინც ვერჯს იქმ უცილოდ, რაბი შეიქმნა ფრენითა!

შენ ეკეთა სიტყვა დეუტკვე, და ბუდისა დასადგეულად ერთი სამშვიდო-ბო მოსასკვნებელი ადგილი ქმოვე. ესე ჩემი სწავლება დამიყურე. ვინცა მასწავ-ლეულსა სიტყვასა არა უსმენს, მოყვრისა შეგონებისა არა დაიყურებს, მას კერე მოუყა, რაიცა მას ერთს გუს მოუვიდაო. მამალმა ჭკითხა, როგორ უოფილათ?

⁹⁸ გარიანტი: საბრძოლელადსა.

დედაღმა უთხრა არაჲ

უთქამთ, ერთს ადგილს მცირე რამე ტბა იყო. მისი წყალი სარკესავით უღვარებოდა, ჩამხვლთა შირთა აჩვენებდა, სიკვითთ უკვდავების წყაროს გვანდა, და, სამოთხის მდინარესავით, სახელი განფენოდა. ორნი იხენი და ერთი კუ მას შინა იყოფებოდას ტბილითა აღურსითა, და მათ წესსედ მეტობრობითა ერთად მიუფობდენ, და ეგრე მოსახლებდენ, და ერთმანერთის შირის ჭკრეტითა იხარებდენ, და მათი ცხოვრება განსვენებითა ჭქონდათ.

ღ ე ქ ს ი

მას რამცა შეეღარება მოყურის შირის მზერას,
რა საყვარელს ხედვიდეს, მთვარე რად უნდა მზე რასა?

იჩქითმა, უსამართლო დროისა და ჟამის ხელმან, მოსდომის ფრჩხილითა მათის საქმისა შირთა ხოცა დაუწყო, და სარკისა მგავსმა ცამა მათის ერთობის გაურის საქმე მიჭრობიანში მოაჩვენა.

შ ა ი რ ი

საწუთროს ჟამით ღვინის სმა ტრფიალთან სანატრელია,
მაგრამე ხუდ გამოყოლა ჭკუისა ხელ ამურელია:
ხოფელის ნადიმთა მხედროელი სოფელსავითეუ მტრელია,
და რა გემოთ ჭამდეს, თან ახლავს გილისა მოსაჭრელია.

წყალი იგი, მათისა სიგოცხლისა ღონება შემკრებელი და სიხარულისა სურდოთა მომცემელი, მოღა-მოაკლდებოდა და დაშრობისა ნიშანი აჩნდებოდა. იხვთა რა ესე ესრე ნახეს, გული სამკვიდროზედ გაურუნათ, და სხვათა ადგილთა წასულა გააპირეს.

შ ა ი რ ი

გატლა ხამს სამკვიდროსაგან, თუ დგომს არ ეგებოდეს,
გული რა ნაღვლის მორეკსა არ ოდეს გაესვლებოდას.
თუცა მგზავრობა მნელია, რაზომცა კაცი კვდებოდას,
და მაგრამ შინ ჭირსა ისი სჯობს, გარ აღი მოკლებოდას.

და კუსთან მოვიდნენ გულწულუნნი და ცრემლ-მდინარენი, გაურისა და გამოთხრისა სიტყვანი უთხრეს,

და თქვეს ღექსი

ამა სოფელმა მუხთაღმა ჩვენ შენსა ძმობას გაგუჟარა,
დრომა და ჟამმა სამკვიდროთ ესრე უწყულად გაგუჟარა.

რა კუმ მათი განშორება მოისმინა, ტირილით და გაებით კალაღება დაიწყო და კერე უთხრა:

— კე რა სიტყვაა, მე უთქენოდ ცოცხალი სადმე ვიყო, და უმოყვროდ და უმეგობროდ აქა ვიყოფოდეო?!

უთხრა შაირი

უთქვენოდ ჩემი სიცოცხლე რით გაიძლება მითხარით?
მე გული ცუცსლით შეწყვარი, თქვენ შევებით მხარი მითხარით,
გული, გლახ გული უწყალოდ აწე გაღრუხინთა მითხარით,
და ვითა მოკვდავსა, სათლავი თქვენის ხელითა მითხარით.

თქვენის გამოსაღმების ღონე როდის მსჯეს, რომე გაურისა ტვირთისა
ზიდვა შევიძლო?

თქვა ლექსი

ჯერეთ ჩემსა კვიპაროხსა თვალთ ეხედუ ნაშუქარსა,
გული მითრთის გაურისათვის, ვითა ვერხვსა ნაშუქარსა.

იხვთა პასუხი აკეს: ჩვენცა შენისა გაურისათვის გული დაგკოდა, და მუ-
ცელი გაურისა ცუცსლითა მწარედ გეტვიანი, მაგრამე უწყალოებისა⁸⁷ ჭირნი მო-
გვეხლოვა, ჩვენთა გვითა მიწანი სიკვდილისა ქართავან სატარებლად განმზადებუ-
ლა. ამა უღონობისათვის სამკვიდროსა და საყვარლის მოყვასის დატყუებასა ე-
პირებთ და უცხოობის ჭირთა თავს ვიდებთო.

უთხრა ლექსი:

ტრთვალთ თვისის ნებითა სატრთოსა არ მოსცილდების:
სულსა სამოთხე სამოთხად წადილით არ მოსწვინდების.

კუმ უთხრა: მოყვასნო, თქვენ უკეთ იცით, უწყალოება⁸⁸ თქვენგან ჩემთვის
უძნელესია და საჭირო, და არცა ჩემი სიცოცხლე უწყალოდ გაიძლება. აწე გუ-
ლის სიყვარული და სიყვარულის სისწორე ამას მოქვენობს, რომე შეცა თანა
წამიტანოთ, და თქვენისა გაურილობისა სიმუხსარე არა აღმოაჩინებთო.

უთხრა ლექსი

თქვენ ჩემთა გულთა სული ხართ წასაკლად განმზადებული,
სული რა გავა უსულოდ,—გვამი მიწაა დებული.

ტვბილნო ამსანგნო, და რჩეულნო საყვარელნო! თქვენისა მოშორებისა
სიმწარე სამკვიდრებულისა დატყუებისა უძნელესია, თქვენისა უნახობისა ჭირი გუ-
ლისა ჩემისა ურვისა გარდაშემტებელია! სადა უნდა წავიდე, რა გინდ ყოველი გან-
სვენება მქონდავს, და მის ღროს ვამიერი ღხინი—მოუკლებელი? უთქვენოდ ბნე-
ლი მდინარე მქმნება, და ჩემისა ბედისა თვალნი გამოირტყდებიანო. იხუბბა უთ-
ხრეს:

— ჩვენ შენს კიდე ამსანგისა და საყვარლისა შეთვისება არა გეწადიან,
მაგრამე ჩვენი შორს გზას სიარული ბმელეთოვდ სლვით გაგრძელდება, და შენი
ჭკურთა შენს ფრინვა მოკლე და უქმნიელა, და ამა მგზავრობით ამსანგობა ვით
მოთავსდება? კუმ უთხრა:

⁸⁷ ვარიანტი: უწყალოებისა.

⁸⁸ ვარიანტი უწყალოება.

— ამა საქმისა ღონის ძიება თქვენისა რჩევისაგან მოიპოვების, და მისი ხერხი თქვენისა მოგონებით მოიაზრებისო. მე გაურისა გონებისაგან სულისა მოსულად მიწურვილ ვარ, და გული საყვარელთაგან გაწირვისათვის გამტუნია... მე რისაღა მოგონება შემიძლია?

უთხრა ლექსი

გული საქმისა მოქმედი მოცალე უნდა მრჩეველად,
გული ნაღვლითა აღსილი, ვით იქმნას გამოძველებლად?

და ესე გაუტევა. რა მონადირე ქურციკის დეინისათვის დაჭრა, შემოიჭვა და თა-
ვის ხალთასთან მოვიდა. ნახა ხალთის ჰირის საყრავი გაკვეთილი, და ესე აღა-
რა მეოთხი. გარცდა და თქვა: რაცა წამეიდა, საკვირველი და დაუჯერებელი არი-
სო. ჰირველად ქურციკის მასის გაკვეთა და დაკოდილობაზედ კლიყვავის დევნა,
და აწ ხალთის გაჭრა და ესე გაპარავა. ესეთი საქმე რამცა უნდა იუოსო? ამას
რა იგონებდა, შიშის ზარი გულთა ეუთლა, და თქვა:

— ესე აღგილი ანუ ეშმაკთა სამეოთხა, და ანუ ჭაჭთა სადგურია! ესე
სჯობს, სწრაფად წავიდე, და მერმელა ამა კელთა ნადირობად აღარაოდეს კვლი-
დეო. — თვისი დაჭრილი ხალთა და დაწვეტილი მახე მოკრება, და გაპარვად
მოეპრება, და აღთქმა დადვა: თუცა მშვიდობით უღაბური იგი აღგილი გაჯლოს,
მისსა დღეთა შინა მუნ აღარა გაჯლოს, და სხვათა მონადირეთაცა მუნ მისელა
მოუშალოს.

ოქვა ცაუბი

აქა ესრე ვიდადე, ჭარის ხელთა არის ბადე.

რა მონადირე იგი წავიდა, ოთხნივე მოყვასნი შემოკრბენ მშვიდობით, მო-
სკენებულნი და შიშის გარდაწრომილნი თვისთა სამკვიდროსა შეიყარეს. მას
დღესა უკან არას დროს კუმუნვისა ხელი მათსა კალთასა არ შეეხო, ვერცა ზრუ-
ნვისა ფრხნილმა მათი გულისა საწუხე გასოკა. მათი ესრეთ ჰარობის და ერთ-
გულობის ღსინით შეკრული აღურსის მკედი მაგრად შეეჭმნათ.

თქვა ბრჩობილედი:

ცალწვერს მკედსა დედაბერი სწრაფად გასწვერს უსუსური,
რა ოთხ წვერად შეაგრისო, გმირი დაშვრეს ძალთა მსური.
გარდის ძალ-ძალ მოსუნება სასას ახმობს, არ ანელდებს,
იუე შაქარი ეტრე სტამო, დეილს ენებასა დამხედლებს.
ორისაგან თითო, ცალკე არას არკებს სულსა, გულსა,
მაგრამ ერთად შეგბობილი არკებს ეოკლთა სუნთა რგულსა.

ესე არს არავი მოყვარეთა ერთგულობისა, და ზღაპარი აუთა კაცთა მუ-
სეობთა, და ზურგთა მიძეკმთა სწორი ერთ-ხელობა, და ბედნიერობისა მოქმე-
თა და უბედურობისა მცდელთა გარჩევა, სიყვარულისა და მოსკენების რიგით
პატივი, და აღურსის მუქათა სიკეთითა. ავსა დროსა და ჟამსა რომე ერთგულო-
ბით მარად-დღე დაჭეონ, და სრულისა ერთ-ჰირობითა დადგენ, ერთმანერთის
სიკეთის ნდომითა და მოხმარებითა ესოდენისა ძეღლისა განსაცდელისაგან მორ-

ხნენ, ჭირის მფრინველი. უკან დაიგდონ და ღსინის სნატო დაფენილთა კეთი-
ლის საქმით დალიცთა დასხდენ. ჭკვანთა უხმთ სიბრძნისა საგონებლობითა
ზღაპარი ესე გულის-ხმა ჭყონ, რადგან ნადართა და პირუტყვთა უსუსურმა მო-
ჟურობამა ესოდენი მოსაწონელი ხილი მოისხა, ჭკვანთა მუოფელთა და საქებულთა
გვარანთა და გამორჩეულთა პირმეტყველთა კაცთა რადენი რიგი ერთობის სი-
მართლის სახე, სახედველი და ერთ-საფუძველად დასადებელი, ამა კანონისა მსგავ-
სნი, მიეცემიან? და ესეთი გონება მათითა ცდილობითა, და მოჭირებების დაუ-
ზარებლობითა რას ხანს გააწყის! ნახე, თუ მისის სარკებლის რიგი კეთილსა
და ბოროტს რა კვარად გამოაჩენს, და მისა მის დროს დამდაბლებისა ყამი რას
დიდებისა და პატივის დროს აღგამალებს.

მჩრობლედი

გინცა მოყვასთა ერთობა იღის, მას დაემონების,
მისთვის სიფოცხლის გაწირვას არად არ დაეღონების.
რასაც საქმეში მოყვარე არ გახლავს, არცა ვარგია,
საქმენი უამხანაგოდ ცოტად ქმნილა ვარგია!
გინ სწორსა სიტყვას ბეჭუოდეს, პირობა ჭქონდეს მართალი,
მის კალთას ხელი მოჭკიდე! განწყავე ეს სამართალი.
ესეთი კაცი შეიტბე, პირი გითაოს პირობა,
სუელიცა ფარად გიფაროს, სწულვიდეს ისართა პირობა.
მოყვრის სული თუცა სულით ოდენ მოიუიდებიან,
ხულის ძმობა სულისაგან უძიარ ფასად იდებანი!



კ ა რ ი დ .

ზაქრძალვა მტრისა, და მათის საჰმის ზმრება და მათის
ხერხისაგან მოჩინება.

რამდ უბრძანა ბარამისი: მოუყარეთ გაწუბობისა და კრთობის არაჲი მოკის-
მინე, და კრთგულობისა და პართლის მკობრობისა მიზეზი შეეიტვე და გვი-
გონე.

უთხრა ლექსი

ვის მოუყარე შეუთვისა, მას რა ზრუნვა ექონება?
მკობარი ვის არ უჩნდეს, გული რითღა ექონება!

აწ თუცა მოწყალებით ენასა მოაშრობ, და მტურობისა იგვათაც გამოიტ-
უვი, რომე მისგან არა მოლორდეს, მისის მდებლის სიტუკითა და კედრებითა
არა აღადდეს, რომელი მეოთხე ანდერძთა სწორია, რომელი გრძელთა გამოკ-
ლეკითა საგონებულისათა არა ადრე მიენდოს მტერსა, რომე მტერი არას გზითა
არ გაუმოყურდება და არც დაინდობსო.

უთხრა ლექსი

მტრისაგან შენი მოყურობა მაშინღა იქმნას ჟამითა,
რა ცუცსლი წყალსა დაზაუდეს სამუდმოდ, არ ერთ წამითა.

ფიდ-ფაიმ თქვა: უოკულს საქმეთა ზედა მეცნიერმან კაცმან თუცა სიტუკა
არ ირწმუნოს, და არ დაიჟუროს, და პირ-მხიარულებისა სიტუბოსა და სიმდაბ-
ლის საკაჭრო არ მოიუიდა, ჭკვიანი მტერი მისისა სამულობანროსათვის ხელ-გა
მომაკობობისა საცადსა გამოიჩინეს, და გამოჩინილითა, თუ დაფარულითა ტუუი-
ლითა მრავალს ტუუილს გამართავს, და ხერხისა და საცთურის რიგებთა კრდ-
ბის. ამისთვის მრავლის საგონებელითა მრავალს რჩევასა გამოსჩხრკეს. მაშა,
მრავალ საგონებულისასა და ჭკვიანისა კაცსა დიდი გაკრძალვა ქმართებს. რაგინდ
მტერმს სიჭკეულე და სიკეთის ნამეტნაობა დაინახოს, მისი წადილი ეს არის: ბო-
როტი ცთუნება შეაქმნას და ამპარტაკანებითა დასცეს. ამისთვის ხამს, რაგინდ
მტერმს ნამეტნავი ფერობა და სიტუბო მიუძღვანოს, მაშინღა უფრო გაერთების
კალთა უკან უხამს უკუსწკეულად! თუცა შეცთუნს და ერთიგა ჭკრიტინა და
დააგლო, მტერი, მისი მეცნიერი, ნიადგ მასში ჭკრეტას დაიწყებს, და თათბი-
რის ისარისა საწადლის საგანსა ჭკრავს, და ამა საქმითა თვისსა საქმესა გზას

გაურკვევს, და, მასუკან, ხალკელსა და დანახებას ხელსა კვლარა შეუპერობს, და მრავალი ზრუნვა სარკებლად ღარ ექმნება, და ერთ მოუსდება, როგორცდაც მადრანისაგან ბუს მოუვიდაო. დაბიშლიმ ჰკითხა, როგორ უოფილაო?

ყად-ფაიმ თქვა არაჲო

მოუეყანათ, ჩინეთისა ერთსა ადგილსა ერთი მთა იყო. მისის სიმაღლის შეწდომადმდე, და მის თხემის დანახვადმდე თვალი მრავალგან დაისვენებდა, მეცნიერობის სასედეელი გონების ფერხთა მის მადლის წვერსა უებოდ კერ დაადგმიდა.

თქვა ლექსი

გერას შეირიკსა ენახა მისი სიმაღლე თვალითა,
არცა ვინ ზე ასულიყო ცნობის ფერხისა კვლითა.

მისის კიდისა სიშეენიერე, სიდიდეთ მეტრობა და კვლთა სივრცენი,

თქვა ტაეში

სიმაღლით—ცათა სიმაღლე, სივრცით—ხმელეთთა ოდენი.

მის თემისა შირი მისსა სიგანესა მოკვდა. იბრძისა მეწაღოტესა თვისის ძლიერებითა ესეთი ზე გაუზარდა, მისი რტონი ცათა გარდაფენოდა, და მისი ძირი უფესერულსა ჩასწდომოდა.

თქვა შაირი

მას დიდსა ხესა რაც რტონი ესხნეს და გარდაფენოდა,
ერთ ბროლის ღანძი ზედ კერა, ცსავით ტურფად შენოდა.
მისი ქებანი ხეთ შორის მიწის შირს არ მოსმენოდა,
და რტოთ თვალი არ მისწვდებოდა, გონების ზომით შემობდა.

მას მთასა ზედა ურიცხეთა მადრანთა დაებუდათ. მათ მადრანთა ერთი ხელმწიფე ჰუეთ, სახელად ფირუზ ერქვა. ეოკულნი მისის ბრძანებისა მოჩინილნი იუენეს, მისსა ბრძანებასა და სიტყვის იგავთა კრულებისა განსხნათა ცდილობდენ. ეოკულთა ასმია მადრანისა და ბუისა მეკლითგანი მეტრობა. ერთსა დამესა ბუთა ხელმწიფე, რომელსა სახელად შაბანგი ეწოდა, მრავლისა ღაშქრითა, მეკეთელისა და სისხლთა მსმელითა, თავსა დაესხა, მრავალთა მათთა ჯართაგანსა ძარღენი ამოსწვანდა.

ლ ე ქ ს ი

მეკავითა მხურად იბრძოდეს, გულოვნად, დაუშრომელად,
მეტრნი მიწათა გარიკეს, ვით ჭკუა მეტროთა მძრომელად.

მას ხელს დამესა დამხდურნი გაულონოვდეს, და ომის ცეცხლი წაუყიდეს და მოკვდაკებისა ნაკეთი ფამის წყვდიადობისა მას საყულოთა დაკურა, და ომისაგან გამარჯვებულნი გარე შეიქცეს. მეორეს დღეს, რა შავ-ფერთოსანმა დამის სიბნელის შირი დასავლისა ბუდისაკენ ქმნა, და კარსკვლავნი მათ ბუთაებრ განიზნივნენ, —

დ ე ქ ს ი

მახვილი წვდილი მოქმედდა მხესა, ჭკეპნის მანათსა,
ღამის ლაშქარი გაეჭვა მისს სხივთა სუთთა ან ათსა!

მადრანის სულმწიფემა დანარჩომი ლაშქარი, შემოივრიბა, ბუთა რაზმთაგან დალაშქრათა საქმენი და რჩევანი განიზრახა, და უთხრა:

— თქვენცა ნასეთ მათი ჩვესყედ გაგულოვნება, რომე დღეს თქვენი რამდენი მოკლეს, და სხვანი დაკოდას, და რამდენთა ფრთე და ბოლონი მოსწვადნეს და დაამსხვრიეს მათგან რომე ჩვენ ძალი, სარცსვილი და მოწვეუტა დაგვეცა, ამის უფროსი აღარ იქნებეს. თაჲდ ესოდენი ჭირი და უპატიურობა, და მერმე სამკვიდროთა და სასლთა შინა მოხდომი!.. რადგან ესრე გვიბზუნეს, ჩვენთა ბუდეთა და განსასვენებულთა მოგვიხდენ, და ესოდენი ძალა დაკამართეს, აწ ეჭვი აღარ არის, ივინი დიდად გაგულოვნდებიან და ახლაჲე, მალე გარე შემოიჭტვიან; და მეორედ თუჯა [დაგვესხენ, ჩანს უფრორე ძალს დაკამართებო, ამით რომე. ესოდენნი დაკოდილნი და დაწყლულებულნი წამალთა მოქმენი არიან, და თუჯა ადრე, მეორედ კიდევ ღამით დაგვესხენ, ჩვენთა ლაშქართაგანიცა ერთი ცოცხალი ვერ მოურჩებოიანო, და ამა საქმისა ვასინჯუად და რჩევისათვის ბაგენი აღასვენით, და ყოველთა მათის მოშორებისათვის მოიგონეთ რამეო.

უთხრა ძრწობლედო

ჟერეთ, პირველად შეგვხსეს, გამოუდღენი ვიუენით,
ჩაცურე ხერსი შევმხედოთ, მეორედ ნუ ვიბრეყენით.
ამ ღვართა გზათა არ შევრჩეთ, მოგვიცავს, მოგუდინება,
ჩვენს თემსა სულად წალეკავს, ბოლოდ დაგვრჩება გისება.
დღეს საქმე მორეკავარგოთ, შევმხედოთ სრითა გზებაა,
ხვალე ყოველთა არ მოკვხედეს სახმილი ახაგზებია.

რა ფირუხამ სიტყვა დაასრულა, მისის ჟარისაგან ხუთნი მადნარნი გა-
მოირჩიენ და ხელმწიფის წინ მოდგნენ. ჭება შესხეს და მართებული საქციე-
ლი აღასრულეს, — დია გამოქჳილნი და ჭკვა დიდნი იყვნეს, რჩევასა და გო-
ნიერებასა შინა გარდამატებულნი, სხვათა ნახიშნებთა ხვაშიდთა და სანდომელთა
ყოველსაჲე შეუტყობდენ, მათისა რჩეითა რომელსაცა უზნას გაემართებოდან
კვილიად წარემართებოდის.

შ ა ი რ ი

ბრძენი, გონება მალალი, რჩევა მრავალი გვიანი,
დროსა და ჟამთა შემტეობი, არ ცუდად მიხეზიანი.
ღისმა თათბირმა მრავალთა მტერთა დამართის ზიანი,
და საქმეთა ნათლად მხედველი, ვით მიჭვრიტნა შხიანი.

მადრანთა მათის საქმისა სასოება მათს რჩევაყედ დაეჯათ: ბორბოტა
საქმეთა მათისა სიტყვითა მოშორდებოდენ, ხელმწიფის ბედნიერობა მათს რჩე-
ვაყედ იდგა, მათის გაწირასვისა კართა კერვინ დასშვიდა. რა ფირუხას თვადო

მათ მიადგა, თვითო თვითოსა, რომელიც მათი არმანგი იყო, ჰატის და წვლობასა დაჭმირდა და უბრძანა:

— დღეს ჭკუის მოხმარებისა და ცოდნის მოგონების უამისა რაღა სპეკული გულის თქმისა საუნჯეთა გჭონდესთ, გამოიღეთ და მათთა შეწეობილად დააჯიშეთ; და რაღა კაცსა გონებისა საკვებლეთა განწმენილი დაგებულადესთ ცდის დღითა, გამოცხადებისა ბაზართა შინა სამს მიწვეინოთ მათ მდინათა საჭებელი სიტყვა ააუბნეს.

მოახსენეს შაირო

მეფეო! ღმერთმან შენ მოგცეს უოკელთა თემთა დიდება,
ცით ძალი, ჭკუნიით სიმშვიდე, მტერთაგან არ წაიღება,
ვალხან გამარჯვებისა ხელით შენითა მიღება,
და ორგულთა თავის დათრგუნვა, ამისთვის ჭჭონდეს რიდება!

და მოახსენეს: რაღა თქვენს დიდებულსა გაშირებასა ამა საქმისა ნებას, უოკელთა იგი უპატროსნეა, და რომელიც თქვენთა ნათელთა გონებასა გაკლის, უკეთესი იგი არს. ჩვენ მონანი ვართ. ბათისის ზომით ჩვენგან თქვენისა ბრძინისა გონებისა საკვითა შინა უნათელსად გამოჩნდება. ჩვენ ესეთსა რას მოვიგონებთ, რომე მის მეცნეობათა შინა უპატროსნესი მაგალითი არ დასასულ იქოს, მაგრამე რასადა მოავითხულსა იქმს, და სწავლასა მოახსენებს, ანაზღად მასცა გონებათა შეიხვამს, რომელსადა მოახსენებთ. ამადლებულს ყირუზას უოკელივე უკლებულად მოახსენება, მაგრამ სხვათადა კითხვა ურიგო არ არისო. მას ფირუზ ხელმწიფემან ერთსა მათგანსა ჭკითხა:

— შენ ამ საქმისს რას არჩეო? მან მოახსენა:

— ეჭა, ხელმწიფე! რომელიცა ჩვენსა უწინარეს ბრძენსი და მეცნიერნი უოფილან, ესეთისა მოსავლისა სერხი ჩვენთვის საცნაურად დაუფსთ, და უსწავლებათ: ერთსა რომელსადა ეცესა მძლავრი მტერი ჭჭეკს, და მისი პირის-პირი არ ძალადეს და გაგულგონდეს, საქონლის აფორიაქებასა და დედა-წულთ დატრეკებასა სამკვიდროსა და სამოფის დატრეკება შემჯობესიაო. ამისთვის რომე, ბრძოლასა დიდი ფათურაკი სდევს, და ომსა შინა ფერხისა შედგმასა ძელი ჭირი აჭეს. თუცა მტერმან ძალი დაატანა, გაცლა ხამს. რომელმაც უმსგავსოდ და გაუსინჯავად ჭაურისა ამოურისათვის ფერხი დაამყაროს, მეტადრე მისთანა ძლიერისა მტერისა, რომე მისგან ძლიერისა წინანის ნიში სცემოდეს, და მას შემართებით ეომოს, მას ეცესა მიჭაკეს, რომელმან ღვარის სადინართა დაძინა, და მდინარის ზედა აღიწთა აღმოჭკეუთდეს. თვისისა ძლისა მინდობილი თვისითა გულგონობითა მოტრუყდეს; ჭკვისაგან შორს დაჩევის, თუცა ხრძალი ორპირი ჭჭონდეს და გამარჯვებისა ჭარი უოკელნით უჭროდესო.

მოახსენა დეჭისი

მდაბალს მტერსადა კერძალე; ღვარსა ჭკაკს მჩქეფრად მდენარსა,
შენს უმძლეს ფოლე ნუ ებრძვი, დაგმართებს მოსაწყენარსა!

ხელმწიფეთა შირი მეორეს მრჩეულს მიაპყრა და ჭრჭყა:

— შენს საგონებელთა შინა ამა საქმისა უმჯობესი რაჲაო? მან მოახსენა:

— რომელიცა ამან მოგასსენათ -- გაცლა და ადგილისა დატოება, ჩემი რჩევა მას ვერ ემორჩილებოდა. ამისთანა განზრახვა ჰქვიათ მეოთხელთა სასიტყუო არ არისო. ზირკულად ამისი განზრახვა და ამ გზასუდ დადგომა, მისის საშევიდროსა და სამშობლოს ადგილის დატოება და უნაშუსობის დატოება უხადო საქმეა.

მოახსენა ლექსი

არ შეენის ღომის ჭაბუკსა, მცირედლა დანაკოდარსა,
ადრე ადგილის დატოება, დარსა გაქცეს მოდარსა!

უმჯობესი ეს არის: სიმხნის სასურველი ავიდოთ, და მრისხანებითა და გულის წყრობითა შირი მებრძოლთა შეაჭვიოთო!

მოახსენა შაირო

ხარბალი არა კვრათ—არ კარება, იგ უფრო გვიძახუნებენ!

ჭაბუკად ვინლა გვახსენებს? დიანინც დაგვიწინებენ...

ჩვენსა გმობასა არ კაცნი, ტურანინც დაიწინებენ,

და ძახუნთა ნაძახუნკად ზრახვითა შეგაწინებენ!

ხელმწიფეთა შინა შეიძლება თემისა შენიგურისა ხელთა გარდახვევნასა, როდესაც ცეცხლისა მსროლელისა ხარბლისა ნაწრობის წყლითა ავთა-მოჭმელთა მტერთა სახელი, სულისა მაგალითი გარდაარეცხონ. სახელოვანი მაშინლა განსვენების სიონთანა საწადლის ბაგეთა შეაწებებს, რაჲმს თვალ-სწრაფის მტრის ნდომის ფილა გამარჯვების ქვით დაამსხვიოოს. ამა რჩევისა ეჲმი აქა მიწურვილად. უოკლებით ღმარაჯანი გაჲყეოთ, და სადეთაცა შიშთა კელოდეთ, მუნით თაჲს გაჲწურთხილდეთ, და თუცა მტერი დაგეცხას, გამარჯვების შირი კელთა მტერისაგან იმუდის თვალი(თ) მოკაბურტოთ, რომე სასელოვნობის მიხლორთა სისსლი ნადიმთა მიწათა გაჲრიოთ.

მოახსენა ტაეში

სასელოვანად სიკვდილი კაცთაგან სანატრელია!

ხელმწიფეთაგან ხამს ომისა ეჲმს სასელის განთქმასა ცდილობდენ, სიმხნესა და გმირობასა მოივარებდენ.

თქვა შაირო

თაჲი გაწირე, დაადვი ფერისი კელს გამაგრებულად,

ქენებით კარდის როგანთა ღვაწლისა ბურთი დებულად,

მაშინლა ბედი გეჲკვის, შენთანა იყოს რებულად:

და სამკვეცი რაჲში დაფრიწო, კით ცეცხლმა გარ-მოდებულად!

ხელმწიფეთა მესამესა წყალობა უბედნიერა და უბრძანა: შენს საგონებელთა რაჲაო, და შენთა თათბირთა რომელსა სახლოს სახისა ფიცარითა გამოსწერ? მან მოახსენა:

— მე სხვათა მონასსენებთა კშორავ: და ესე მეჯობნიების: უოკელთა მსარეთა ჟეშვი გაკზანოთ და ფრიხილნი დარავანი დაჯდებოთ; მტერთა ამბავი ესრხსოეთი, და მათის საქმის სავასუხო გაგებოთ, და უმჯობესი დაჯამტვიცოთ. მათ რომელი სწადიან, შვეიტიუთ. თუჯა დასაკება უსდათ, ანუ არა? ბეგარათა ხარეთა სვეანან, ანუ არა? თუჯა ესოდენი შეგვიწყალონ, სულთა დაღებადმდე ღონის მაცალითთა შეგვაძლებინებენ, შემსგავსებით ბეგარათა თავისა დაგვადებენ, რომე მათის ბრძოლისა და ღამე დასხმისაგან დაკმშვიდდეთ, და ჩვენთა სამკვიდროთა ეყოფოდეთო.

მოახსენა მრჩობლუდი

თუ ჩვენ რჩევა შეიზღვნა, მონასსენები ესია:
 მტერთ შესვენება სჯობია, ბრძოლანი უარესია.
 თუ მტერსა კერ მოკურეკით, იგი დაგვაჯარებს ძალითა,
 მიცემავე სჯობს საქმისთვის სახრიყალისა ძალითა.
 თუ გწადის მტერმა არ გახლოს კნებისა საკნებელითა,
 ტკბილი სიტყვა და მიცემა შეკერავს სრულ საცნობელითა.

სულწინფეთაგან ერთი რიგი საქმნელი გამოირჩევა ეს არის: რა მტერმან ძალი და ძლიერება გამოიჩინოს, და მისი შიში თემთა მოუფინოს—«ესე უოკელი შეუძლიაო», და ამით მდაბიონი მოისროდენ და იავარ-იქმნებოდეს,—ამისთვის ხურხისა ნარდის ნასწი გაშალოს, და მტერსა სამღერელი კამათელი წაუგოროს, და მარსისა შიშისაგან გამოიყვანოს, და ხვასტანგი და საქონელი თემისა და ადგილის ფარდად დაღვას. და თუცა მტერსა ამპარტაჩობისა და ზეაობის კამათელი მოუვიდა, მას მტრობის ნარდის დავისა თსოკა მოუცდება. რაგინდ მტერთა ძალი მტრი იყოს, მძღავრობითა და რისხვიითა მღერისა, ჭკვისა და გამოცდილობისაგან შორს დარჩებაო.

მოახსენა ტაუბი

თუჯა ჟამი შენ არ მოგეყეს, შენ მას მიჰეყე რაცა სწადდეს!

ხელმწიფემ მეოთხესა მრჩეველსა უხმო და უბრძანა: შენცა ერთი რამ წარმოთქვი, რაცა საგონებულთა გქონდესო! მან მოახსენა:

— ეჭა, ხელმწიფე! სამკვიდროს დატკეება, და გარდაჯარდნის დალი და უცხოობის საჩვეული გაკბლოთ, იგი მეჯობნიებისო. თუჯა მათ ჩვენისა წესისა და რიგისა ძეთი გაწყვიტეს, სრულად დაესრულებით. აქამდე რა მტერობა უოკელთა უმეტეს შეტეპლო, აწ ჩვენცა თავი დაკვიმდაბლოთო.

თქვა ღეჭი

ჩინ თქვა, ასკატა სონდულსა სანემარად დაიმონებდეს,
 ღომისა საბრძოლად ჭურციკი არად არ მოიწონებდეს?

ჩვენ რაგინდ მათი ხარკის მიცემა თავს კიდეათ და სრულად მათს ბრძანებას ქვეშ შევიდეთ, კბრევა არ დაკვინდობენ, და სრულად ჩვენთა მოსრკათა, რაცა ძალ-უცხთ, გედებინაო. ნათქვამია: მტერსა ესოდენი პატივი ეცო, შენი საწადელი

ადგისრულდესო, არა თუ ესეთსა სარისსთა აღსდეს, რომე მისითა თავი მოიძგო, და მას დაემონო და მტერი გაძლიანდეს. იგინი არას საქმით მართებულს სარეს არ შეგვეყრდებიან. ჩვენს საქმე სიწინარე და მოცდაა, და თუ აღარ იქნა, ოცივე სვობს, ამისთვის რომე, ბრძოლისა ჭირი და სიკვდილი გვიუბოს სსსელთა მოყივნებასაო.

მოახსენა ლექსი

გვიჟობს სიკვდილი ჭებული, თავის გაწირვა ნებითა
სიცოცხლე მოყივნებულსა, აუგანსა ენებითა.

სულწითემან მას ბრძენსა, მეხუთესა მრჩეველსა, რომელსა ქარშონა ეწოდა, მას უხმო და უბრძანა: შენგან მრავალი ხვანჭი, დასკენილი, ადვილად გახსნილი მინახავს, და შენი მინდობა მატკს, და ჭეყნათა მოკლისა სსსოებასა კელიო.

უბრძანა შაირი

ღე, ბრძენო, ჩვენო ერთგულო, მეფეთა მისანდობელო,
მათთა საჭირო საქმეთა ადვილად გამოძინობელო,
მტერთა სახრიგო საქმეთა ადვილად გამოძინობელო,
და მოყვარეთ ზურგის მიძველო, ორგულთა დამამხობელო!

ამისას შენ რომელსა რჩევასა გაიზრახვე: ბრძოლასა და ომსა, თუცა სამკვიდროსა დატყუებასა და გაცლასაო? ქარშონამ მოახსენა:

— მე ამას ვარჩევ: ბუსა ომთა ნუ კეჩარებოთ. ვირე მათი საქმე სხვა არა მოხდეს რა, ჩვენ მათ მტერობა რამე არა დავანახოთ, ამისთვის რომე, ბრძოლისა უამსა იგინი ჩვენგან უმსნე მომარინა არიან და უეგულოვნენი, და ძალითა უმეტენი, და ტანადაც უსოვნენი. მტერთა რომელიცა უღონოდ მიიწინებს, ამპარტავანებისა მქონებელი იქმნება, და რომელიცა ამპარტავანებსა იწევებს, სიკვდილსა მიახლოვდება. მე მათგან კვლად დასხმა აღარ მგონია, რომელსაც გონების თვალთა უსინყავ. ვერ სახად იგინი აღარას გვიმტერებენ, ამისთვის რომე, იგინი აწ დაღადებულნი არიან, და მტერთა მძლავრებისაგან დამშვიდებულნი იქმნებიან. იგინი ამას იტყვიან: აწ გამარჯვებულთა თუცა კიდე ომი გავაწყოთ, არამცა ფათერაკი წაგვეიდოსო, და მარცხი მოგვისდესო, დავმდებდეთ და ჩვენი ძლიერება მოიშალოსო. — მე აწ მათგან ომსა არ ვაზრობ. იგინი ჩვენს განარკვასა ჭეულობენ. თუცა მიხანი არიან ამისთვის, კვლავ მათს შობასა, და თუცა არა მხანი არიან, კვლავ, თუცა ბოდიში რამე სასწიგო მოითხოვონ, და მე ამას სამითა საქმეთაგან იგინი ომსა დავადებულნი მგონია¹⁸⁵. მათ თუცა განაღდა ომი ეწადოს, ჩვენგან ომი სამჯობინარი არ არის, ამისთვის რომე, ჭკვიანთა საუკეთესოდ ესე უთქვამსთ: ომსა და ბრძოლასა კაცი მოერიდოსო. ომითა რაგინდ თათული შეიმშალოს — გემო არა აქვს. სული ყოველთა უმჯობესა, მას არა რა შეეღარებაო.

¹⁸⁵ ვარიანტი: იგინი ომისა და ცადებულნი მგონია.

მოახსენა მარი

თუ იყო გმირთა უმსნესი მისისა მის საზომისა,
 ზალოას უძლიერესი, მუობი მებრძოლად ლომისა,
 მაშინც მშვიდობა სჯობია, იმედი სულთა დგომისა.
 და არ გიციით ბრძოლა რასა იქმს, რა ტაგება არს ომისა!

ხელმწიფემ უბრძანა: რადგან ომსა სამულობინარად კერ სედათ, მაშა სხვა-
 სა რასა ამჯობინებთ? მან მოახსენა:

— ამა საქმისა ზოცად და ჭკურეტა, და სიმაღლისა და სიმდაბლისა თუაჩს-
 თა ზომა ხამსო. ხელმწიფის ძალი რომე გზიანითა რჩევითა განსრასათა გამო-
 კვლევათა შეეძინება, დიდითა საუნჯითა და მრავლისა ლაშქრითა ეტოდენი. ღირე
 არ დაიდებაო.

მოახსენა ლექსი

ერთი სრმალი გამკვეთელი ორმოცს მოჰკლავს, ანუ ასსა,
 ერთი რჩევა სულ დასთრგუნავს სიმრავლესა ლაშქრის დასსა!

ხელმწიფეთა სიძლიდრე და ძალი სათელ-გზიანს რჩევა არის. მასწავლებე-
 ლი კეზირების რჩევა სიძლიდრის მომატების მიწი:ზია. მათი კეთილი ცოდნა—
 რაკვარადც ზღვასა მდინარე შეემატება და შეეწევა, და თუჯა არ შეედინა, მოა-
 კლდება, — აგრევე რომელთაცა მწერთელთა სწავლება და მათგან დამარხულის სი-
 ბრძნის საქმე კეთილად არ მოიყიდა, მცირედსა ხანთა უოკლეივე ბედ-სვიანობა-
 თა კერ მიიხლება, გაშორდება და გაეხევა; რომელსაცა ჭკვა და სიბრძნის ბედ-
 ნიერობა მისცემია, და მისანდო ყმათა სიტყვათა ისმენს და დაიჯერებს, მისი
 სვე-სვიანობა გაძლიანდება და სანადგომ-სანადგომად მიეცემა. მადლი ღმერთსა,
 რომე დღეს ჩვენი ხელმწიფე სიბრძნითა, მეცნიერებითა და რჩევითა სრულია!

უთხრა შერეული

მეფეო! შენნი სიბრძნენი სმელეთსა ჭყარავს დარულად,
 ენა, მსე შენის სიტყვისა დართაკე არის დარულად.

თქვენნი თათბირი უოკელთა კეთილთა უმჯობესია,
 გულის ხმა, შემოკრებული, მტერთ უძღვის ძილთა დარულად.
 ჩემი ვით შეტევათ გონება თქვენს ცნობას, — უარესია,
 და მძივი ვით დაიფასება სპეკალთან, დაქრთავს დარულად.

რადგან ხელმწიფემან მე თანა-განმსრასობისა ჰატეითა განმამდიდრა და
 გონიერებაჲ მიქო, აწ ჩემგან ხამს, რომელიმე თავის წინა, და რომელიმე საჯა-
 როდ მოკახსენრო. მე სიმაღლესა და სიმდაბლესა ორთაკე მოვისაქმებ, მაცრამე
 თუჯა ომსა კმლი და არა მხეხავს, ეგრევე დამდაბლებასა და მათს თავის მოდრე-
 კასა არ ვაჯობინებ. ბეჯართა და ხარკია ტვირთვად, რაც მამა-ჰამათა ჩვენთა ზურ-
 გი არ მიუპურათ, მე ჭედსა არ დავიციდებო.

თქვა ჩანრუნაული

გმონო თუ მტერსა, გაეგო მტერსა!.. სიბრძნეიდად მიიანს, საუკადრისოდ,
 მიუობს მოკვლანი, არა მოკვლანი საუკადრელს დღეთა, რად ჭყა სადრისოდ.

მადლს და კეთილ-მოქმედს კაცს სიცოცხლის სიგრძე ანუ ცოდვის მოსაზნებლად, და ანუ სინანულისა გასაფურცლად უნდა უნდოდეს. ღმერთმა ნუ ქმნას, და უხადოდ ყოფასა დღე-მოკლობა უმჯობესისა და უსაწყადლესის. მე აჲდ კხედავ, რომე ხელმწიფემა კედრებით ჭედი მოუხაროს და მათდა საღასკად გასადოს, ამისთვის რომე, ჩუენთა შირთა მრავალნი ჭირის კარნი გაიხმინ, და ღონის-ძიებისა საგონებელი ყოვლგნით დაიხშვისო.

თქვა ლექსი

ჭედი სსხელი განთინე, ნუ მოისუსტებ ჭეპასა,
სისუსტის ადგილს მანჯან ძალით დამართებს ნებასა!

ხხეას ჩემსა მოსახსენებულს თავის წინა მოკვიბუნებ(ბ)თ, რომე საჭეეწო რჩევა ხელმწიფესა გავგონოთ. — მათ გრებულთაგან ერთმა უთხრა:

— ჭაი-ჭაი ჭარმონავ ყოვლისა განზრახვისა სარგებელი ეს არის, რაცა სათქმელი გაქვს, ჭკვათა მყოფელთათანა მოაუბნა, ამისთვის, ნუთუ მათშაც ერთმან ესეთი რამე თქვას, გონების ისარი საწყადლის საგანთა მოახვედროსო. ბრძენთ უთქვამსთ: რჩევა — ჭკვათა შემოკრება არისო. ბრძენთა სიმრავლემ რა თვითო ფილად ერთად შერიონ, სარგებელი და სიკეთე მთვან გამრავლების, საბოლოოდ გაცულების სადავე მოსწყდებისო, რაკვარადაც მეცნიერთ უთქვამსთო.

უთხრა შაიარი

ნუ მიენდობი ოჭროსა, ნუცა ხრძალსა და გმირებსა,
ბრძენთაგან რჩევა შოიკე, დასჯურდი მათს თათბირებსა.
მაღე გაცასტკეთ მახვილსა, ისართა გასაგმირებსა,
და რჩევას თავს დაიბურკენ, აჩ აჭვიდებენ ვირებსა!

მაშე, შენ რჩევას რომე თავის წინა იტყვი¹⁸⁸, რომლისა გზით აულობანო? ჭარმონამ უთხრა:

— ვოკელი გაცი მე და შენსავით არ არის. ხელმწიფისა ხვაშადისა გაცემა, ანუ მისისავე მრჩეველთაგან იქმნების, ანუ მოციქულისაგან. შენ ხომ კეთილად იცი, ეკეთმა გაცმან თუცა ჩუენთა სიტყვათა ყური მოჭკრა, რასაცა მოისმენს, სწრაფად მტერსა აცნობებს. და იგინი ხანთა აღარ დაზმიან, და ხერხისა და ჩხუბისა სერულბთა ამოკუსებენ, და ჩუენისა რჩევისა ისარი მერმელა საწყადლის საგანთა საკრავად კედარ მიაწევს. რაგინდ მტერთა მსტოვარი კერ გაუწყდობდეს, საეჭვია, ერთიც არის მათი მოყვარე და გამამხილებელი აჭა გუყუკს, და მონასმენი იდუმალ შესთვალოს, რომელიცა ამა კრებათა შინა ისიტყვა. მრავალთა ენათა ჭეშე ჩავარდნილი, მტერთა და მოყვარეთ ყოველსავე მოასმენს. ამისთვის ხვაშადისა დათვარკა დია დაუინებით უსწყალებათო.

უთხრა ლექსი

კეთილად უთქვამთ გონიერთ საქმენი საჯანჯანხონი:
«თუ თავი გიყვარს, დაიტყვი სიტყვანი შესანახონი».

¹⁸⁸ ვარიანტი: მაშე, შენ რა მ რჩევას თავის წინა იტყვი.

რომელიც თვისს საიდუმლოთა, რომელიცა დიდად გულთადაი არ არის, და მასთან იტყვის, ბოლოდ სასწინანულოდ შექმნება, და მერმე სინანულს საბრკებელი აღარ ექმნება. და არცა სხვათა ზეაშადაისა თქმათა კგოდენი გაგრძელა უსამს, რომე ხელმწიფეთა მართებთ. არცა ხელმწიფეთაგან, თუცა მისანდო და გამოცდელი არ არის, მისი გულის ზეაშადაი ეთქმის, თუ არა, მისგან დასაკელი-სი დიდი საზარალოა.

უთხრა ლექსი

თუცა შენს მეტმა იცოდეს შენი იღუმაღ რეკანი,
ამაზედ უნდა ეკებდე, გჭონდეს ცრემლშაი რეკანი.

მრავალ გზის მომხდარა, ხელმწიფეთა საიდუმლოსა გამსულითა ქვეყანა, სუ-ლი და სიცოცხლე უოკულივე მოხსრებულიყოს, რაგვარადაც ქიშმირის ხელმწი-ფემს კეზირის ზეაშადაის განდობის მიზეზითა მცირესა ხანს უკან ხელმწიფო-ბისა სიძაღლით გარდამოკარდა, და მისის სიცოცხლის მზე დასაკვლად ჩასდაო. ფარუხამ ქვითხა, როგორ უოფილაო?

ჭანშონამ თქვა არაგი

უთქვამთ, ქიშმირის ქვეყანას ერთი ხელმწიფე უოფილა, თვისის ნებისა ლაგამი ცის ცხენისათვის პირთა აღუდა, შესაპირობელი საგდებელი თაგ-გამზი-დვარის უამისათვის უელთა გარდაეგვა. მისის ბასრის ხრმლის ცუკსლისა შიშით ჭრი აჭიქ ქროლას კერ იკადრებდა, სულთა გამაერთობელისა ქუსილიანის წემათა სიმრუდით მიწის დაღტობა არ ძაღ-ედა.

შ ა ი რ ი

თქმთა თვისთა სიმშვიდისა სამოსელი შექმოსა,
რომე ხრმალი კერა ჰკვეთდა, ვით მოუყასსა, ვით მექმოსა,
ძმლაურნი გდესთა კერ აუნებდენ, კერც მზარაგნი—სარემოსა¹⁸⁷,
და უოკლნი სულნი იხარებდეს, მოელოდენ ჰვე ზემოსსა!

ამა დიდებულსა ხელმწიფესა საჯალაბოთა მოფარდაგულთა სრათა ტურთად შენიერი ცოლი უჭდა. მისი თმანი და წინამონი გრმელთა დამეთა ესწორებო-და, პირისა მისისა სიგველურე ათხუთმეტისა დღისა მთვარისა მოკანებასა მის-ტაცება. უგულთა კაცთა რა სიმზრად ენახა, მისის სიყვარულითა რა გაეკვი-მისთ, მოთმენისა საყელთა დაიხვედენ.

შ ა ი რ ი

ხაჭკრეტლად ბოლოკარკაზი, ტან-სარო, პირად მზინანი,
წარბი მშვილდურად მოხრილი, დაწვი კარდულად წელიანი,
თმა ხშირი, ნახუჭუჭარი, წელ-წკრილი, უსულაინი,
და თვალ გრემა, ბაგე-ბაღასში შეწეობით კბილ მოწიანი!

ხელმწიფე მისის სამწევარის ტრთიალი იყთ და გარდამატებით უუკარდა,

¹⁸⁷ გარიანტი: კერც მზარაგნი—სარემოსა.

ესრეთ რომე მისის სახისა ნახვა სულის დგამდ სწნდა, მის თმისა და ხალის თამაშობა სიცოცხლის მომატეველები კვანა, ამდ რომე, უოკელთა სულოერთა მათისა სასურველისა ტრფილუბა მდნიტებრივ მისკენ მიიზიდვენ, და მათნი კენი გულთა განსკვნებისა მოთმინებისა საუნჯეთა გულისა მისისა უბეთაგან მის-ტაცებენ.

ღ ე ქ ს ი

ნუ ჰგონებ ჩემის ნებითა მე მისსა უკან მიმწევსა,
თმანი საგდებლად გარდმაცკა, მახა, ძალად მიმწევსა!

იგი კველს და მოკამათე ხელმწიფის გულის ძალადურსა რა თვისის და-ლალთა მასეთა შინა გამბულთა ნახვედა, წარბსა მშვიდდურად გოზი გოზამდე მოხვედა, წამწამსა ისრაჲ მისის მკერდისა საკანთა ესროდა, უამითი-კამად სხვა რიგით უსულითა ეჩვენებოდა, ტებილის საქმითა და სხვა რიგის მიზეზითა მის-სა გულთა შინა შეაბიჯებდა.

ღ ე ქ ს ი

ამიკთა ცეცხლი დამწველი, მჭურეტულთა გამაშმაგები,
უბაჩა ტანთა კმოსა, ნაკებთა უფხო ნაკები.

მეტისა სიღამაზითა და უსულისა მდრთუნებულობითა ქმარსა არა სჯერდუ-ბოდა და სხვათა მოინადირებდა, და გულისა მიმღებულსა საგდებულსა მომჩუბ-ბულთა უელთა¹³⁸ გარდაცმობდა. ხელმწიფესა ერთი შინა მოსამსახურე ჰყუა, სახე შეენიერი, ახალი ჭაბუკი, ემა კაცი, ახლად წვერ-რულვაში ხავისისებრ მოხვეოდა, უკვდაების წყაროთი მორწყულსა ჰკვანდა, სიმწვანე, სამოთხის კორდებრ, სამო-თხის რუს პირთა მოჰფაროდა.

ღ ე ქ ს ი

ღალის ბაკეთა ნაწყობთა გარ მოსცხებოდა მეღანა,
მის შეენებისა მნახველნი იფხვოკებდენ უვეღანნი.

იგი ქალი მას ეტრფილდა, და იგი უმაცა მისის სურვილის ბადეთა ცაება. მათისა საქმისა ფარდაგთა შიგა მოთმინის და მოცდის უამის ნაწილზედ ცახეთ ოდენიცა აღარ დაურჩათ.

ჩახრუნხულე

მონატრეობის, მონატრიობის სულის ტანჯვას კინ მოკმოროს?
სწვეკვდეს წამალი, მისთვის წამალი ძებნოს, კერ ჰპოვოს მეურნაღთა სოროს.

ჟამ-უოკველ სატრფო და ტრფილი თვალ-წარბით ლაპარაკობდენ, და წამის ნიშნებითა გულის თქმათა მათთა უამობდენ. ერთსა დღესა ხელმწიფე ნადიმად ჯდა, ცოლი გვერდს ახლდა, და გული მისის სიკველუცისათვის შეეკრა. ჰაბუ-კი იგი იმსახურებოდა და უოკელსა საღსინოსა წესთა მართებულად აწყობდა. ხელმწიფე თვისთა გულთა მალხინებულსა სჭერეტდა და მისის პირის წერილთა

¹³⁸ ვარიანტი: მიმნებულთა უ ო ვ ე ლ თ ა .

იკითხვიდა. ქალმა, მის ჭკრეტის უმეცარმა, მას კაცს შესედა და გულის სისხრულით გაეცინა, და მათი სიტყვით სავსე დამშვიდებული უამი გამოცხადდა.

ტ ა ე შ ი

გარდას გაცინებმა ბუღბული სრულად შეშალა.

იგი ვაჟიცა მისის პირის-პირი ჭადგვითა თვალთა კილოთა სათუთობის სახეთა აზვებდა და ათას რიცხს ხელობასა ჭეყანასა მოჭუენდა.

ღ ე ქ ს ი

მონარგიოული გუგანი, ნახევრად ჩამოფახუნნი, ციმციმად მოეყუენარე, აშოეთ საყლავად სახუნნი

ხელმწიფემ თვალი მოჭკრა, და მათი განზრახვა სცნა. სასირცხო ცეცხლის აღი მისსა გულ-ღვიძლთა ადგუნა. რა მათი ტრიობა შეიტერო, საყვარელს სრულობით გული მოაშორა.

ღ ე ქ ს ი

ბრძენნი იტყვიან: «რას არგებს კაცს კვიპაროზის სენია, თუ მისი ჩრდილი სხვასა ადგს, და თვით მოუკვლახუნა?!»

მერმელა თვითვე განიზრახა: ესეთსა საქმესა სიჩქარე არა უხმს, ჭკუით მოკლა უმჯობესა. ესე ორნივე, უმჯობესად, ჩემნი მტერნი არიან, და მათი აღმოფხვრა ჩემგან საქმნელია, მაგრამ სიჩქარე ჭკვის გზებს სრულობით დაჰკარგავსო.

ტ ა ე შ ი

ხულგრძელობა სჯობს უოვლის საქმისა გასაგებულად!

მერმე, ეგრევე პირველი სიყვარული არ მოიშალა მათის მიუნდომლობისათვის, და მას ღამესა მისის სიყვარულის შუჭითა გათენებამდე ჯდა, მაგრამ მისი გული, პეპლებერ, სისწრაფის ცეცხლის აღსა შიგა იწკებოდა.

ღ ე ქ ს ი

ღომმა მთვრალმა და ტრფილმა, კით მოითმინა ნახული, მისის გულისა უკვილსა რა ჭკრეფდა სსვა გაზრახული?

მეორეს დღეს, რა მზემა ჭიმშედის სვიანობისა გამარჯვებული დროშა გაშალა და ფარუზის ფერს ცის გამარასა შუდა ამართა, და კარსკვლავთ ხელმწიფემა გიშრის ფარდაგი მისის მსკაცის დერეფნის წინადამ აგება;

შ ა ი რ ი

რა მზისა ძალმა ტურფანი სახენი ამოანათა, ღილის ფერთ ცათა განფენით მან სხივი ასჯურ ანათა; უოვლებით მიუშვა ნათელი სიხნელის გასაბანათა, და მისგან დაშვებდა ხმელეთი არ დაზმით მას ერთ-ხანათა.

ხელმწიფე სკებდნიერობის ტახტთა დაბრძანდა, სახელკანობის ხმა განფინა და უდიერობის მოჭმელებისა მისაგებული მისად საფურად გააგო.

ჩახრუხაული

მეფე დარული, ნუ თვალთ დარული, სიძარტლის მქმნელი სწორეს მსჯავრის, დეთის მადლის ჩრდილი, ზესთა გაწრდილი, სიძარტლე წვერთილი ზეცის კარისა.

რა თემთა საქმის გაკუბისკან მოიგაღა, მოუწოდა თვისსა კეზირსა, რომელიცა მისის ქვეყანისა გამყარებუ იყო, თავის წინაობა ბრძანა და ხალვა შეიქმნა. რისისკაცან ქონდაქარი მოაუყანინა, და კეზირსა წუხანდელი უოკელიკე უამბო, და მოინება მისისა რჩევითა მათ ერთი რამ სასმელი შესკან. და ჭკვითა მასწავლებელი ზეშადისა თქმასა უშლიდა და ეტეოდა:

— რაცა გწადს გულისა შენსა, ქმენ, და ნურავის ეტევიო. — ხელმწიფე წყენამა ესრე აჩქარა, გულთა კელარა დაეტიკა და კეზირსა უოკელიკე წარმოუთხრა, ამას საქმისა რჩევა ჰქოთხა, და იგიცა მისსა განზრახვასა მიემოწმა, მისიკე რჩევა დაამტეიცა, და მათი სიკვდილი დაასკანა, რომე მათ სამსალის წყენი ორთაკე დასტმნიკინოს, და სიგოცხლის კიდიდამ სიკვდილის მორკოთა დაანთქან, ესრეთ რომე, კეზირისა კიდე კერავინ აგრძნას, მარტო ოდენ ხელმწიფემან, ამად რომე, ზვის სახელის თვარდაგი არ დაიხიოს და პირისწყელის ძეკი საუგოდ არ გაწელეს.

ღ ე ქ ს ი

ესეთი საქმე თვრეთ სჯობს, იდუმალ, არვის ცნობილად, თუ გამოცხადდა — არ კარგა, აუცი უძღვის სწრობილად.

კეზირი თვისსა სრასა მივიდა. თურე კეზირის ქალი მას დღეს ხელმწიფის ცოლის სანახავად იყო, მისდა მართებულად არ უხალესა, და სწორთა მისთავან შერცხკანდა და ითაკილა. შინ მოვიდა, მამას დიდ მოწყენილი დახვდა. მამამ მოწყენის მიზეზი ჰქოთხა, და რა შეიტყო, დიდად ეწენა. თვისსა ასულსა გულის დასადებულად იგი საქმე ახარა.

ფისტიკაურა

დილის ნიაჟმა გუშინ დამისა სასახარულო ამაჟი უძღვნა, წარუნვა-ნაღველი სრულ გაუქარვა, ნაადგილკის ძირინც მოურღვნა.

და უთხრა: ნუ წარუნავ, შეიღო, ამას სამსა-ოთხთა დღეთა მისისა სიგოცხლისა ღამწარი დაშრტება და დღეკრძელობისა კარდი დაუჭნებო. ასულმან მის აზმისა მიზეზი გამოჰქოთხა. მამამა ზოგაერთი რამ სულმწიფისა და მისი ნაუბარი უამბო, და არავისთან თქმასა კედრა. მას ქალსა ესე საქმე დიდად გაუხარა, და მამისა სწოლოთ გამოვიდა და თვისსა განსაკუნებულსა მივიდა. მოღან რომე სულმწიფის ცოლსა კეზირის ქალი კუშტად გამოეშვა, ამისთვის თვისი ერთი საჭურისი მისად გულის დასადებულად გამოეგზავნა. და ბოდიში მოუთხოვა. რა ხადემამ მისი სიტუვა დასწრულა, მან ქალმან სიტუვა უგო: რა იქმნებოსო, თუცა მან ჩემთა ამხანაგთა თანა უუგმწიბილა? მასცა ახლორე ახლავს თვისი სატანჯველიო!

ტ ა ე შ ი

მოქმედება დღენი იგი, დამიძვირდეს მტერთა ჭკრეტა!

მან საჭურისმა რა ესე მოისმინა, ორგულება იქმა და მხარულთა ში-
რთა მის სიტყვის მიზეზი გამოჰკითხა, და თქვა:

— რა გასახარელი დღე მექმნება, მისის უკეთურებისაგან მოკრეო მან
ქალმა უთხრა:

— თუცა ამა ხვაშადს არ გამოძულ, წკრილად გაიშობო და შენ არა
რას დაგიფარაო. მან ხადუმმა ფიცი მისცა, და ქალმან მან ყოველივე უამბო.
საჭურისი მოკიდა და ყოველივე, მის ქალის თქმული, თვისსა ბატონსა მოახსენა.
მაშინვე მან მისსა ხელქმნილსა იდუმალ მოუწოდა, ყოველივე უამბო, და სხვა-
ნოცა კინზე მოიბიძრეს და გაერთჰიბრდეს, და კირემ ხელმწიფე თვისსა განზრახვა-
სა აღასრულებდა, მათ დაასწრეს და სულისა მისისა ხვაშადლი სიკვდილისა დე-
ღვათა დაანთქეს.

მას ხელმწიფეს თუცა თვისი ხვაშადი კვირისათვის არ გაენდო,
მადლის საჭდომის სნატით სიკვდილის სიღრმეთა არ ჩაიჭრებოდა.

ამა არაკისაგან ესე მოსატეხელი გამოკვა: თუცა ხელმწიფენი თვისსა კე-
ზირთათანა ხვაშადთა იტუვიან—სცდებიან. ჭკონათ მათის რჩევით სარკებუ-
ლი ქუპოან, მაგრამ ნუ იქმენი მათგან ესე ხამს, თვისნი საუგო ხვაშადნი არა-
ვის გაანდონ, ამისთვის რომე, თუცა თავიანთითა სიდიდითა და სიმადლითა, სი-
ჭკელითა და სულგრძელებითა თვისთა ხვაშადთა კერ დაიტყვენ, მაშე სსვამან,
მათგან მოკლეს ჭკვისამან, მათგან ცოდნა ნაელებმან, კით დაიტოონ მათი ხვაშად-
ლებო?

თქვა ლექსი

შენ თუ არ ძალ-გიცხს დაფარვა შენისა ხვაშადისა,
ეს ძნელი საქმე სსვისაგან ჰერობად კინ დაიქადისა?!

ქარშონამა რა ესე არაგი თქვა, და თვალნი ჰატიოასნი და მარგალიტნი
ბრძნულის სიტყვის აღმასით დახვრიტა, ერთმან მუნ მდგომარეთაგანმან საყუ-
დრელი ენა აუბნა და უთხრა:

— გეგ კვარი სიტყვა ყოველთა რჩევათა და განზრახვათა საფუძველთა აღ-
მომთხზურელიაო, და თვისსა მოგონებისა და რჩევისა მინდობასა ამტკიცებსო.
ესე უფრო სწორია, რჩევისა მოკლება სიბრძნისა და ჭკვისაგან დია მოშორებუ-
ლი არის, და მაში ერთი სიტყვა მოწმიან აშობს, რომე ყოველთა საქმეთა ში-
ნა რჩევა ხამსო.

უთხრა ფისტიკაური

თუ საფუძველი შენის საქმისა რჩევა-განზრახვით არ დაამყარო,
სწულისა წესთა გაქმნარეო, ჭკვისა გზასა მალ გაეყარო!

ბრძენნი და ფილოსოფოსნი თვისსა რჩევას მათს მისანდობელთა კარის
მოსამსახურეთა ჰკითხვენ. ესე სარწმუნოა, რომე რჩევა და განზრახვა ნიადავ სა-
ქმნელად და ჰატიოასნი დიდად.

უთხრა ღექსი

ივისთა წმიდ:თაც ასწავლა ღმერთმან რჩევითა გაგება,
შენ ამა წესსა რადა შლი, რა არს ახლისა¹²⁹ გაგება?

ჭარშონამ თქვა: მოწყალემან ღმერთმან მოსე წინასწარმეტყველს უბრძანა სხვათა შეგებითკა, არათუ ამისთვის, რათამც მათ სხვათა გამოარჩევა მისსა საზმარ იყო, რადგან თვით ღმერთი პირის-პირ ეტყოდა, და ორისაკე სოფლის გზა უფრთხელად ასწავა, და ესეთი სარკე შემზადა, ყოვლისა სიკეთისა მანკებულელი იყო, მაგრამე ამისთვის უბრძანა, რომე სხვათა მაგალითად იეოს, და სხვათა კერეთ, მსგავსად მისსა ჰქონ, რომე კაცნი თვისსა ჭკვასა არ დასჯურდენ, და თვისისა საქმისა მინდობილნი არ იყუნენ, და გამოარჩევითა და გამოკლევიით ჭკვა ნაკლებობასა სხვათა ჭკვისა გამოკითხვიით შესარულებდენ და შემოწმებით დაამტკიცებდენ, რაკვარადაც ბაზმის სანთელსა ზეთი გააძლიერებს, და ცუცხლისა აღსა, რა შეშისა სიმრავლე დაურთო, უფროსად აღენტებისა ნუ გტონია, ჩემი ესე ნათქვამი კერე იეოს, რომე რჩევისა მოშლასა ვიტყოდე. მე ამას ვიტყვი, რომელიცა რჩევა ითქვას, იგი ესრეთ დაიფაროს, რომე არაიენ გააძლიეროს, ამისთვის რომე, ხვაშიადისა დაფარვისაკან ორნი სარგებელნი იშეუბან. ერთი ესე მრავალ გზის გამოცდილია: რომელიცა საქმესა ფარულად ეცდების, ყოველივე ადრე იქმნების, რაკვარადაც ლოცვა დაფარული უადვილეს შეიწირება. მეორე ესე — რაგინდ რჩევა და განზრახვა ვერ შესწორო, და ანუ ერთი საქმე რამ გულთა შინა გტონდეს და არ გამძლიდეს, მაჴედ მტერი ვერცა შამათსა გიზამს, კერცარას ზიანს იქმსო.

უთხრა ღექსი

იუცა საქმნელი კერა ჰქმნა, არა რა საზრახავია,
მაგრამე სხვანი რა გტმობდენ, ესე მეტადრე ავია.

ფიორუხამ უბრძანა: ეჭა, გონიერო მასწავლებლო და პატრიოსანო მრჩეველო! მე წყალობის მონიჭება, და აძლიება, და სრული მინდობა შენდა დამიცს. ყოველთა კუზირთა და სწავლულთა კაცთა, რაცა ამა კართა მოსამსახურენი არიან, შენ სისრულითა და რჩევიითა ჰმტ, და უპატრიოსნესად გტედაე, და რაცა შენის პირით სწავლა და რჩევა გამოხდეს, მისსა მოხსენებასა ნუ დამარიდებო. ჭარშონამ თაყუანი-სცა და თქვა

ღექსი:

ტე, შენნი მსჯავრი მხეტა და მფრინველთა გაჰკვირვებია,
შენნი სიბრძნესი კაცთაგან დია მოსასურვებია!

ყოველთაგან მონათა საზამსოა, რომე თვისსა პატრონსა სამჯობინასა უჩრქედეს, და მისსა შესაძინელსა საქმესა მოაპოვებდეს და მისსა სასარგებლოს მოახსენებდეს. თუცა მისი რჩევა საკეთილოდ რადმე ნახოს, და მით მე-

¹²⁹ ვარიანტი: რა არის ახლის გაგება?

სის ფარდავის სიბნელე განათლებოდეს, ამოდ და ტუბილად შეაკონბდეს, და სავდრებულთა ცლითა, ვირომ მასი რჩევა დაასრულოს, სიტყვა არ გასწვიტოს. რომელმაც მონამა, თვისის უფლისა კერძომან, დაუტეოს მისის განზრახვის სს-ქმე და დაფაროს, და მინდობით ნამარსკვი პირობა უარჱუოს, ესეთი კაცი მტრად შეიარცხება. სრული მრჩეული, და მშვიდობის მუთაფელი და მისანდო მოსამისხუ რე ვინცა ხელად იგდოს, მისის სიკეთის მუჭათად პატივი, და ნიჭი და დიდობის რიგი ხამს სსქმხელად, და ბოროტის მეჭმედისათვის რისხვა და წერობა მის ჭეუენის წესითა მართებულია მიაგოს. მე ესრეთ გეონია, თუცა ვინმე ესე ესრეთ ჭმნას, მან მისი თუმი და სკე-სეიანობა მტყინედ დაამუაროს, და დრო და უამთა მოსაჯლის ხელი და ბედნიერობის სიკეთე მას მალ არ წაერთასო.

და მოახსენა შაირო

რაცა შეკებლოს სჯულ მტყინედ მსჯავრი ჭეუე სამართლიანი, ამით დაიპურა ჭეუენა ხმელეთი, ზღვანი წყლიანი. თუმსა სიმშვიდე მიჱთინე, ვითა მზე ფერ-ნათლიანი, და ღმერთი მოგისმობს ჭმუნვასა, თუცა სარ თვალ-ცრემლიანი.

ხელმწიფემ ჭეითხა: ხვაშადისა დაფარვა რა რიგად უნდა, ანუ ვისგან ხამ-სო? მან მოახსენა:

— ხელმწიფისა ხვაშადი მეტ-ნაგლები ხარისხით არისო. ერთი რიგი თვით თავისა გუნებასა შინა ფარულად დაიმარხოს, ესრეთ მალეთი ჭმონდეს, თვითვე ცოდნა არ ეკონოს, არამე თუ სხვასა ვისმე მისგანი აზრითაცა არ აცნობოსო. ერთსა ბრძენსა ამაზედ უთქვამს

შ ა ი რ ი:

რაცა სთქმელი არ არის, შეიკარ გულის ფიცართა, ესრე დამალე, მზარავი ვით იტყვის დასაფიცართა, თვითვე ეპბო, ვერ ჭპოო, სად გედვას ჭის უმტყინართა, და ადრე საპოკრად ნუ დასდებ ადვილად მოსახიცართა!

სსკა ესეა, რომე ორსა ანუ სამსა კაცსა მინდობის ხარისხთა აღიუყანებენ და გაითვისებენ. რომელიმე უარეს-უგეტესობითა, ოთხნი-ხუთნიც იქმენიან, მაგრამე ესე ბუნებით მტერობის ხვაშადი, რომელი გულთა მსჭკს, ოთხის უერისა და ორის თავის მეტსა გაშინაურება არ ეუყრება.—ხელმწიფემა რა ესე გვარი სიტყვანი მოისმინა, საწოდისაგან წავიდა, და ჭარშონა კეზირს უხმო, და დაჯდა და სიტყვა ჩამოუგდო. პირველი ესე ჭეითხა:

— ჩვენსა და ბუებს შუა მტე-რობის მიზიუზი რაჱაო? მან მოახსენა:

— პირველად უამთა შინა ერთსა მადრანს მათი საწყენი უჭმნია, და აწ ბუებსა იგი გულთა ჩასჭრია, ამისთვის გვემტერებთან, და დღესამდე მისი მე-რი დაზოდ გულთა დაუმარხეთო. ფირუსამ ჭეითხა, რაკვარად უოფილაო?

ჭარშონამ თქვა ბრავი

პირველად თქმულა: მფრინველნი მოყრბეს და ერთად შეითქნეს, და ერ-

თი ხელმწიფე გამოსარჩევლად მოიწვეს, რათა წინა უბლოდეს და გააკვირდეს, და ზევთა ცხოვრებისა საქმეთა იგი იურვიდეს, და ზევთა მისთა ბრძანებათა კემორ-ჩილებოდეთო, და თუცა მტერი სითმე აკვირდეს, მისის ბრძოლისა მიწეში გააუწუოსო. მან თითომან თითო გვარი მფრინველი აჯობინეს, და სხვათა მისის გზითა და გამოკვლევით მოშალეს, ვინკმ რიგი ბუსათვის ითქმოდა. ამას უმრავლესნი დაემოწმენს, და მისი გახელმწიფება დასკენეს. ამა რჩევას ზედა რა გაცხარდენ, რომე მისი ბატონობა დაემტკიცოს, რომელთამე დაიწუნეს, და მათ შუა შეფთისა ცუხელი აღკვზნა, და დაჯერების სიტუჟა საზღვარსა გარ-დასცილდა და ჩხუბი საბრძოლისა მიჯნათა მიადგა. რომელთამე ბუს შეწენისა დროშა ამართეს, და სხვათა გაშორების ქუა შურდულით დაუშინეს. მერმელა დაზავდეს და ესე ზირობა დადგეს: კმა შემოკრებულთაგან გარეშე, სხვა ვინმე მოსამართლე მოიყვანონ, და მისსა ნათქვამსა დასჯერდენ, და ესე ცუდი შეფ-თი დააწუნარონ.

ამასობაში ერთი მადრანი შორით გამოჩნდა. ყოველმან მფრინველმან ხმა ჭიქეს და თქვეს:

— ესე არცა ამათ კრებულთაგანია, და ჩვენებრ მფრინველთა გვარია, და მას ვარჩევინათო. თუცა მრჩევლთაგანი, სხვა-და-სხვისა ტომისანი, ერთსა სიტუჟასა ზედა არ იდგენენ, ერთობის მოსაყალი უერთ-პიროდ არ იქმნება, და არ მოისთვლებს, და არცა რომლისა საგონებელი გაქვს, მისსა სახეს კერ გაიცდიო. რა მადრანი მათთანა მოვიდა, ყოველივე მათი ნარჩევი უაშბეს, და მის-გან მის საქმის უმჯობესისა გამოკვლევა მოითხოვეს. მადრანმა კერე უთხრა:

— გეგ საქმე შეფთის მოგონების მომატრეებელი და უმსგავსო ვაჭრო-ბადაა. ბუჲ დიდობისა და მბრძანებულობისა რაჲ სათუერიაო? მას ავ-სახეს და უფერსა ყოველთა ნების მინდობა ვით კვმნებისო!

უთხრა ღეჟისო

მუძლო, ფასკუნჯის ადგილი საფრენლად რასთვის გწადია?
 შენ შერცხვე, ჩვენ ვირჯობოდეთ—კვლავ აუგია, კვლადია!

მადლად მფრინავი ჭორი, რომელი უზემოკისთა ჭაერთა არწიეთა მეპირის-პირობს, და ერთმანეთსა ეჭადიან, სადა წარსრულა, ანუ რაჲ მოკვლენიაო? ანუ შეუნიერი ფარშამანგი, საოცრად სანახავი, რომელსა კერა წალკოტი და უკვილო-კანი ბიბინი მის ფრთა და ბოლოთა კერ ედარება, რა ქმნილა? ანუ ბოლოკარ-კაზი, რომელი მეფეთა თავთა სკუბუნდირობისა ჩრდილთა აყენებს, რომელსა მხარესა გაცვლიათ? მასკუნჯი შეჭგანთენილი, სასტიკისა ფრთისა ხმისათა რომელი მათთა და კვლეთა სძრავს, სად დაფარულა? შუ, თუმცა ყოველნი ანო-კანნი მფრინველნი მოწყვედილ იყვნენ, თუცა უღონონი და ფრთე შემუსრვილნი აღარსად იპოვებოდეს, ესევე უმჯობესია, მფრინველნი უხელმწიფოდ დასდგეთ, და ბუსა სამსახური სასირცხოდ თავთა არ დაიდვათ. რომე მას ცრემლის ბაკრუის სახედველსა შინა მოკვლეს ჭკვისა არიან, ამისთვის მტერნი მათ მეტად ერკვიან.

მერმე, ესეც არის, მათსა უღონობასა კერ დაუტყვებენ, და ჭკუენისა მანათობულსა და განმამბრწინებულსა დღესა ჰრიდებენ და ეშიშვიან. ესეცა უარესი და ძველი სტიქოსთა სისარული და სირცხვილი მათში გაურჩეველი და შეუტეობარია. ეგე საგონებელი დაუტყვეოთ, და მაგა საქმესა ნულარ გაიცხადებთ, თქვენის საქმის საფუძველი სიბრძნის რჩევაზედ დადვით, ჭკვის რიგი კანონთანი ხელთ აძუროთ, უოკლისა მოსავლისა და საქონლის გაცემასა რჩევის გზით იძომოდეთ, რომე ვამყოველ განსვენებით და ბედნიერად იყოთ. ვერეთ თქვენ შუა მშვიდობის შუაფული განიხროთ ესეთი, რომე პირ-მრთელი და ცოდნით სრული მისაღებელი იუოს, რამცა საქმე მოგადგესთ და მოგინდესთ, სრულითა და მოსაწონებულსა რჩევითა მისი მოურსნობა და გაცება შექძლოს, მის უურდგელის მსგავსად, რომელმა მთოვარის მოციქულება იწემა რიგანის განზრახვითა, თვისი ტვარი და ტომი დიდსა ჭირსა მოაშორება. მფრინველთა ჰკითხეს, როგორ უოფილარა?

მადრანმა თქვა არაჲი .

უთქვამსთ, ზარბანდის ეუნმულთა, სადა პილონი გვარობენ, ერთსა წელმწადსა არ იწვიმა, ცვარისა დეღამა სიამძღრის ძუძუთაგან ერთითა წვეთითა მწუწურკალსა მიწასა, აკვანთა მწოლარესა, ბაგე და პირი არ გაუსველა, ხმელის წლის ცეცხლის სახედედნი, გულ-ჭათა თვალთავით, ცრემლ შეშრობილად გახდა, სწრაფად მდენი რუბი უბედურის ნდომა წადილივით გაახრო. ამისთვის პილონი, წუწურვილის ტანჯვითა უღონო ქმნილნი, მათთა ხელმწიფეთა კაჯნეს. მან უოკელსა მხარესა წუღისა საძებრად კაცნი გავზანა, რომე დიდის ცდითა და მრავლის ღონის-ძიებითა წყალი მონახონ და ჰპოონ. მათ პილოთ საწადლის ცდითა და ნდომის ფერხითა მის თემის გარემო სრულებით გაზომეს, ერთსა მდინარესა შესვდენ, რომელსა სახელად მზის თეალი ეწოდა, (მას სპარსნი ნართაულად მთოვარის წყალს უწოდენ¹⁴⁰.) ჭადიან ტუიანი, დიდი წყალი ჩადიოდა. აცნეს ამაჲი, და პილონი მუნ მივიდნენ და მათი სიმრავლე წყალსა მუნ სმიდეს. იგი ადგილი უურდგელთა სამყოფი იუო. რა მუნ პილონი მივიდნენ, უურდგელნი დიდსა ჭირსა ჩაცვიდნენ: პილონი სულათ შინა ფერხთა დაადგმიდენ, ესრე გასთქურდენ, ძვალი და რბილი აღარ გაიჩნეოდა, მათი გვამი მიწათა აღერეოდა.

ღ ე ქ ს ი

რა წყარა წარული მინდოროთ, ესე იქმნების კიცია,
რომ შენმა ცხენმა დათრგუნოს მათი თაკები მტყიდნა.

მათ პილოთ მოსკელითა მათ უურდგელთაგანი მრავალნი უწყალოდ დაითრგუნა.

ტ ა ვ შ ი

რა გარდაგრებათ, კინლა დარჩება, თუ ორჯულ-სამჯურ კიდევ გვეწვიით?

¹⁴⁰ მთოვარის წყალს უნ მ ო ბ ე ნ .

ეურდგელნი ერთობით ერთს დღეს მათს ხელმწიფეს კართა მიადგნენ, და მოასხენეს:

— ქვეყნის მპყრობელთაგან მართებულა, საბრალთა მთვარეულნი და უღონთა ხელის ამპყრობელნი იყენეს. დალიქთა ჯდომა მოსამართლეობისა და მოურნეობისა გაგებულა, რომე ნაღვლიანთა და ძალ-დამართებულთა უღსინოს¹⁴¹.

მოასხენა ლექსი

მეფობა მისთვის გაგო, საუღართა მჯდომარეობა,
შეჭირვებულთა ელხინოს, ერგოს, ვის სჭირდეს შრეობა.

რადგან ჩვენი მოურნე ბრძანდები, აწ გააშწივე და ჩვენსა შეჭირვებასა უხვაიშენე, ჩვენისა ესოდნისა ტანჯვისა საპასუხო გზა გაარჩიე. აჰა, ივინი ადრე შემოაქცევიან, და რაფცა ნახეარ მეკდარნი მათ თურსთა გარდარჩომდათ, აწ მათცა დასტკეპნიან და სულსა განაშორებენო.

თქმეს ლექსი

ერთხელ გენახეს, სულ მიგვიღეს ჭკუა, ცნობა, გონებანი,
აწ ამსცა მიგეტაცებენ, გააქსლა სულთა ჭონებანი.

ხელმწიფემ უბრძანა: ესე კერე ცოტა რამე საქმე არ არის; სიჩქარითა და სისწრაფითა კვცადნეთ გაძება შეიძლოთ! რომელიცა თქვენში მეცნიერი ვინმე იყოს, მოვიდეს, რომე ჩჩვეისა გზები მოენახოთ. ზღაღება და კერე მათი შემართება ჭკვისაგან საქმელი არ არის, სიბრძნისა და ხელოვნების მეტი ღონე არა დაიდებო.

ბრძანა ლექსი

სიბრძნით მდიდარნი, ცნობილნი, ჭკუითა გარდამჭარბენი,
ურჩევლად არას იქმონენ განზრახვათ შემასარბენი.

მათ შინა გონიერი და მეცნიერი ეურდგელი იყო, სახელად ბეირუზ ეწოდა. მათხელ მას ჭკვა, ცოდნა და განზრახვათა გაგონება ნამეტნავი ქქონდა. რა ამ საქმეზედ მათი ხელმწიფე შეჭმუნებული ნახს, მიეახლა და მოასხენა

შ ა ი რ ი:

მეფეს თვისთა მონათა ზრუნვა აქვს ნახელვარისა,
წყისა, მართებს გამართვა მიდრეკილ-მიმცნარისა,
მოღსენა შეჭირვებულთა, ნუგეში გულ დამჭნარისა,
და სიტყვა განჭკურებს, მოაღსენს შესმენა საუბნარისა.

თუცა აჯობინებთ, ჰილოებთან მე დესპანად გამგზავნეთ, და ერთი მისანდობელი კაცი თან გამატანეთ, და რაფა მე კქმნა და ვთქვა, მოისმინოს და კერე ქმნას. ხელმწიფემ უბრძანა:

— შენი მიუნდობლობა და უპირობა ჩვენ არ გვასმია, და არცა შენი სი-

¹⁴¹ ვარიანტი: ძალ-დამართებულთა ე ღ ს ი ნ ო ს .

მუხთლევ ვისმე უნასავს. შენი სწორი ბუნება და ერთგულობა გვიცნა და დაგვი-
რწმუნებიაო.

უთსრა ლექსი

შენის საქმისა სახენი მასშია, გამირჩევია,
კიდონტა ოჭრო-საცნობლად გარჩევით გამირჩევია.

ხაბუნდირო გვა წარგეძართოს, და რაღვა საქმიანობა და ხელ-გამომავლო-
ბა გაქვს, ეგადე შენ, ხელმწიფეთ ღესპანი. ღესპანთა ენა, ხელმწიფის კეთილი გუ-
ლის წერილის საიდუმლოსა ცნობა მისგან გაგზავნილის სიკეთისაგან გამოცხად-
დების, ამისთვის რომ, თუ ღესპანის რა ერთი ცოდნა-მეცნიერება გამოჩნდება,
და კეთილსა საქმესა და სწორესა გზასა დაუნახევენ, ხელმწიფეთ გაგებისა, გა-
მორჩევისა და ცოდნის თანა-ზიარი შეიქმნება; თუ არა, და ღესპანი ცოდნა
ნაკლები და აჩქარებული ნახეს, ზოროტის კაცისა ენა ხელმწიფეზედ აღიძვრის,
ზრახვასა და გმობასა დაუწყებენ. მეცნიერთ ამისთვის მრავალი რამ უთქვამსთ,
და მტკიცედ უწერთათ და აღრიცხვით არაკები მოუყვანათ. რომელსა ერთსა
ადგილსა ღესპანისა გაგზავნა გენებოსთ, მეცნიერი და გვარინი, და მათგან უმე-
ტეს, სიტყვა მარჯვე, გამსინჯავი და სიტყვის მეპასუხე იუოს. შირველნი
მეფენი გამორჩეულსა თილოსოფოსსა გაგზავნიდენ ღესპანად. ალექსანდრე ძაგე-
დონელი თვისსა სამოსელსა შეიგვლიდა და, უმრავლესად, თვით წავიდოდა და
იტყოდა.

ლ ე ქ ს ი :

ჯივი და ღომი ძლიერი, მონადირე და მარები,
თვითვე დადიან ღესპანად, სიტყვა აჭეთ არ საქმარები.

ერთსა ბრძენსა ღესპანის გაგზავნისთვის უბრძანება:

თქვა ჩახრუნავლი

ხამს მოციქული ბრძენი და სრული, სიტყვა რჩეული, გულ-გმირი, ჭკელი,
ჭკითხონ სახენი მეპასუხენი, სმათ მოსაწონი, საქციელ ძველი;
მტერთა შემრიგე, ათა გამრიგე... ეს შენგან მინდა, აგრვე კელი,
და არ სიტყვა მცდარი, არიოს ჭარი, თემთ მოხსარი, ვით ჭარბი გველი.

ბერუხამ მოახსენა: მე, ხელმწიფეო! თუცა მე ღესპანთა რიგი რაღა ძალ-
მიღეს, ვინც, მაგრამე ჭკუენის მთარველს თქვენს მოწყვლებას კვედრები, თვისი-
სა სიბრძნისა სიკვრთაგან დაუფასებელს მარგალიტის ამოღება ბრძანოს, მეც-
ნიერების ძათთა შეწყობით დააცვას, რომე მე იგი მის დროს სამაყულად მო-
ვიხმარო, და ჩემის გაპატიოსნების და ამაღლების სათაენოდ დაგვა, და რაღა
ვისაქმო და გქმნა, მის კანონისა და სწავლისა გარდახდომასა გვერძალო, და
თქვენს ბრძანებისაგებ ქმნასა კვდალო და გვრე წესიერად ვაცადუნოთ. ხელმწი-
ფემ უბრძანა:

— ჭი-ჭი, ბერუხა! მოციქულობისა საუმაჯობესო წესი ეს არის, რომე
ენის მახეილი ბასრისა ხრმლისაგან უმკვეთელესი ჭქონდეს, მოთმენა და შეძლე-
ბა, სიტყობა და შერისხვა მის შირთა ზედა გამოცხადებით გაწყობილი იუოს,

სამუდარო ბრწინვალება გარ უნდა უერთებოდეს. ესრეთი მცოდინარე ხამს, მისმა მუქასუსებმა თუცა კუშტი რამე უთხრას, მან სიტყბოთა, და სიწყინარით და აუნქარებლად მოიუხნოს და დაცადოს. თუცა სიტყვის აღება სათნო უოფის პირისაგან სილაღით მოგიხდეს, ხამს დასასრულსადაცა გულის დასაამებელი გუ მოხან:დ სიტყვა დაუტყბო, და სიმიდაბლის საუბრით ბოლო მოუღოო.

უთხრა ღექსი

ამო სიტყვა შერის ძალსა გულისაგან გაატყბეს,
ტკბილი ერა წარბ-შესკვნილსა სარისხველად არ აკატყბეს.

მართალია, დესპანმა სიტყვა უნდა იგოდეს, მაგრამე ესრეთ—სიტყვა წყა-
ლობისა და რისხვისა, წყენისა და ხელ-გამომავლობისა, სიყვარულისა და სიმუ-
ლილისა, სიტყბოსი და სიმწარისა, შეკვირისა და განხსნისა, შეპყრობისა და
განტყეებისა, გაფრეწისა და გაკვრისა, გამოჭრისა და გამოტელებისა. ხამს
სიკვდილი და დაწვა თავს იღვას, და სოფლისა დიდება და პატრიო რომ მი-
ნიჭონ, თვისი პატრიო და ნამუხი არ გაუშვას; ვისთანაცა მივიდეს, კვადოს
მათი ქიშპობა და გულ-ბორცობა შეიუნას, გამოიძიოს. ბრძენთა ანდერძად დეს-
პანათვის დაუგლიათ, საუბრისა მოსაჯალი არისო. ბერუსამ ქება შესახა და
დალოცვა, და სახელმწიფოთა კარი გამოვლო და სცადელსა ხელი მიჭყო. რა დამე-
მა ლილის ფერი იაღმავი შეიმოსა, და ბნელის ფარდაგი მინისებრს ქვეყნის
ნათელსა წინა ჩამოუფარა, მცირეს ხანს უკან ძლიერების საუნჯის უფალმან სპე-
ტავი ტახავი მთავარისა ცის სიფლის პირთა ზედა დაბრუნვა.

ჩახრუხაულო

რა მუშეთ ჭიპისა. თმანა იპისა, ღამის სისრულე მას შედარა,
მთვარე სრბოლითა პირ-ობოლითა კრდოს ამოხდა, რა მოიადარა.

რა მთავარე საშუალ ფოროს დახსლოდა, და მზის ელვა მიწას ქვეშ და-
ფარა, და სმელეთის პირის სამკაული ბრწინვალებისა ნათლის სისრულე ხელ-
ცარიელი კუთხთა მუდომელი დაჩჩა, ბერუსამ პილითა სიმრავლესა მიმართა და
მათსა სამყოფთა მივიდა. გონებთა შინა იტყუდა: მათ უწყალოთა თუცა მივე-
ასლო, საშიშარია და სულის გასაწირავი, რაცინდ მათის დასთაცანმა ავი არა
მოიხებონ რა. აგრევე საბოლოოს ჭკვათა შინა¹⁴² იგი უმჯობესია, თავ-სედთა და
შბორკავთა კაცი ზედა არ უნდა შეკარდეს, ამისთვის რომე, მათ თვისისა სიდი-
დისაგან საბრალეთა და დაცემულთა შეწყალება არ აქვსთ, და ათას რიცხად შე-
დონებულთა ფერხთა ქვეშე მოამწყვედებენ, და ამა უცხოეს საჭმის მიწის მტკერთა
მათს გაზავებულს ყურთაცა არ მოიცხებენ და არცა შეიჭმენებენ.

თქვა ღექსი

მათ ჩუენი არა რა შესჭირს, საბრალოდ დარჩომილთასა,
დილის ღამეპარი თუ გაჭრა, კიდები ძირსა ჩრდილთასა.

¹⁴² გარიანტი: აგრევე საბრალოს ჭკვათა შინა.

ესე მიჯობს, ერთსა მალალს ადგილს აქნდე და მოციქულობა შეგატუობი-
ნო, და თუცა მიმიწვიკს—მიკალ, და თუცა კერ შეგატუოვიკ—სულს მანც ცოც-
ხალს გარდაყარხნო. ერთს მალალს გორათა შედგა და პილთო ხელმწიფეს შო-
რით ხმა უუო, და უთხრა:

— მე მთოვარისა მოკზანილი ვარ, და მოციქულებისა რაცა წესია, თუცა
მას მიუოფთ და არა მიმავს რა, და მიმიწვიკეთ, მოკალი შრავალი მალალი და
უგადრისი სიტყვა მომაქვს. თუ მთოვარისა დაკედრებულს დამისმენთ, დამისა
ჭალაქისა პატრონია და დღის ხელმწიფისა მონაცვლე. გინცა მისის მცნების
გარდაშავალია, და ბრძანებისა მისისა სიტყვასა გულის უურს არ მიუპურობს,
ამას ჭტავს, კაცონ თვისითა ხელითა ცუდელი თვისითა ფერხთა ნებით დაიკრას, და
თვისისა სიკვდილსა თვისითა წადილითა ცდილობდესო. პილთო ხელმწიფეს რა
ესმა, თვისით ადგილით შე აიჭრა და გამოჭკითსა:

— მკა მოციქულობის მიზეზი რაჟაო? ბერუხამ უთხრა:

— მთოვარე ამას ბრძანებს: რომელნცა უღობოთა. ზედა გაბლიერდებან,
და მათ ზედა ზეაობით მოქადულობენ, მათის თავისა ხელს ჭვეშე შემოგდებსა
და ფერხითა დათრგუნვასა ცდილობენ, ესე მათისა სიბორტისა წარმომანინებუ-
ლია და სიკვდილისა მორკეთა დაანთქამსო.

უთხრა მრჩობლედი

ნუ აღადგები ზეაობით გულისთა მალად მქენითა,
გონებას შეურსა ნუ შერთავ წუთსაცა ზედა ჩენითა¹⁴⁹.

თუ უნაგარი რისხვისა ცხენსა შეადგა წურომისა,
სისწრაფით მაჭენებელსა დაგიდგეს კერ საზომისა.

ანაზად თა(სა)ი დაგენთხას წყალი, სიცოცხლის მწკეთარე,
სუეროს წამწამი შენს ფარსა კვების დასაფუთარე.

ბოლოდ ეს საჭე სხვა რიგად მოგიკა, მოკესცება:
საჭე ხელიდამ წაგიკა, მეფობა გაგებიჭება!

შენ ესრე აძალეებულ ხარ, რომე შენი თავი უოკელთა ზედა უძალეს და
უმტობსნეს გკონია. შენი უბადო ძალი და ძლიერება შენისა ცაცუდების მომ-
დებელია, შენ დიდად რადმე შეგირაცხია. აწ ესეცა ჭუავ: ჩემს მდინარესა ზედა
მოსულ ხარ და ღაშქრისა სიძრავლითა შეკობილწებია, და მრავალი სიბორტო-
სა სიბნელე მას წყალთა შინა შეგირთავს,—ესე არა იცა, ფრთე ძლიერი ორბი
თუცა მას წყალთა ზედა გარდაფრინდების, მეხის ტუხის ცუცხლი მასცა ბოლო
ფრთესა მოსწავსო? ანუ შვის თვალმან ცის წალკოტით მისი დაპურობა მოი-
ნება, კარავ მოასრულნი ზღვის თევზნი საოცრისა ისრითა თვალთაცა მისთა
აუკერენო?

თქვა შაირი

დეკაჭახნი, მუნ მიმაკლნი, კლარ შეიჭენ შეკობითა,
გერ გარდაფრინდეს მფრინველი, ფრთენი დასცვიდეს ნებითა.

¹⁴⁹ გარიანტი: ნუ შერთავ წუთსაცა ზ ე და ჩ ე ნ ი თ ა .

მის უეტიკოდ ვის ძალ-უცეს გამოკლა უმორებითა,
და კერა მოძრაჲმან კერა ქმნას მუნ დღომა მათის თნებთა.

მე ჩემისა უზომოსა მოწყალებითა ამა დესპანისა მოგზავნითა შენთვის
ესეცა მიცნობებია, შენთვის დიდი პატივი მეწადა. აწ თუ შენ შენსაკე სამუთოს
მიმართავ, და აჭა მოსვლასა შეინანებ, შენვე გიჯობს, თუ არა, მე თვით თავით
ჩემით მოკალ, და ესეთისა ტანჯვითა მოგაკვლინებ, უოკელთა უკვირდესო. პირ-
ველად ესე კრთისა სიტყვისა ნიში შემომითულოა. აწვე სწრაფად მოდი, მას
წყალსა შინა ვარ. რა თვალთ შენით გამიცადო, მას უკანით ჩემსა წყალთა კო-
დესა აღარა განვლოო.—**შილოთ ხელმწიფეს ესე სიტყვიანი მეტად გაუკვირდა,**
შეშინდა და წყლისაკენ წამოვიდა, ჩახელა და მთოკარის სახე წყალში დაინახა.
ბერუხამ უთხრა:

— ხელმწიფევე, მცირედი წყალი მიილე, პირი დაიბანე, და მთოკარესა თა-
ყვანი ეც, ნუ თუ შეკვიწყალოს და ღმობიერ გექმნას. შილომა რა ჩიკიანი წყა-
ლთა შესხო, წყალი შეაჩქრად. შილოს მთოკარისა შეძერა კვონა. ხმა ჰყო:

— მთოკარისა დასპანო რა ჩიკიანი წყალთა ჩაყვავ, მთოკარე მიწყინა და
თვისით ადგილით შეიძრაო ბერუხამ უთხრა:

— ნულარა სდრობე, თაყვანი ეც, რომ დაგიტებესო. შილომ მისი რჩევა
ადასრულა და პირობა დაუდგა: დღეის წაღმა მუნ აღარ გავლას და არცაღა
სხვანი შილონი მის წყლის კიდესა მიუშვას. ბერუხამ იგი ნაქმარი მისსა ხელ-
მწიფესა მოახსენა... და ესე გვარისა ხერხითა ყურდგულთა მშვიდობა მიგვა, და
მას წრტიალას ჭირის ტვივილსა მორჩენ.

ესე არავი ამისთვის მოკვიყანე: თქვენში მცოდინარეს კაცს საჭმის წი-
ნი წაყვანა უნდა შეეძლოს, და მტრისა გაცრუკებას ეცადოს და შეიძლოს. თუცა
აწ თქვენში ჭკვა და ცოდნა არ დაკარგულა, რა საქმნელად თქვენის ხელმწიფობის
როარტაცი ბუს სახელთა იწერებოდესო! ესე თქვენთვის მიცნობებია. ამა
ჭირსა თქვენ ნუ შეიყრით, რადგან მათ ესოდენი ავი წესი, სიმტყუენე, სერ-
ხი და კშაურობა ქმნან, და გულ-ღრტუნნი არიან. თქვენც იცით ყოვლისა სა-
სირცხოსა საჭმესა ხელმწიფის უპირობობა უარესი არისო.

თქვა ძრწობლელი.

რა სიყვარული დაგდოს პირობის განაკიდარმა,
